

1972/2



35

# ზოგადი

ც. ხალვაში — სიკვარული	
მოთხრობა	3
შ. ზოგა — ლექსები	11
ა. სამსონია — შაგათი, პვირა, ორშაგათი და სამშაგათი	
მოთხრობა (გაგრძელება)	14
რ. ართილაშვილი — ლექსები	46
ლ. ხუროვა — გაყიდული ჰანგები	
ნოველა	49
ლ. სიძლიშვილი — ლექსები	51

## წევკითხები ნორჩებს

გ. სალუჯვაში — ლექსები	54
------------------------	----

## კრიტიკა და

## კუბლიცის ტიკე

შ. შურიძე — კავებასილ ხალხთა მიზობრიობისათვეს	58
--	----

## წ ე რ ი ლ ე ბ ი

9. ხევრიალიძე — აპუსტიკის ენამოსტრეგულობა	69
რ. სურაბაშვილი — ახალი ცენოგრაფი ზრიგოლ ვოლსკის გიოგრა- ფიკან	74
ა. სურგულაშვილი — უკრაინილი კახუარები გონიის ციხეში	81
8. თავაძე — გათუმას პროცესი- ული კავუნირების ისტორიიდან	89

*1977*  
 ლიტერატურულ-ენატმრული და  
საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ურნაღი

საქართველოს საგაოთა  
მცხოვების კავშირისა და  
აჭარის განყოფილების  
ორგანო

გ ა თ უ მ ი — 1972

იცლიცი — აგვისტო



რედაქტორი ა. შონია

სარედაქციო კოლეგია: ხ. ახვლედიანი, მ. ვარშანიძე (პ. მგ.  
მდიგარი), პ. ლორია, ალ. ჩავლეიშვილი, ფრ. ხალვაში

რედაქციის მისამართი: ბათუმი, ენგელსის ქ. № 21.

ტელეფონები: რედაქტორის — 33-71, პ/მგ. მდიგარის — 33-72.  
სელმოწერილია დასაბეჭდად 17.8.1972 წ., საბეჭდი 6, საგამომცემლო 5 თაბაზი.  
შეკვეთის № 3439 ემ 00525, ქაღალდის ზომა  $60 \times 90$ , ტირაჟი 2.040.

\* \* \*

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდოებით სიტყვის სახელმწიფო  
კომიტეტის მთავარპოლიგრაფერწვის ბათუმის სტამბა. № 9  
(ლუქსემბურგის, 22).

აჭარის შურნალ-გაზეთიშის გავრცელების

## ვიღოვთ ხადვაში

### სიგარული

იმ დღეს დილიდან რატომღაც ჩაფიქრებული, ჭედმეტად მოწყენილი და ნერვიული იყავი.

მშობლიურ სოფელთან მიახლოებამ კი ერთობ გამოგაცოცხლა, გაგა-მხიარულა. ამან ძლიერ ასიამოვნა შენს თანამგზავრ შინაურებს, რომელ-თაც თავიდან შენივე დაძაბულობა გადაედოთ.

მაგრამ ნასიცხარი, გამოქარული და წყურვილით პირგამოშრალი მიწა, რომელიც ალაგ-ალაგ კიდეც დახეთქილიყო, ისე შეგებრალა, რომ ისევ იყუჩე. ამ სიბრალულის უცნაური გრძნობა არავისთვის გაგიმხელია, რა-დგანაც ფიქრობდი, ირგვლივ შეყოფნი ამას ვერ გაშაგებენო. იმ წამს, აღ-მართში მიმავალმა, უცებ გაკიცხე თავისთავი, რომ მეუღლეზე და უკვე მოზრდილ შვილზე ასე გაიფიქრე. შემდეგ გაგახსენდა ბევრი შემთხვევა, როცა მოვლენებსა და საგნებზე საკუთარ აზრებსა თუ დასკვნებს შინაუ-რებთან არ ამხელდი ხოლმე; მაინც ვერ გამიგებენო, ფიქრობდი.

ახლა ძალიან გინდოდა, უბრალოდ, ძალდაუტანებლად, მოულოდნე-ლად და ბუნებრივად გამოსწორებულიყავი, მაგრამ სიცხე ისე აჭერდა, ერთი სული იყო როდის აგებლოხნა ეს ყიამეთის აღმართი. ამიტომ შენი სახე, მიუხედავად წელანდელი წუთიერი გამოდარებისა, კვლავ მოღრუბ-ლული და დაქანცული ჩანდა.

— ასეთი იყავი მუდამ!.. — გისაყველურა ნაზიკომ. ამოიგვნეშა და ნა-ლვლიანი მზერა უკან მომავალ შვილს შეაჩეჩა. ბიჭი თავჩაღუნული და წელში მოხრილი მოაბიჯებდა. — ასეთი იყავი. მუდამ!.. — ჯავრით გაიმე-ორა ნაზიკომ და ახლა წინ მიმავალ დამუნჯებულ ქმარს შეგავლო თვალი, მაგრამ პასუხი ვერც ახლა მიიღო. — როცა ცოლშვილთანაა, ენას მუცე-ლში ჩაიგდებს, როცა სხვასთანაა, აჭიკჭიკდება. არა, საკვირველია, ერთ-

ხელ მაინც რავა არ შეგიქანდა გული ამ შენი ბაღნობის აღაგებში ამა-  
ვლისას. ასე თლათ გამოხრიოკებული გული რაფრათ გაქვს, შე ასაშენე-  
ბელო. ორ, შენ რა გითხარი მე შენ, აა. თუ გეზარებით, სულ არ წამოგე-  
ყვანეთ. მერჩია მარტვაი ამოვთრეულიყავ ამ დასაქცევში, ოლოხდ ეგ-  
შენი მოჟამული პირი აღარ მომჩვენებოდა... — უცბად ბზიკის ნაბენი-  
ვით უკან მიბრუნდა. — ნუ ჯიბგირობ, ფეხი გამოაბიჯე, თვარა ამ გაქვა-  
ნებულ გორისს თავზე გადაგაფშვნი ახლავე! — შეუბლვირა წყნარად მო-  
მავალ ბიჭს, რომელსაც ქვეშ-ქვეშ ელიმებოდა, მაგრამ გულმოსული დე-  
დის დამშვიდების თავი აღარ ჰქონდა.

აძასობაში აღმართიც ათავეთ. მკერდს ძალუმად მოგეფინა სიმინ-  
დების სურნელით შეკაზმული ნიავი და შენაც წუთით შედექი. ნაზიკომ  
გვერდი აგიარა, გზა განაგრძო, ბიჭი კი შეჩერდა და უსიტყვოდ შემოგა-  
შტერია.

იქ, ქვემოთ, სოფლის ასაქცევთან, თქვენი დატოვებული მანქანა იდგა.  
გეწყინა, რომ გაფულებულ სასოფლო გზაზე მანქანით ვერ ამოხვედი, თუ-  
მცა ამასაც ამბობდი გულში: აქ ხომ მარტო ბილიკებით დავდიოდი წი-  
ნათ. ყოველდღე ჩავირბენდი და ამოვირბენდი, არც კი მიფიქრია, თუ  
ოდესმე, თუნდაც ჩემი სოფლის ბოლომდე, ცოლშვილს ჩემი მანქანით  
მოვიყვანდი.

### „ ხარბია კაცის გული”

არა, მაინც ვერ უვლიან სოფელს, თორემ მეტის გაკეთება შეიძლებო-  
და, — ასკვნიდი შენთვის. ნაზიკო გზასთან შემორჩენილ ერთადერთ ფიჭ-  
ვის ჩრდილში ჩამომჯდარიყო და, აღბათ, გელოდებოდა. ეტყობოდა, მა-  
ინც ამ ქსიამოვნებოდა შინ რომ მარტოდ მისულიყო.

თანასოფლელებს ბევრ რამეში ამტყუნებდი, მაგრამ ჩუმად არც სა-  
კუთარ თაგი ამართლებდი. თავად შენ რა გაუკეთე სოფელს, თავად შენ  
რატომ წახვედი შორს, სად უფრო საჭირო და სასარგებლოა შენი ყოფ-  
ნა? ეს კითხვები სულ ერთიანად ფხაჭნიდა სულს შენსას.

ნაზიკო გზასთან გადარჩენილ ერთადერთ ფიჭვის ჩრდილში ისვენებ-  
და თუ გელოდებოდა. შვილიც იქით წავიდა. შენ კი ულმობელ პაპანა-  
და ქინაში იდექი და მთელ შენს განვლილ ცხოვრებას, სოფლის ტკივილებს  
და საკუთარ თავს ედავებოდა.

მაშინ აქ, ამ ალაგას, ფიჭვის მოზრდილი ხუჭუჭა ტყე იყო. აქ, ამ  
ალაგას, ნაწვიმარზე ქორფა მარქვალა სოკოები გიკრეფია. ბევრი იყო მო-  
ცვი, ზღმარტლი, დათვასხალა, მაყვალი. ახლა მოტიტვლებულა, გამელო-  
ცვი, დაბერებულა აქაურობა. თუმცა გადაღმა ფერდობზე მიწიდან  
ტებულა, დაბერებულა აქაურობა. თუმცა გადაღმა ფერდობზე მიწიდან  
ტალღასავით ამოჩქერილი ნორჩი მცენარეები შენიშვნე და თითქოს გუ-  
ლსაც მოგეშვა.

უქვე თვალშინ წარმოდგა მშობლიური სახლი, შენი ბავშვობის ურა-  
ობის თვალშინ წარმოდგა მშობლიური სახლი, შენი ბავშვობის ურა-

შული სავსე. რამდენი ხანია იგი მიკეტილია, კიბეებზე ქარმა **აობათ**  
ბევრი მტვერი და ფოთოლი დაყარა, ხოლო დაღუმებულ ბუხარს **ძალი-**  
**ან ენატრება ცაში ძველებურად დამზადის აფრიალება.**

— ჩაფლატოს ღმერთმა აქაურობა. — ბუზღუნებს ნაზიკო და ფიჭ-  
ვის ჩრდილს ტოვებს.

ახლა მაინც გინდოდა სულდათქმულს რაღაც მშვიდი, სასიამო რამ  
გეთქვა ცოლისთვის, მაგრამ „ჩაფლატოს ღმერთმა“ რომ გაიგონე, უცნა-  
ურად გეტკინა გული, მოიღუშე. საბოლოოდ გაფუჭდი.

ათი წლის მანძილზე მხოლოდ ზაფხულის რამდენიმე დღეს თუ ამოა-  
კითხავდი შენს გამზრდელ კარ-მიდამოს, ბავშვივით დაემხობოდი ლოდი-  
ძირთან და წყაროს დედის ძექუსავით მოწოვდი.

იყო რაღაცნაირი უსაშველობა და სისასტიკე ამ შეხვედრათა სინა-  
ზეში. კეთილი, მოუშორებელი სევდა დამაამებდად მოესალმუნებოდა  
ქალაქის შეინარჩული ყოველლიურობის ორომტრიალში დაღლილ გულს. შე-  
ნში იდუმლად შემოპარული ეს აღფრთვანება დედის საყვედურივით  
თბილი იყო და მადლიანი.

ქალი ქალაქისაუკენ გიბიძგებდა. შენც ვერ აღუდექ ამ ცდუნებას მა-  
შინ. ახლა კი „ჩაფლატოს ღმერთმა აქაურობა“ წნელივით გადაგეჭირა  
მკერდზე.

სახლი, მამისეული სახლი, აგერ ისევ ფეხზეა და ჩაბინდულ ფანჯა-  
რათა მოღალული თვალებით შემოგყურებს.

„ცხრა ბადიში მინდა, შვილო“ — გეხვეწებოდა დედაშენი. „უთხარი  
შენ ცოლს, მუცლის მოშლა მკვლელობაა“ — გაფრთხილებდა მამაშენი.

არა, რა ოხრობამ დაგიტრიალა თვალწინ ახლა ეს ყველაფერი. ამ  
სიცხეში, ამ აღმართში მოღლილს რა ჯნაბამ გაგახსენა ეს ყოველივე?  
ნაზიკოს კი ეტყობა, უფრო და უფრო მოეკიდა სიბრაზის ცეცხლი,  
როცა შენს პირს არ იქნა და ლერი სიტყვაც ვერ დააძრო.

მაგრამ რა უნდა ქნა. შენს მეტი ამ წუთას ვერავინ გაიგებს, თუ რა  
ძნელდა წარსულის უნებური გაცოცხლება და სიჭაბუკის ცოდვა-მადლობან  
პირისპირ შეჯახება. ბევრი რამ გაგვეგება ამა ქვეყნისა, მაგრამ იმდენად  
მიეჩვით დინების მიხედვით სვლას, რომ აღარ შეგიძლია წუთისოფელში  
საკუთარ გზაბაწარს მიაგნო.

პირდაპირ გულს გიბურდავს გუშინდელი პარასკევის გახსენება. ეს  
რა იკადრა მაინც ფილიპოვიჩმა, ღირექტორმა? ერთი ათასი მასესხეო. ეს  
უკვე აშკარა მოთხოვნა იყო, მომეცი ათასი მანეთიო. აბა, რა შვილია  
ფილიპოვიჩი სესხს დაგიბრუნებს? პო, ესე იგი, მომეცი ფულიო. შე ვიცი,  
შენ ქურდი ხარ, იპარავ, მაგრამ რაღაც მე გიფარავ და გინახავ, აიღე  
და ათასი მომეციო.

შენ არც იმისი ბლაუვი ხარ ვერ გაიგო, რომ ეს ერთხელ კი  
მრავალჯერ განმეორდება, ვიდრე შენ თავად არ მიეჩვევი. რომ ყოველ  
მოცემულ პერიოდში საჭიროა ასე მოიქცე დირექტორის შეხსენების გა-  
რეშე, ხოლო თუ ამას ვერ შეიგნებ, შენ „ვერ შეასრულებ დაკისრებულ  
მოვალეობას“ და „საკუთარი სურვილით“ სხვაგან გადაგაჩოჩებენ.

შენც იშოვნე, შეაწეი გაზეთის ქაღალდში, დაელოდე და როცა გან-  
მარტოვდა, შეხვედი. რატომლაც საკმაოდ ჯიქურ მიადექი მაგიდას, ღია  
უჯრაში ჩაუსრიალე, ჩამოჯდომის ან რაიმეს თქმის მიზეზიც ვერ გამო-  
ნახე, დაიბენი, აილეწე, მობრუნდი და სულშეხუთულივით გარეთ გამო-  
ვარდი.

ასე არ ღირს, ფიქრობდი, მაგრამ როგორ უნდა მოქცეულიყავ აბა,  
საშველი სხვა არ ჩანდა.

არ იყო იგი შენთვის პირველი შემთხვევა, მაგრამ იგი ბოლოა, გუ-  
შინდელია, და ამიტომ დღეს ალბათ ასე ძალუმად მოგფხაჭნა გული.

ბინა? ღმერთი ერთის მაღლმა, თვალი დაგიბნელა ამის გახსენებამ.  
რა ტანჯვა გადაგხდა იმ ერთი ჯურლმულისათვის. თუმცა ჯურლმული და-  
უძახე შენ და რამდენიმე წელიწადში შენობას აიღებენ და ჯიბეში საგა-  
რანტიოს ჩაიდებ. მართალია, უარეს ჯურლმულში შეაფარებ თავს, მაგრამ  
სამაგიეროდ კიდევ რამდენიმე წელიწადში სრულიად ახალ ბინაში გამოი-  
ჰიმები.

არაუშავს, იმშვიდებ ახლა თავს, რამდენიმე წელიწადში ხომ ნაღდად  
შევალ კარგ სამოთახიანში.

ძველი ჭიშკარი უანგიანი მავთულით იყო დამაგრებული. ფრთხილად  
ახსენი, შეაღე და წინ, ეზოში პირველი შეიჭრა ბიჭი.

მზე დასალიერს ჩაეწურა და მალე ნარინჯისფრად გაშუქებულ ოდის  
განიერ კედელზე, როგორც ეკრანზე, გამოისახა შენი გადიდებული ჩრდი-  
ლი. გვერდით ქალის ნაცნობი ფიგურაც გამოიკვეთა.

ერთი წამით გაშეშდი და ამ სურათს გაოცებული დააკვირდი. მო-  
გონებათა ბურუსიდან ჯერ კიდევ არ იყავი გამოსული. ამიტომ ნაზიკოს  
აჩრდილი იმ შორეულს ჰეგვდა, მასში იცანი ის სოფლელი გოგონა, ზვა-  
რიდან მობრუნებულ ბიჭს, სწორედ ზაფხულის ერთ ასეთ საღამოს, ამ  
ჭიშკართან რომ შეგეფეთა.

\* \* \*

დედაშენი უცნაურად აღელვებული მოიჩქაროდა კიბეზე, ცდილობ-  
და შენთვის რაღაც მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ეცნობებინა. იგი  
ქლოშინით შეგეგება შუა ეზოში, არც კი გაცალ ჭიშკართან მდგომ ნაზი-  
კოსთან დალაპარაკება, მაგრად ჩაგავლო ხელი სახელურში და ოდის მე-  
ორე მხარეს გაგიყვანა.

— მომაცილე ეგ ფანძაკი აქედან, შვილო! — მოგახალა მოუამუღმა მშობელმა. — შინ არ შევუშვი. ვიცი რატომაა მოსული. ზეგ მისი ქოჩო წილია დანიშნული, ამდგარა და შენთან მოსულა, — ვიცი მასაც ვუყვარა კარო. მე არ წავყვები, ვინც არ მიყვარსო...

არა, შვილო, გლახაა მეთქი ვერ ვიტყვი, მარა რათ გინდა ამფერი შარი. ზეგ მამამისს ქოჩილი აქვს, მაგას ათხოვებენ, ეგ აქ მოსულა, ოჯახშინა ჩაგვიჯდეს. მე ასე არ მინდა, შვილო... ვბიძგე, მარა არ მიდის. შენ გელის. იმან მითხრას და წავალო. მე იმასთან მოვედი, თქვენთან არ მოვსულვარო. შინ არ შევუშვი, შვილო, რამე უბედურებაში არ ჩავაგდო ბიჭი მეთქი... თავისი ფეხით მოსული ქალი რა ხეირს დამაყრის მე. ნალაპარაკევი, სადაც ქალი რა სიკეთეს მომიტანს, ერთი მითხარი. ანდა შენ რათ გინდა უქორწილოდ, გამოპარვით მოთრეული ქალი. დაფიქრდი, დაფიქრდი!..

შენც ფიქრობდი და ვერაფერი გადაგეწყვიტა, გაოგნებული შესცემოდი დედას, ვერაფერს მიმხვდარიყავ, რა ხდებოდა შენს ირგვლივ.

უსაშველოდ დიდი, მდუღარე ზვავი მოწყდებულს და სხეულის უძირო უფსკრულებში ჩაიღვარა. სულისთქმა გიჭირდა, ფეხებიში მიწა საამოდ ირხეოდა, დედის შეშფოთებული ქაქანი და ქოშინი აღარ გესმოდა, მიცურავდი უცნობ, უხილავ ოკეანეში, შორს, პორიზონტზე მიმზიდველი, წალკოტოვანი სანაპირო ელვარებდა.

„ნაზიკო ჩემთან მოვიდა? თავისით მოვიდა? ვუყვარვარ?... თვითონ მითხრას და გავბრუნდებიო?“.

ორჯერ შევხვედრივარ რამდენიმე წუთით, ისიც შემთხვევით, — იგონებდი ჟაშინ დედის წინ მდგომი. — პირველად დანდალოს ხიდთან, რაიონში მიმავალ ავტობუსს რომ ველოდებოდი, მეორედ — კომპავშირული კრების შემდეგ, კანტორის ეზოში. მუდამ მომწონდა, მუდამ მასზე ვოცნებობდი. მაშინ, დანდალოს ხიდთან კიდეც გავეხუმრეს ისე მეღამაზე, ახლა, ნაზიკო, რომ ამ თამარის ხიდთან მინდა შენც ჩემი თამარი იყო.

ასე დავხლართე სათქმელი, თითქოს შიგ რაღაც დიდი აზრი ჩავდევი, რაღაც შორეულსა და ჩემთვის ძვირფასს გავეთამაშე. ხოლო მეორედ, იქ, კანტორის ეზოში ბნელოდა, ხელი ხელში მეჭირა ერთხანს და თითებს მისას ვეფერებოდი. რაიმეს ხმამალლა თქმა არ შეიძლებოდა, კრების მონაწილენი ჯერ კიდევ არ გაფანტულიყვნენ. მხოლოდ იმათი მეშინოდა, თორემ მისი თითებიდან ჩემში ისეთი მდუღარე ძალა მოუონავდა, რომ მეგონა მთების დაძვრას შევძლებდი. უცებ მან საშინელი ძალით მომიჭირა ხელი ხელზე და გაიჭკა. ამით რაღაცა მითხრა, მაგრამ კარგად ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა მისი ნათქვამი.

იმ ხანად ჩვენს სოფელში თითო-ოროლა ჩაღროსანს კიდევ შეხვედრობოდი. ქალიშვილი მარტო ვერ გაივლიდა.

ამიტომ ამგვარ ერთწუთიან შეხვედრისას, ხელის ერთ ჩამორთმევაში და ერთ სიტყვაში, ზოგჯერ მთელი წლის ნაფიქრალი უნდა ჩაგეტია.

დედაშენი მიგიხვდა, რადგან ბევრისმთქმელი დუმილით დუმდი.

მაშინ კი, შეხვედრისას, ნაზიკომ ბევრი რამ უფრო მწვავედ და სერიოზულად მიიღო, ვიდრე შენ ანიჭებდი შენს ქცევას და ნათქვამს.

სიყვარულთან თამაში არ შეიძლება.

ქალს ხშირად სჭერა, არ ავიწყდება, უვლის, ზრდის, ეფერება იმ შენს წინდაუხედავად, ნაჩქარევად, ბოლომდე გაუაზრებლად წამოსროლილ სიტყვას. ქალიშვილის გული გაზაფხულის ნოყიერ ნიადაგს ჰგავს. რაც გინდა მარცვალი იყოს, ხელუკულმაც რომ გადააგდო, გაღვივდება, წალმა ამოვა.

დედაშენი კი ნამდვილად მიგიხვდა, შენ ნაზიკო გინდოდა.

ქალიშვილიც გრძნობდა ამას და თავჩაღუნული, მაგრამ ამაყი და მშვიდი, იდგა კიშკართან და თქვენს განაჩენს მოთმინებით ელოდა.

— კაი, ნენი, — უთხარი დედას — მე თვითონ ვეტყვი ნაზიკოს.

ქალიშვილს პატარა ბოლჩა კოინდარზე დაედო. ალუბლისფერა ტუფლები ეცვა, ორი შავი ნაწნავი მქერდზე გადმოეყარა, ზედა ტუჩზე ოფლის ცვარი უციმიმებდა, ფართო თვალები მიმავალი მზისთვის მიეპყრო და პატარა ცისარტყელებით მონთებულ ცქერაში შენ ვეღარ გააჩიე რა ფერისა იყო მისი თვალები. დედაშენი კიბესთან შეჩერდა და სულშებოჭილი შემოგყურებდა.

შენ ფრთხილად მიუახლოვდი გოგონას, ბოლჩა ხელში აიღ და თრთოლვით უთხარი:

— წამოდი, ნაზიკო.

ოდაში იმ მხრიდან შეიყვანე, საღაც იმის წინ დედაშენი გესაუბრა. ხალიჩიან სექვზე ჩამოჯდა, მუხლებზე ხელები დაიფარა. ოთახი ქალიშვილის გამაბრუებელი სურნელით გაივსო.

— თუ გიყვარვარ, რატომ გეშინია?

— რა?

— ხომ მითხარი მაშინ, მიყვარხარო. თუ გიყვარვარ, არ უნდა გეშინოდეს.

— არ არის სწორი. — წამოგცდა გაუბედავად.

— არა? მე კი მეგონა მართლა გიყვარდი და...

— არა, შიშზე გეუბნები. რისი უნდა მეშინოდეს? — გათამამდი შენ.

მან თავი ასწია, შემოგხედა, ნაწნავები ცალი ხელით მომუჭა, ღრმად  
 ჩაისუნთქა და თავისუფლად გაიღიმა.

ეს ღიმილი ზეიმს ჰგავდა.

ეს ღიმილი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ის ძალა, რამაც ჩვენში სა-  
 მასი წლით სიყვარული დათრგუნა და გააუქმა.

მეორე ოთახიდან მამის ბუქბუხი მოგესმა და გაისუსე.

— დედაბერო, თავი დამანებე მეთქი! ახლა ის ხომ ბალანა აღარაა.  
 დროც მისია. ქნას რაფრათაც ურჩევნა! — ყვიროდა ბერიკაცი.

ნაშუალამევს ვიღაცამ ეზოდან დაიძახა.

შიგნიდან უმალვე გაიღო კარი და კიბეზე მძიმე და მტკიცე ნაბიჯები  
 დაეშვა. მოელი სახლი აზანზარდა.

— ვინ ხარ, მობრძანდი! — გაისმა მამაშენის ხმა.

შენც წამოდექი და კართან ატუზულმა მიაყურადე.

უზოს ბნელ კუთხეში ვიღაც ორი კაცი დიდხანს ედავა მამაშენს. შენს  
 სახელს იმეორებდნენ და ითხოვდნენ, რომ გასულიყავ და პასუხი გაგეცა.

დაემუქრნენ, მაგრამ მამაშენმა წარბი არ შეხარა, წინ გადაეღობა,  
 ხვანჯარში გამორწობილი ძველი ყამა დააძრო და დასჭყივლა, ფეხი არ  
 გადმოდგათ, თვარა აგჩეხავთო. შენაც გაგულისდი, კარებს მიასკდი, მაგ-  
 რამ ნაზიკომ წინ გაგისწრო, კიბე ჩაირბინა და უმალვე სიბნელეში გაუჩი-  
 ნარდა.

— ყველაფერი ჩემი ბრალია. აგერ ვარ, მოდით! — შეუძახა მოსულთ.

— უნამუსო! — გაისმა ცივად ბნელში.

— მიყვარდა და მოვედი, ესაა უნამუსობა?! მომკალით აბა, რას უც-  
 დით! — არ ცხრებოდა ქალი.

ომი მოგებული იყო. ბრძოლის ველი დაცხრა, დაცარიელდა. ყამა ქა-  
 რქაში დაუბრუნდა, ნაზიკო კი — შენ.

\* \* \*

ახლა კი, მამისეულმა სახლმა კვლავ ჭაბუქად გაქცია თითქოს.

ნაზიკომ სახლის კარ-ფანჯრები დააღო. სიბნელე უცაბედად ჩამოეშვა  
 და ქალმა შუქი აანთო. ბიჭმა ჭერ ეზოში თამაშით გული იჯერა, შერე  
 დოჭით წყაროს წყალი მოარბენინა. წყენა და გაფავრება გადაგავიწყდათ,  
 უნებურად ყველაფერი გაპატია ნაზიკომ, გამოცოცხლდა, მხიარულად  
 ალაპარაკდა და შენც აგიყოლია. სახლმა გამოიღვიძა, საღამომ გრილი  
 ნიავი ამოისუნთქა და იფნები ეშხიანად აშრიალა.

შენ და ნაზიკო იმ პირველი ღამის ოთახში მოეწყვეთ. ნაზიკოს აქვთ  
რვებდა შენი გალალებული ალერსი. შენ თვითონ გიკვირდა, რამ შემცვადებული  
ლა ასეო. ამ მოულოდნელი და ამოუსსნელი სიხარულით გაბრუებულ  
ბინდუნდში თითქოს უხერქულად, მაგრამ თავშეკავებულად დაგცდა:

— მიყვარხარ, ნაზიკო, ახლა რაცხა ძალიან მიყვარხარ...

დილით რომ თვალი გაახილე, ნაზიკო ღია ფანჯარასთან იდგა ძველ,  
ქალიშვილობისდროინდელ ჩითის კაბაში გამოწყობილი და საღლაც გატა-  
ცებით იყურებოდა. ის კარგად გრძნობდა, რომ უკვე შენც გელვიძა, მაგრამ  
არ მობრუნებულა ისე წარმოთქვა:

— მე აქედან ვეღარ წავალ... გესმის?... არ მინდა წასვლა. არ მკითხო  
რატომ. აქ მინდა. აქ უნდა ვიცხოვროთ...

შენ კარგად შენიშნე, მხრები როგორ უთროთოდა.

ალბათ ქვითინებდა.

\* \* \*

ახლა, როდესაც მიწაზე ვდგავარ  
დიდი გულით და მცირე კარავით,  
მე ქვეყნად ყველა მომაკვდავს ვგავარ.  
მე კი არა მგაც ქვეყნად არავინ,  
როგორც გონებას ფინჯანი ყავა,  
მოეკიდება ღამეს ფარანი...  
მაწაზე ყველა მომაკვდავს ვგავარ,  
არ ვუნახივარ ცაში არავის.  
წოგჩერ ვიხსენებ ძვირფას სახელებს,  
ზოგჯერ პატარა დუმილიც დამღლის...  
და სადგურების ცივი ძახილი  
დამყვება, როგორც ერთგული ძალი.  
ისე მძიმეა ახლა დუმილი,  
როგორც ციხეზე რკინის გოდოლი.  
ამოდის მთვარე და მისი ჩრდილი  
ეცემა მიწას — მწვანე ფოთოლი.  
ეცემა მიწას და ცა ნებივრობს,  
მიწაც ნებივრობს არანაკლებად,  
მიდიან წლები ჩვეულებრივად,  
მიდიან წლები და მე მაკლდება —  
უველა წუთი და ყველა საათი  
და დიდი თოვლი მიმზერს თვალებში.  
უაპრობაა ღროსთან კამათი,  
როგორც საკუთარ თავთან ალერსი.  
მე კი ცოტათი მეტი მინდოდა,  
მაგრამ სხვა იყო მაინც მთავარი —  
დიდი თოვლი და უამინდობა  
და მიზეზები კიდევ მრავალი.

და შუალამე როგორც ტკიფილი,  
მართმევდა შენზე ფიქრის უფლებას,  
მერე ისმოდა მამლის ყივილი,  
როგორც ძახილი თავისუფლების.

\* \* \*

შენ მალე წახვალ, ბაგე ალუბლის  
ჩემს ობილ თვალებში ღიმილს დატოვებს  
და უეცარი თრთოლვა დაგვივლის  
ჩვენ, ამ ლამაზი განძის პატრონებს.  
შენ მალე წახვალ და სხვა ბაქანი  
შეიმოსება შენი სიცილით.  
ბაქანზე გხვდება ზოგი მათგანი,  
ხელებს გიქნევენ, — აი ისინიც.  
მაგრამ აქა ხარ, ჯერ არ წასულხარ,  
ცა მიყვარს შენი თვალით ნანახი.  
ეს არის ჩემი გულის პასუხი,  
ნათქვამი შენი სულის კარნახით.

\* \* \*

შენა ხარ თამთა,  
შენა ხარ თამთა,  
შენ შეგისრულდა წელი რამდენი,  
ოუ ნებას დამრთავ,  
თუ ნებას დამრთავ,  
შენი მთებიდან ზამთარს გავდევნი.  
შენა ხარ თამთა,  
შენა ხარ თამთა,  
შენი მთებიდან გავდევნი ზამთარს,  
თუ ნებას დამრთავ,  
თუ ნებას დამრთავ,  
შენოან ვიქენები ზაფხულ და ზამთარ,  
თამთა, ეგ შენი სიზმრების კალთა,  
ცისცერია და ცასავით ფართო,

ახლა ღამეა და ვდგავარ მარტო  
 შენი ლამაზი ოცნების კართან.  
 ახლა ვკამათობ საკუთარ თავთან  
 (ჩემმა უფალმა და ჩემმა ღმერთმა),  
 რომ ვინადირო ინდთან და განგთან  
 და ვეფხვის ტყავი გავიგო ფერხთა.  
 აღარ ხარ, თამთა, საკუთარ თავთან,  
 საკუთარ თავთან აღარ ხარ, თამთა,  
 შენ შეგისრულდა თვრამეტი წელი,  
 თვრამეტი წელი, ესოდენ მწველი,  
 შენ ახლა რაღაც სასწაულს ელი  
 და ვეფხვის ტყავზე იხდი და წვები.

\* \* \*

მეგობრების ალერსი,  
 მეგობრების მდურვა,  
 სანამდე უნდა ზიდოს  
 ამ პატარა გულმა?!  
 ამხელა სიხარული,  
 ამოდენა ურვა,  
 როგორ უნდა გაუძლოს  
 ამ პატარა გულმა?!

როგორ უნდა გავიგო  
 გიყვარვარ თუ გძულვარ,  
 შვება როგორ იპოვოს  
 ამ პატარა გულმა?!  
 წუთისოფლის კალოზე  
 ბედის ჩარხის ბრუნვა,  
 როგორ უნდა დალოცოს  
 ამ პატარა გულმა?!

## აღმასახელ სამსონია

## შაგათი, კვირა, ორშაბათი და სამშაბათი

ვ 3 0 6 5

კალენდარზე კვირა წითლადაა აღნიშნული, ესე იგი, დასვენების დღეა. ზოგიერთი მის დადგომას ხელფასის მომატებასავით ნატრობს. ერთ კვირის რაც არ მიძინია, სულ ამ დღეს გამოვიძინებო. მაგრამ ნურას უკარევად! სტატისტიკით დამტკიცებულია, რომ უქმე დღეს ხალხი ჩვეულებრივზე ადრე იღვიძებს. თუ ვინმეს ამ ფაქტში ეჭვი შეეპარება, ჩვენი ნაცნობი საპროექტოს მაგალითი შემიძლია მოვიყვანო: კვირს ყველა თანამშრომელმა გრაფიკით გათვალისწინებულზე ადრე გაიღვიძა, ხოლო რაც შეეხება ვაჩე ვაჩეიშვილს, შემიძლია თამამდ გითხრათ, რომ კვირა დილით მას არც გაუღვიძია.

ხომ არ შეშინდით? ზოგიერთი რომ ფიქრობს, არც ისეა **საქმე**; ვაჩეს წინ დიდი ამბები ელის და ასე ადრე სასიკვდილოდ ვერ გავიმეტებთ.

არ გაუღვიძიაო, რომ ვთქვით, აბა როგორ გაიღვიძებდა, როცა არც დაუძინია და მთელი ღამე ფიქრებში გაატარა.

საფიქრებელი ვაჩეს საკუთარ თმაზე მეტი ჰქონდა: ცოლი მოსაყვანი იყო, ბინა — მისაღები, კბილი — დასაპლომბავი, უფროსი — გასალახვი (ვისი გამლახველი იყო, მაგრამ ოცნებაში მაინც უსწორებდა ანგარიშს).

პრობლემები, როგორც ხედავთ, უამრავი იყო, მაგრამ მთავარი სადარდებელი ვაჩეს ის ჰქონდა, ღმერთმა ყარამანვიჩი უფროსად რატომ გამიჩინაო. ვინმეს რომ ეკითხა, ამისთანა რა დაგიშავაო, უცებ პასუხსაცვერ ეტყოდა. უნიჭოაო, რომ ეთქვა, უნიჭობა განა დანაშულია? კაცი თუ

უნიჭო დაიბადა, სავარძელი ჭკუას ხომ არ მოუმატებდა. არც ბოროტკაციად შეიძლებოდა ყარამანოვიჩის მონათვლა, სხვაზე რა მოგახსენოთ და ვაჩესთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია, პირიქით, ბინას აძლევდა და უარი უთხრა.

მოკლედ, არ უყვარდა ვაჩეს თავისი უფროსი, დანახვაც კი არ სიამოვნებდა. პირადი მტრობა აქ მაინცდამაინც არაფერ შეუაშია. ხომ გითხარით, ვაჩე ვაჩეიშვილი დიდი საქმეებისთვის იყო დაბადებული და საპროექტოს ვიწრო კედლები მის მოწოდებას აბსოლუტურად არ შეეფერებოდა.

წიგნებით გამოტენილი ეს პატარა ოთახიც არ შეეფერებოდა ვაჩეს მოწოდებას. თქვენ არ იფიქროთ, ფუფუნების მოყვარული კაცი იყო და ხუთოთახიან ბინას ნატრობდა. ვაჩე ორ ოთახზეც არ იტყობა უარს — ერთში მარტო წიგნებს დააწყობდა, ხოლო მეორეში წიგნებთან ერთად ოვითონაც დაიძინებდა. თუკი ამ ორ ოთახს აბაზანაც ეჭნებოდა, ამაზე დიდ ბედნიერებას ვაჩე ვერც წარმოიდგენდა. ჩაწვებოდა ცხელ წყალში და იკითხავდა წიგნებს.

დიახ, ვაჩე ვაჩეიშვილის მაგალითზე შეიძლებოდა იმ ჭეშმარიტების დადგენა, რომ ძაღლის შემდეგ წიგნი აღამიანის საუკეთესო მეგობარია. მაგრამ ეს მეგობარი ბოლო დროს კინაღამ მტრად გადაექცა; თაროებზე რომ არ ეყო ადგილი, იატაკი დაისაკუთრა, მერე სამზარეულოშიც ჭიჭრა და ბოლოს სახლიდან გაძევებითაც დაემუქრა. სადაც არ უნდა გადაედგა ფეხი, წიგნები ებლანდებოდა, სტუმარს სკამს ვერ შესთავაზებდა, რაღაც სკამებზე წიგნები ელაგა. ვინ არ უთხრა, ამდენს რატომ ყიდულობ, სანახევროდაც ვერ ასწრებ წაკითხვას, მაგრამ გაგონებაც კი არ უნდოდა, რომ ვუყურებ, ისიც მსიამოვნებსო.

ისე, უცნაური კია, ყველას რატომლაც წიგნები ეჩირება თვალში, აბა ვინმეს ვინმესათვის უკითხავს, ამდენ კოსტუმს რატომ ყიდულობო?

როგორც უვავე ვთქვით, ფიქრებთან ჭიდილში გათენდა კვირა და ლა და ვაჩეს გაახსენდა, რომ საღამოს გრიშა სეფერთელაძესთან იყო და პატიჟებული.

ზოგი ფიქრობს, რომ კაცი სუფრაზე მხოლოდ დასათრობად მიდის. გრიშას სუფრას ვაჩესთვის მარტო ღვინის დალევის მნიშვნელობა არ ჰქონდა. სტუმრად, რასაკვირველია, ყარამანოვიჩიც იქნებოდა დაპატიჟებული და მისთვის გენერალური ბრძოლა უნდა გაემართა. ამ განზრახვამ ისე დაუმშვიდა აფორიაქებული ნერვები, რომ საღამომდე უსიშმროდ იძინა. საღამო რომ დადგა, წვერი გაიპარსა, ნაფტალინში შენახული საგარეო კოსტუმი ჩაიცვა და „ჭრელო პეპელას“ ღილინით სტუმრად გაემართა.

რადგან კარგ ხასიათზე იყო, გრიშას სახლამდე სწორი გზით კი არ წასულა, ტაქსის მძღოლივით შორიდან მოუარა. ვალიდას უბანი ზღვისპი-

რას იყო და იმიტომ უყვარდა აქეთკენ სიარული. ამჯერად გზაზე  
ნობი არავინ შეხვედრია.

ყარამანოვიჩის გარდა ვაჩეს გრიშასთან უველა მისული დახვდა. მას და  
პინძელი და მისი მეუღლე ცუცა სუფრას აწყობდნენ, ხოლო პირზენერწყვ-  
შომდგარი სერაპიონი და თამაზი ნარდით იტყუებდნენ თავს, თალიკო და  
ვალიდა, როგორც მათ ახლანდელ ურთიეროობას შეეფერებოდა, ერთმანე-  
თის პირდაპირ სავარდელში ისხდნენ და სხვების დასანახად უურნალებს  
ფურცლავდნენ, სინამდვილეში კი ერთმანეთს მალულად ზვერავდნენ. თა-  
ლიკო იმით ინუგეშებდა თავს, პროვინციულად გამოწყობილა, გემოვნება  
სულ არ ჰქონიაო, ვალიდას კი უხაროდა, გულზე სკდება, მასზე ლამაზი  
რომ ვარო.

ახალმოსულმა უველას საერთო სალამი მისცა. ვალიდამ ისე მომხიბ-  
ვლელად გაულიმა, რომ ვაჩეს თალიკოსაკენ გახედვის შეეშინდა, როცა  
სითამაშე დაუბრუნდა, უველა გასავონად რაციონალური წინადადება წა-  
მოყენა, სტუმრები რომ მასპინძლებს მივეშველებოდეთ, ურიგო არ იქ-  
ნებათ. ამაზე გრიშამ უპასუხა, მიშველება მარტო ღვინის სმაში მინდა  
მეო.

აზარტში შესულ მონარდეებს შიმშილი გადაავიწყდათ.

- იაქე არ არის ამ კამათელზე, ბატონო გრიშა? — იკითხა თამაზმა.
- შაში მოითხოვე და იქნება, — ურჩია ვაჩემ.

მართლაც იაქე გაგორდა და თალიკომ მომენტი იშოვა.

- საპროექტოში რას იკლავ თავს, ასეთი სპეციალისტი ყოფილხარ!
- ვაჩემ შეიფერა.

— ღრო იყო, ჭიქით მაგორებინებდნენ კამათელს.

- მერე ამისთანა ხელობას დაკარგავდა კაცი!

თალიკო აშკარად საჩხეუბრად იყო მომზადებული, მაგრამ ყარამანო-  
ვიჩისათვის გათვალისწინებულ ენერგიას ვაჩე მასზე ხომ არ დახარჯავდა!

— იაქეს კარზე რომ სამი ქვა დაგრჩება ასავევანი და დუშაშს გააგო-  
რებ. თუ იცი, რა უნდა ქნა, ვაჩე ბატონო? — ახლა სერაპიონმა იკითხა.

— მაგი ძველი ანექდოტია.

— როგორც ჩვენი ცხოვრება, არა? — თალიკოს ჭიბრზე ხმა ამოიღო  
აქამდე გაჩუმებულმა ვალიდამ.

— ღიახ, ლამაზო ქალიშვილო. — დაუდასტურა ვაჩემ.

თამაზმა ველარ მოითმინა.

— მაგი ლამაზი ქალიშვილი მე მომყვა და ახლა არ მითხრა, ოტელო  
ხარო.

ვაჩემ სხვების დასანახავად გაიცინა.

— ა, ბატონო, ავწიე თრივე ხელი.

— რომ მე გამომიწოდო, არა? — წამოდგა თალიკო.

— თქვენ დღეს შეუდარებელი ხართ, — უთხრა ვაჩებ.

— თქვენ კიდევ ახალი კოსტუმი ჩაგიცვამთ, მაგრამ დაუთავება დაგ ვიწყებიათ, — ისე თანაგრძნობით შეხედა თალიკომ, რომ ვაჩემ კინიალამ უთხრა, აბა ვინ დამიუთავებდა, მარტო კაცი ვარო. ამაზე, აღბათ, თალიკო ეტყოდა, მარტო ხელა იქნები, როცა ვერავის ამჩნევო და ასე შემდეგ...

თალიკოს შენიშვნაზე ვაჩეს პასუხი არ გაუცია, კარადა გამოაღო და წიგნები გადაშალა.

— არ მეგონა, გრიშას თუ ასეთი კარგი წიგნები ექნებოდა ოჯახში, — თქვა მან.

— შენ ის თუ გეგონა, ახალგაზრდობაში გრიშა ლექსებს რომ წერდა? — ჰყითხა ჭასპინძელმა, — წიგნი კი მიყვარს, მაგრამ სივიწროვის გა- მო ცოტას ვყიდულობ.

— წიგნებს კი არა, ამ ბინაში ადგილი ჩვენ არ გვრჩება, — სიტყვა შეაწია მეუღლეს ცუცამ.

ვალიდას გაუკვირდა.

— რას ბრძანებთ, ქალბატონო, ორი ოთახი და ლოჭია განა ცოტაა?

— თქვენებელა რომ ვიყავი, მეც ასე ვფიქრობდი, ოჯახს მოეკიდებით და მაშინ ნახავთ.

— წინათ არც ეს გვეონდა, ქორწილი ნაქირავებ ოთახში გადავიხადეთ, — გაიხსენა გრიშამ.

— ნაქირავებ ოთახში სხვებმაც იქორწინეს, მაგრამ დღეს ნახე რო- გორ ცხოვრობენ.

გრიშამ ხელები აღაპყრო.

— მოთმინებითა შენითა მოიპოვე პური შენიო...  
სერაპიონმა შაშის კარზე ქვა მოკლა და საუბარში ჩაერთო.

— გრიშა, მე თუ მოთმინება მაკლია... აღარ მახსოვს, რამდენი ხანია რიგს ველოდები.

— ვაჩეც ელოდებოდა და ბეღმა გაულიმა, მაგრამ უარი თქვა.  
ვაჩემ კარადა დახურა.

— ჩემზე მეტად სერაპიონს უჭირს, რომ არ მისცენ არ შეიძლება.  
ახირებული კაციაო, ბევრჯერ უთქვამს ვაჩეზე ქმარს, მაგრამ ასეთ რამეს ცუცა ვერც კი წარმოიდგენდა.

— ბინას გაძლევდნენ და თქვენ უარი თქვით? — ჰყითხა მან ვაჩეს.  
— დროებით, რასაკვირველია, ქალბატონო.

თალიკომ აუქსნა.  
— ბინა, ცოლი და შვილი ვაჩეს არ აინტერესებს, ღრუბლებში დაფ- რინავს.

— ანგელოზი ყოფილა.  
— მაგის ანგელოზობას ნახავ პატარა ხანში, ჩემო ცუცა,—დააიმედა  
გრიშამ.

ვაჩემ დიასახლისს აუხსნა, პაპიროსსაც ვეწევი და ღვინის დალევაც  
შემიძლიაო, რომ დავთვრები, ვიგინები კიდევაცო.

ცუცა ვერ გაერკვა, ხუმრობს თუ მართალს ამბობს ეს კაციო, და  
ხაჭაპურების მოსატანად გავიდა სამზარეულოში.

თამაზს ნარდი მოწყინდა.

— მოვკვდი ამდენი თამაშით... როგორ ატყობთ, სუფრაზე აღარ  
დაგვიძახებენ?

— ჭერ არა, —მიუგო ვაჩემ.

— რატომ, თუ იცი?

— ყარამანოვიჩი არ მოსულა და იმიტომ.

ვაჩეს სიტყვებს გრიშამ ყური მოკრა და, არაა მაგი მართალიო, გა-  
ნაცხადა. ამასობაში ტელეფონმა დარეკა და ვაჩეს ქართული ანდაზა მო-  
აგონდა, ძალი ახსენე და ჯოხი ხელში დაიკავეო. გრიშას მისვლამდე  
ტელეფონი მან აიღო.

— დიახ, სეფერთელაძის ბინაა, მაგრამ თქვენ ვაჩეიშვილი გელაპა-  
რაკებათ... მთელი საპროექტო აქ გახლავთ და შიმშილობს თქვენს მოლო-  
დინში. დაშვრილებით ახლა გრიშა მოგახსენებთ.

გრიშას უფროსისათვის წინასწარ ჰქონდა ნათქვამი, სუფრაზე ვინ  
იქნებოდა, მაგრამ ახლა კიდევ ჩამოუფალა. თუ არ მოხვალთ, ძალიან გვა-  
წყენინებთო, შეახსენა, მაგრამ ყარამანოვიჩმა, ალბათ, ისეთი მიზეზი უთ-  
ხრა, რალა გაეწყობაო, სინანულით ჩაიღაპარაკა.

ვაჩემ გამომცდელად შეხედა გრიშას.

— გინდა გითხრა რატომ არ მოვიდა?

— შენი შეეშინდა ხომ?

— შიში არ ვიცი, მაგრამ ჩემისთანა ხალხს სუფრაზე კი არა, სამსა-  
ხურში ვერ იტანს.

გრიშამ გაიცინა.

— თქვა ამან არაკი! კაცი მინისტრებთან საღილობს და შენთან  
რატომ შეეშინდებოდა.

სერაბინი შიმშილმა შეაწუხა.

— რა ვქნათ ახლა, თქვენს ჩემებს ვუყუროთ?

— არა, სუფრასთან მობრძანდით, — მიიპატიუა სტუმრები მასპინ-  
ქელმა.

ცუცამ ბოლიშები დაიწყო, თუ გაგვებედება, გასინჯეთ ჩვენი ნახე-  
ლავიო, თამაზმა ხათრისათვის კი თქვა, როგორ გეკადრებათ, ჩემო ბატო-  
ნოო, სხვებს პატიუა არ დაჭირვებიათ.

- ვაჩე ვაჩეიშვილი სუფრის თავში დაჯდა, ვინაიდან თამაღა მე ვიძნები, ღროჟე დავიკავებ აღგილსო, აუხსნა ხალხს, სხვათა შორის, ყარა-შანვრის რომ მოსულიყო, თამაღა მაინც მე ვიქნებოდი.
- რატომ იქნებოდი? — დაინტერესდა სერაპიონი.
  - თქვენზე მეტი ღვინის სმა და ლაპარაკი რომ შემიძლია, იმიტომ.
  - მოუჭრა ვაჩე.
  - ლაპარაკი, კი ბატონი, — დაეთანხმა გრიშა, — მაგრამ...
  - მაგრამსაც გაჩვენებთ!
  - გაოცებულმა თამაზმა ხელები გაშალა.
  - ჯერ არ დამჯდარა და გვემუქრება! ეს საღაური წესია, თამაღა რჯახში მასპინძელი უნდა იყოს.
  - გრიშა, თანახმა ხარ ვაჩეს თამაღობაზე? — იქითხა სერაპიონმა.
  - შაჰაბაზივით დაჯდა მაგ სკამზე და უარს ხომ არ ვეტყვი!
  - ვაჩეს მეტი არ უნდოდა.
  - მაშასაღამე, ორგანიზაციული საკითხები მოგვარებულია, ვიწყებთ საქმეს. ვიღრე თამაღის სადღეგრძელოს დავლევდეთ, ნება მიბოძოთ ჩემი თავი მე დაგიხასიათოთ.
  - ჩვენი დახმარება ხომ არ დაგჭირდება? — შეეკითხა თალიკო.
  - მე ორმოცი წლისა ვარ...
  - სულ არ გეტყობათ! — ეს ვალიდა იყო.
  - კომპლიმენტები არ მიყვარს...
  - თამაზმა შეახსენა.
  - რა ვიცი, ნიჭიერი ვარო, ყველას უმტკიცებთ.
  - ეს ისეთი ფაქტია, ჩემო თამაზი, რომელსაც დამტკიცება არ ესაჭიროება. სხვათა შორის, მეც შენსავით ინსტიტუტი დავამთავრე, ასპირანტურაში მტოვებდნენ, მაგრამ საპროექტოში ყოფნა ვარჩივ... კიდევ იმას ვიტყვი, რომ მლიქვნელი ხალხი არ მიყვარს... ქალბატონო ცუცა ასე გავირებული ნუ მიყურებთ... მე ახირებული ვარ და როგორც თქვენი მეუღლე გეტყოდათ, აწი ჩემი გარდაქმნა არაფერს შეუძლია.
  - არც სიყვარულს? — დაინტერესდა ვალიდა.
  - ლამაზი ქალის სიყვარულსაც არა!..
  - თამაზს ჯერ ღვინო არ დაელია და ამიტომ ჩხუბის დაწყებას მოერიდა. სამაგიეროდ თალიკომ ვეღარ მოითმინა.
  - ზოგიერთს ავიწყდება, ოჯახში რომ ზის...
  - ვაჩემ თავი დაუქნია, ყველაფერი გასაგებიაო.
  - და სწორედ ამიტომ საკუთარ დახასიათებას ვამთავრებ...
  - აგაშენა ღმერთმა! — სული მოითქვა გრიშამ.
  - ვაჩემ ხაჭაპურს ჭემო გაუსინჯა, კი ნახელავიაო და საზეიმოდ განა-

ცხადა, ახლა შევუდგები იმ მძიმე მოვალეობის შესრულებას, რაც ოქვენი ხათრით ვიყისრეო. მერე თამაზს მიუბრუნდა.

— ვიცი რაღაცა მწარე გინდა მითხრა, მაგრამ ჯერ დამითვალე, რამდენი კაცი ვარო ამ სუფრაზე.

— ექვსი კაცი და ერთი თამადა. — დაუთვალა თამაზმა.

— ჩემო გრიშა, შეიდი ჭიქა დამიწყვე აქ, — განკარგულება გასცა ვაჩემ, — შევიდი კი არა, თორმეტი, ხუთი რეზერვში უნდა მქონდეს!

გრიშა წამოდგა. სერაპიონმა ვეღარ მოითმინა.

— ერთბაშად თორმეტი ჭიქით იწყებ? ჩვენს გაქცევას ხომ არ აპირებ!

— ამისთანა არაფერი გამიგონია! — გაუკვირდა თამაზსაც.

გრიშამ თორმეტი სასმისი მოიტანა.

— თამადის სიტყვა კანონია, თორმეტი სასმისი ბრძანა და თორმეტი-ვე მიმართმევია!

სერაპიონი წამოდგა.

— პროტესტს ვაცხადებ, ასე არ შეიძლება!

ვაჩემ გაიცინა.

— გთხოვთ, დაიმახსოვროთ, ცხოვრებაში სერაპიონი პირველ პროტესტს აცხადებს.

— ბოლოს და ბოლოს, ორიგინალობასაც საზღვარი აქვს! — გაბრაზდა თალიყოც. თორმეტი ჭიქის დალევას მას ვინ დააძალებდა, მაგრამ ვაჩეს გამწარება უნდოდა და ამიტომ ესროდა წამდაუწუმ რეპლიკებს.

ვაჩემ პირადად თალიყოს კი არა, მთელი სუფრის გასაგონად თქვა, ყურადღებას ვითხოვ, აქ მე თამადა ვარ, ფეხბურთის მსახი ხომ არ გგონივართო. მერე ჭიქების დანიშნულება ახსნა, ჯერ ყველა სადლეგრძელოს წარმოვთქვამთ და სიტყვებს როდესაც მოვრჩებით, სმას მერე შევუდგებით.

— ესე იგი, ჯერ სიტყვა და მერე საქმე. — მიხვდა თამაზი.

სერაპიონმა ისევ პროტესტი განაცხადა, ეს სადაური წესია.

— თამადა დიქტატორია, — აუხსნა ვაჩემ, — ასე არ ვიცით ქართველებმა, ბატონო გრიშა?

— დიქტატურასაც გააჩნია.

— უხერხულია, — სიტყვა შეაწია ქმარს ცუცამ, რომელიც იმაზე უფრო წუხდა, თორმეტი ჭიქის შემდეგ თამადამ ოჯახში დარჩენა არ მოითხოვოს.

— მენდეთ, ქალბატონო, უხერხული არაფერი იქნება, ყველა სასმისს, რასაკვირველია, ერთბაშად არ დავლევთ, — ვაჩემ ჩაახველა და ხმას აუწია, — მაშასადამე, ვიწყებ! პირველად, როგორც წესი და რიგია, ამ

ოჯახის სადღეგრძელო უნდა დავლიო... სიკეთე და ბეღნიერება! ამ ტრადიციულ სიტყვებს მე კიდევ ურთს დავუმატებ — პატიოსნება! დიახ, ხაზასმით ვამბობ, პატიოსნება, რომლის წარმოთქმა ღიმილს არ მოგვარის... კაცს რომ პატიოსან ოჯახში მისვლა გაუხარდება, სტუმარს რომ ალალ გულს უჩევნებს, აი იმას გაუმარჯოს!

— დიდი მაღლობა! — წამოდგა გრიშა.

— მაცალე, არ დამიმთავრებია!

ახლა ცუცამ გამოიდვა თავი.

— ამდენი ქება ნამდვილად უხერხულია.

— რა გაეწყობა, — თქვა ვაჩემ და მეორე ჭიქაც აიღო, — ამით...

— ამით ჩვენს სამშობლოს გაუმარჯოს! — დაასწრო სერაპიონმა.

ვაჩეს გაუქვირდა, როგორ მიმიხდაო.

— შე კაცო, მაგას რა მიხვედრა უნდა, პირველად კი არა ვარ სუფრაზე!

ამ სიტყვებს სერაპიონი გულწრფელად ლაპარაკობდა. ვინ იცის, რამდენჯერ დაულევა პატარა საქართველოს, მისი კოპწია ბუნებისა და მისი ღირსეული შვილების სადღეგრძელო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ თვითონ ერთი ამ ღირსეული შვილთაგანი იყო, თუ დიდი არაფერი გამიკეთებია, დაშავებით ხომ არაფერი დამიშავებიაო.

— რა მაგის პასუხია და, ცვრიან ბალახში ფეხშიშველი გაგივლია, ჩემო სერაპიონ?

ვალიდამ გალაკტიონის ლექსი გაიხსენა.

ცვრიან ბალახში თუ ფეხშიშველა

არ გაგივლია, რაა მამული...

თალიკოს რას გამოაპარებდა, ჩემს ჯიბრზე აკეთებს ყველაფერს, ვაჩეს თავი უნდა მოაწონოსო.

— სხვათა შორის, ცვრიან ბალახში ფეხშიშველი გავლა არ შეიძლება, ცვარი თითებს მოგჭრის, — ვეტორიტეტულად თქვა გრიშამ.

ვაჩემ დაუდასტურა, მართალი ბრძანდებიო.

— რაკი გრიშას სიტყვებს წყალი არ გაუვა, ამ ჭიქით ჩვენს ლამაზ კოლექტივს გაუმარჯოს! ჩვენი კოლექტივი რა კოლექტივიცაა, ყველას მოგეხსენებათ...

— საპროექტოში პირველი აღგილი გვიჭირავს! — ამაყად გადახედა შეუღლეს გრიშამ.

— ჩვენს უფროსს უჭირავს პირველი აღგილი, — გაუსწორა ვაჩემ,

— იცოდეთ, ამ სიტყვებს ფხიზელი ვამბობ.

— რა გინდა ახლა ყარამანვიჩთან? — შეწუხდა მასპინძელი.

— რა მინდა და ბიუროკრატია მაგი ყარამანვიჩი... შენც კარგი ბიუროკრატი ხარ:

ვაჩემ ეს სიტყვები შკაფიოდ უთხრა გრიშას, მაგრამ ცუცამ გაიფიქ  
რა, ალბათ მომეულრაო.

ეროვნული  
სისულეები

გრიშას არ ეცინებოდა, მაგრამ მაინც გაიცინა.

— სულ ასეთი ეძაკვამატი უნდა იყო, შე დაღუპულო?

— სწორედ ამიტომ ჩვენი კოლექტივის სადღეგრძელოს მე შენგან  
დავიწყებ, ჩემო გრიშა. — ჟიქა მიუჭახუნა თამადამ.

მასპინძელმა დაიმორცხა.

— ხომ მითხარი უკვე, მეტი რა საჭიროა.

— ის ზოგადი იყო, ახლა კონკრეტულად შენი სადღეგრძელოა.

— ოომ არ დალევდე, კარგი იქნება...

— როგორ ახლა, მასპინძლის სადღეგრძელო არ დავლიო, მერე კი-  
დევ ჩემი უშუალო უფროსის სადღეგრძელო არ დავლიო? რას იტყვიან  
სტუმრები?

სტუმრები საცივს მიირთმევდნენ, კამათისთვის არ ეცალათ.

— მე რა უფოროსი ვარ, — მოითავმდაბლა გრიშამ, — შენ ჩემი კი  
არა ხანდახან ყარამანოვიჩის სიტყვა არ გვერა.

— ვაჟეკაცურად მითხარი, ასე რამ შეგაყვარა ყარამანოვიჩი?

— ჩემი უფროსი და რა ვენა ახლა!

— მე რომ ვიყო შენი უფროსი? — დაინტერესდა ვაჩე.

გრიშას გულწრფელად გაუკვირდა, შენ ჩემი უფროსი როგორ იქნე-  
ბიო.

— რატომ ვითომ, ყარამანოვიჩის ხელა თავი არა მაქვს? — ჰკითხა  
ვაჩემ.

— მარტო თავი საქმეს არ შველის!

— ვთქვათ, მოხდა სასწაული და უფროსად დამნიშნეს, მაშინ რას  
იზამ?

— შიში შეიქმნა სიყვარულსაო, რუსთაველმა ხომ თქვა მაგი? — გა-  
იხსენა გრიშამ სკოლაში ნასწავლი.

ვაჩე მასპინძლისკენ გადაიწია.

— გრიშა, მოსწო აქეთ ყური, რუსთაველმა ეს სიტყვებიც თქვა:

კაცი ჯაბანი რითა სჭობს

დიაცსა ქსლისა მბეჭველსა,

სჭობს სახელისა მოხვეჭა

ყოველსა მოსახვეჭელსა.

ვაჩეს ლექსებით რას მოუგებდა და ამიტომ კამათი გრიშამ მატერია-  
ლურ სფეროში გადაიტანა

— მე რომ შემეფერება, იმხელა სახელიცა მაქვს და სახლიც; პური  
არ მაქლია და ღვინო, ვცხოვრობ ჩემთვის წყნარად და პატიოსნად.

სტუმრები ბეჭედს ასუფთავებდნენ, გრიშას მხოლოდ მეუღლე შენება მართალს ამბობო.

- მარტო შენთვის ცხოვრება არ შეიძლება,— შეახსენა ვაჩემ.
- საერთაშორისო პრობლემებში ხომ არ ჩავერიო? — დაინტერესდა გრიშა.

— შენს გვერდით რომ უსამართლობა ხდება, იმაში უნდა ჩაერიო, — აუხსნა ვაჩემ, — თანამშრომელს რომ გიჩაგრავენ, ხმა უნდა ამოილო.

გრიშა იმ წამსვე მიხვდა, ვას დაახაგრაზე იყო ლაპარაკი.

— სერაპიონის გულისათვის უფროსს შევაკლა თავი? მერე სერაპიონი ქე იქნება მის ადგილზე და შენს გრიშას პანლური! რას იზამ, დამეხმარები მაშინ?

— დაგეხმარები!

— დასახმარებლად რატომ გავიხადო საქმე. სერაპიონმა საკუთარ თავს მოუაროს, მე ჩემს თავს მოვუკლი.

• სერაპიონი გაბრაზდა, მე რატომ ამომიჩემესო.

— ბოლოს და<sup>1</sup> ბოლოს გამაგებინე, ვისი სადღეგრძელოა, ჩემი თუ გრიშასი?

ვაჩე ახლა მისკენ მიბრუნდა.

— სერაპიონ, ამ გახსენებაზე ვაჟკაცურად მითხარი, გული ძალიან გტკივა?

— გული კი არა, ამდენი ლაპარაკით თავი მტკივა. შენ ხვალ ნახე, რა დღეში ვიქნები ამ ღვინის გადამყიდვე.

— ყველაფერს რომ ღვინოს უკავშირებ, სხვა აზრები თავში არაფერი გებადება?

სერაპიონმა თავზე ხელი დაიკაცუნა.

— მღალატობს ხანდახან ეგ წყეული... ისე ღვინოს შენც ხომ სვამ?

— მე, ძმაო, დილით კანტის ფილოსოფია წავიკითხე, შენ რა პქენი?

— დილით მე ჩემს მეუღლეს ბაზარში ვახლდი.

ვაჩემ შეახსენა.

— იყიდე ქათამი, ნახევარი კილო ნიგოზი, ორი შეკვრა ხახვი...

— ქინძიც ვიყიდე, — დაუმატა სერაპიონმა, — პომიდორი, ახალი პილპილი, ერთ ცალში ორი შაური მივეცი, ძველი ფულით მაგი მანეთია.

— ბეღნიერი კაცი ყოფილხარ, ჩემო სერაპიონ!

— ბეღნიერი მაშინ ვიქნები, ყოველდღე ქათამს რომ ვყიდულობდე.

— შენი აზრით, ყველაზე ბეღნიერი ლუარსაბ თათქარიძე ყოფილა?

— რატომაც არა, — გაუკვირდა სერაპიონს, — აწყობილი ჰქონდა საათივით ყველაფერი, როცა უნდოდა, ჩიხირთმას ჭამდა, როცა უნდოდა, ბოჭბაშს მიირთმევდა, იჯდა თავის სახლში გემრიელად და კაცისშვილს

არაფერს უშავებდა... ფეხბურთი მაგას არ აწუხებდა და ტელევიზორი,  
არც გაჩის ფულს ახდიდა. შეაბერდა თავის დარეჯანს ლამაზად.

ლუარსაბ თათქარიძის ცხოვრება ქალბატონ ცუცას სკოლაშივაჭინაც  
და ნასწავლი, მაგრამ დეტალები ასე კარგად არ ახსოვდა. თუმცა ხმამაღ-  
ლა არ უთქვამს, მაგრამ გულში სერაპიონს დაუჭირა მხარი, არც ისე ურიგო  
კაცი ყოფილა მაგი ლუარსაბიო. თავისი მეუღლის მსგავსად ქალბატონი  
ცუცა ადამიანის ღირსებას მატერიალური მდგომარეობით განსაზღვრავ-  
და. ბევრჯერ უთქვამს, კაი კაცი ოჯახისთვისაც კაი კაცი უნდა იყვეს,  
ცოლშვილი მშიერი არ უნდა დაყაროსო.

რაკი სერაპიონმა ლუარსაბისადმი სიმპატიები გამოამჟღავნა, ვაჩე  
აღარ მოეშვა, ჩვენს საპროექტოში რომ უფროსად ემუშავა, ძალიან შეე-  
წყობოდით ერთმანეთს შენ და ლუარსაბ თათქარიძეო, პროექტის თანა-  
ავტორადაც გაიხდიდიო.

თანაავტორობის გახსენებამ საბოლოოდ გაუფუჭა ხსიათი სერაპი-  
ონს. თანაავტორად ყარამანოვიჩს კი არა, ღმერთიც რომ ჩამოვიდეს მი-  
წაზე, იმასაც ვერ გავიხდიო.

— სისხლი გამიშრა პირდაპირ... ღამე ათას გეგმებს ვაწყობ, შევვარ-  
დები უფროსის კაბინეტში და ყველაფერს პირში მივახლი-მეთქი, დილით  
წამოვალ ასე დაბოლომილი სახლიდან, მივადგები მის კაბინეტს და...

— მუხლები გიყანკალებს, არა? — მიუხვდა ვაჩე.

— რა ვქნა, პატარა კაცი ვარ, რაიმე რომ მოხდეს, ვინ მომხედავს?

— ასე გული რამ გაგიტეხა?

— შენი იმედი კი მაქვს, მაგრამ შენ...

— ჰო, თქვი, როგორი კაცი ვარ, — შეაქეზა ვაჩემ.

— უცნაური ხარ, სხვებს არ გევხარ, შენი ყველას ეშინია... მეც მე-  
შინია ხანდახან. მწარე ენა გაქვს და იმის ბრალია ყველაფერი.

თამაზმა კარგა ხანს ითმინა, მაგრამ ბოლოს თამადის შეახსენა, სა-  
დღეგრძელოები ძალიან გაგვიჭიანურდათ.

ვაჩე ახლა მას მიუბრუნდა.

— შენ, ჩემო ბიძიეო. ახალგაზრდა კი ხარ, მაგრამ ძალიან მხდალი  
გამოდექი, გამძლარი კაცივით ყველაფერზე ქმაყოფილი ხარ, უფროსებს  
არ აწუხებ, საკუთარი აზრის გამოთქმას ერიდები.

ვალიდამ ანიშნა, მართალი ბრძანდებიო და თამაზმა თვალი მოკრა.

— რა ვქნა ბატონო, თქვენ ვერ მოგბაძავთ, ბინა მინდა, ცოლი შინ-  
და, ფული მინდა, ჩხუბს მერეც მოვესწრები.

— მერე დაბერდები ჩემსავით და ღლაბუცი აღარ გიშველის.

დაახლოებით ამგვარი სიტყვებით შეამკო ვაჩემ სუფრის წევრები.  
მართალია, მამაკაცები არ დაინდო, მაგრამ ვალიდასა და თალიკოს საპრო-

როგორც იქნა, სადღეგრძელოები ჩამოთავდა და საქმე ანუ ღვინის  
სმა დაიწყო. თამადის ბრძანებით ჭიქები ბოლომდე უნდა დაეცალათ და  
მერე მაგიდაზე უნდა გაეგორებინათ. ცუცას გული გადაუტრიალდა, ბრო-  
ლის ჭურჭელს დამიმტვრევენო, მაგრამ საბედნიეროდ არაფერი გატეხილა.

წაწყობილმა სმამ ერთბაშად დარია ყველას ხელი, ერთ სათში  
სუფრა სტადიონში დაემსგავსა, თამადის არავინ უსმენდა, ყველა თავის-  
თვის ყაყანებდა.

გრიშამ ვაჩე გადაკოცნა, კაი სმა გცოდნია, ჭერეხივით დაწყვე ეს  
ხალხიო, ასეთი მაგარი თუ იყავი, არ ვიცოდი ნამდვილადო. ამაზე ვაჩემ  
მიუგო, შენ აწი ნახე რას ვიზამო. სმაში რომ გაუმართლა, ძალიან უხა-  
როდა. ხანდახან ვალიდას გადახედავდა, თუ მიყურებსო. ვალიდას რა მო-  
გახსენოთ და თალიკო კი ნამდვილად უყურებდა, იმაზე თუ ფიქრობდა,  
სახლში რომ გამაცილებს, იქნებ მთვრალმა გული გადამიშალოსო. ვაჩეს  
კი ვალადა, გაცილება ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ არ იცოდა, თამა-  
ზისთვის რა მოეხერხებინა.

ღვინო გათავდა და მასპინძელი ახალი ბოცას მოსატანად წავიდა.

— მაგი ხომ იცი, ვის სახელზეა შენახული? — შეახსენა ცუცამ.  
ვაჩე მაშინვე მიხვდა.

— უფროსს გინდათ, ალბათ, დაალევინოთ!

ღვინის ბრალი თუ იყო, გრიშამ ცოლის სიტყვებზე ხელი ჩაიქნია,  
ამ ხალხზე უეტესი სტუმრები მე არ მყავს, ყარამანოვიჩი რას მიქვიანო!

— გრიშა რას ლაპარაკობ, არა გრცხვენია! — გაბრაზდა ცუცა.

— ვისი უნდა მრცხვენოდეს? თუ დალევა უნდოდა, მოსულიყო  
დროზე და დავალევინებდი!

ათლიტრიანში მართლაც საგანგებოდ დაყენებული ღვინო ესხა, მაგ-  
რამ მთვრალი ხალხისათვის ახლა სულ ერთი იყო. ბოცა სანახევროდ  
რომ დაცალეს, დიასახლისმა მაგნიტოფონი ჩართო, იქნებ სმას შეეშვანო.

როგორც კი საცეკვაო მუსიკა გაიგონა, ვაჩემ სულრა მიატოვა.

— გთხოვთ მომისმინოთ. ვინაიდან ჩვენს სამსახურში ყველაზე უკუ-  
თესად მე ვცეკვავ, უფლება მაქვს პარტნიორი ავირჩიო.

ვალიდასთან დააპირა მისვლა, მაგრამ თამაზი გადაუდგა.

— ბოდიში, მაგრამ ამ ქალიშვილთან მე უნდა ვიცეკვო!

რიგი თალიკოს უწევდა, მაგრამ მას უკვე სერაპიონი აერჩია. ვაჩეს  
ისლა დარჩენოდა, დიასახლისთან ეცეკვა. ზრდილობა მოითხოვდა. და  
ბოდიში მოუხადა, დავთვერი და ალბათ ძალიან შეგაწუხეთო. ცუცამ უთ-  
ხრა, როგორ გეკადრებათ, მთვრალი უფრო თავაზიანი გამოიყურებითო.

შუა ცეკვაში რომ იყვნენ, გრიშამ მაგნიტოფონი გამორთო. ჰეშმარი-  
ტმა პროვინციელმა, ალბათ, ის ვერ აიტანა, ცოლი რომ სხვასთან ცეკვა—  
და, მაგრამ ხალხის გასაგონად თქვა, ღვინო გვაქვს აქ დასალევიოდა—  
— მოგვლავთ ამდენი სმა! — შეწუხდა ვალიდა.  
სერაპიონი არ დაეთანხმა.

— ღვინოში მოკლული კაცი არ მინახავს მე!

თალიკოს სალამო ჩამწარებული ჰქონდა და ვერც პერსპექტივაში  
ტედავდა რაიმე სასიკეთოს. ამიტომ კატეგორიულად იკითხა, ხვალ სამსა-  
ხურში წასვლას თუ აპირებთო.

— სამსახური თორემ რაყეტის პროექტზე არ ვმუშაობდეთ ერთბა-  
შად! — თქვა გრიშამ, — ამხანაგებო, ამ ჭიქით, ჩვენ რომ კარგ ხასიათზე  
ვართ, იმას გაუმარჯოს!

— მე რა, მომხსენი თამაღობიდან? — გაუკვირდა ვაჩეს.

— შენ კი არა, თუ დაგვჭირდა, ყარამანოვიჩისაც მოგხსნით, ასეა  
მაგი! — გრიშამ ცარიელი ჭიქა ვაჩეს გადაუგდო, — ერთი ეს დამილი!

ყოფილი თამაღა ალავერდს სერაპიონთან გადავიდა.

— ნეტავ სულ ასეთ ხასიათზე ვიყოთ, — ინატრა სერაპიონმა, — არ  
კმარა სამსახურში რომ ვჭიმთ ერთმანეთს!

— მერე როს გულისათვის, — კვერი დაუკრა გრიშამ, — ქრისტე ხომ  
არა ვართ, მეორედ მოვიდეთ ამ ქვეყანაზე!

ქრისტეს ამბავი რომელიდაც სუფრაზე ჰქონდა გაგონილი და ახლა  
გაუკვირდა, სიმთვრალეში როგორ გამახსენდაო.

ყველასათვის მოულოდნელად ვაჩემ სიმღერა წამოიწყო.

დამისხი, დამალევინე...

ეგ ღვინო ოხერტიალი...

მართალია, არ დაუმთავრებია, მაგრამ მაინც ტაშით დააჭილდოვეს.

— ბატონო ვაჩე, თქვენ მგონი ოპერაშიც მღეროდით? — დაინტე-  
რესდა ვალიდა.

— ოპერაში არა, მაგრამ ოლიმპიადებში კი გამოვდიოდი. ვინ იცის,  
სიმღერას რომ გავყოლოდი...

— ეგებ შალიაპინი იყავი და ტალანტი დაღუპე, — შეწუხდა სერაპიონი.  
მისთვის სიმღერაში ავტორიტეტი მხოლოდ შალიაპინი იყო. რობერ-  
ტინო რომ პირველად გამოჩნდა და ლუგელასავით ქვეყანა გადარია, ალ-  
ტაცებულმა სერაპიონმა თქვა, ნამდვილად გენიოსია, შალიაპინი დაიქნიაო.

ვაჩემ სერაპიონს შეახსნა, ბევრს რომ ლაპარაკობ, ჭიქა ბოლომდე  
დაცალეო.

— ვლაპარაკობ, ხომ არ ვმღერი, — ეწყინა სერაპიონს, — დარჩა

— მეტის დამლევი მე აღარა ვარ! — იუარა თამაზმა.  
სერაპიონმა დრო იშვია.

— გესმით ხალხო, ეს კამეჩი რას ამბობს?

ვაჩემ ბრძანა, თუ ვერ სეამს, თითო მოლუნოსო, თამაზმა თავიც მო-  
ლუნა. მართალია, ეს დამარცხებას ნიშნავდა, მაგრამ კრიტიკულ მდგომა-  
რეობაში იყო, ღვინო ყელში ჰქონდა მიბჯენილი და უარესის მოლოდინ-  
ში ფანგარას არ ცილდებოდა.

— ასე ვიცით ჩვენ! — ყვიროდა სერაპიონი, — წვეთი არ შემირჩე-  
ნია, და ჩიტივითა ვარ, ჩიტივით! ყარამანვიჩი კი არა, ახლა სპილო  
რომ მომიყანო, იმისი არ შემეშინდება!

სულ ერთი ხომ იყო და ლომი რომ ეთქვა, მეტი ეფექტი ექნებოდა,  
მაგრამ რატომლაც სპილო აიჩემა.

გრიშა ვაჩეს შეეკითხა, ნასწავლი კაცი ხარ და გეცოდინება, ღვინის  
სმაში საერთაშორისო ტურნირები თუ ეწყობათ. ვაჩემ რომ ვერაფერი  
უპასუხა, საშინლად გაბრაზდა, თუ არ ეწყობა, აბა ვინ თქვა, ფრანგები  
უართველებზე შეტ ღვინოს სვამენო!

არველი საათი ომდ გათავდა, ვალიდამ და თალიკომ, როგორც იქნა,  
შამაჭაცვები უაარწმუნეს, რომ სახლში წასვლა იყო საჭირო.

ვაჩემ ვალიდას გაუბა ლაპარაკი, თამაზი მიხვდა, გაცილებას უპირებ-  
ნო და პირდაპირ მიახალა, მე და ვალიდა ერთად მოვედით და ერთად  
უნდა წავიდეთო.

ვაჩემ ვითომ ვერ გაიგონა და თალიკოსთან მივიდა.

— გთხოვთ თქვენს რაინდად მიგულოთ!

სხვა დროს ეს სიტყვები თალიკოს ცაში ააფრენდა, მაგრამ ახლა  
უკანასკნელი ნერვიც გაუწყვიტა.

— ცირკის მასხარა ხარ და მეტი არაფერი!

უველამ გაიგონა. ცუცას ერთი სული ჰქონდა, მეზობლებს როდის ვე-  
ტყვი, ვაჩეს სუფრაზე კლოუნი უწოდესო.

სტუმრებმა მასპინძლებს დიდი მადლობა გადაუხადეს და დაემშვი-  
ლობნენ. სხვა ალარავინ იყო და ვაჩემ სერაპიონი მიაცილა სახლამდე.  
გზაში სულ იმას უმტკიცებდა, არ მიყვარს თალიკო და რატომ გადამეკი-  
დაო. სერაპიონს უფრო ის აინტერესებდა, ყარამანვიჩი ბინას თუ მომ-  
ცემსო. ვაჩემ დაამშვიდა, შენთან ვარ და ერთად შევუტიოთ მაგ ყარამა-  
ნოვიჩსო. სერაპიონი კინალამ ატირდა, გული კი არა ბაჭალლო ოქრო გი-  
დევს საგულეშიო.

საათის ისრები წინ მიიწევდა. გრიშას ფანჯრებში კი სინათლე ენთო.  
დაღლილი დიასახლისი სუფრის ალაგებაში კიდევ უფრო დაიღალა.

— გაჩესთანა ხალბი ბევრი გყავს კოლექტივში? — ჰყითხა მან ქმარს.  
 — ახირებული კაცია, — დაეთანხმა გრიშა, — მაგრამ მავისთანებმა  
 შეიძლება მოუარონ ზოგიერთებს!  
 — მაინც ვის?

გრიშას არ დაუსახელებია, მაგრამ ცუცამ რაღაცა იაზრა. უმაღ ის  
 ბედნიერი დღე წარმოიდგინა, მისი მეუღლე უფროსის მოადგილე კი არა,  
 უფროსი რომ გახდებოდა.

როგორც იქნა, გრიშას ფანჯრებშიც ჩაქრა სინათლე. შუაღამე იდგა.  
 ზღვა არ ხმაურობდა. არც მთვრალები მღეროდნენ ქუჩაში. ნაშრომ-  
 ნაჭაფ კვერეთელ მოქალაქეებს ტკბილად ეძინათ და ტკბილ სიზმრებსაც  
 ხელავდნენ. ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ღმერთს ამ სიზმრების კეთილად ახ-  
 დენა შევეხვეწოთ.

## ო რ შ ა ბ ა თ ი

არსებობს გამოთქმა, ორშაბათი მძიმე დღეაო. მთვრალი კაცისათვის  
 არც კვირა ღამეა მსუბუქი. მთვრალ კაცს ძილში ინფარქტი, კუჭის წყლუ-  
 ლი, ღვიძლის კიბო და შეუსმელი ყანწი ელანდება, ორშაბათი თავის  
 ტკივილსა და ბორჯომის ნატვრაში უთენდება.

მაშ ასე, ორშაბათიც დადგა. ახალმა დღემ ჩვენი მოთხრობის გმირებს  
 ახალი საფიქრებელი გაუჩინა. სანამ ისინი სამსახურში არ წასულან და  
 ჯერჯერობით ლოგინში წვანან, საშუალება გვაქვს თქვენთან ერთად წარ-  
 მოვიდგინოთ, რას ფიქრობს თითოეული მათგანი.

გ რ ი შ ა ს ე ფ ე რ თ ე ლ ა ძ ი ს ფ ი ქ რ ე ბ ი დ ი დამიქციეს ოჯახი  
 მაგ უპატრონობმა: რომ არ დაპატიუო, თავს მოგჭრიან, დაპატიუებ და  
 შენ უნდა მოიჭრა თავი! მაინც რამდენი ღვინო შესვეს, პირდაპირ შვავი  
 პქნიდათ მუცელში. მეც გვარიანად გამოვთვერი და მგონი ყარამანვიჩ-  
 ზეც ვთქვი რაღაცა... ღმერთო, გამახსენე... ცუცას უნდა ვკითხო... ნამდგრა-  
 ლად ის გადარეული ვაჩე წამომაცდენდა, ხალხს ყური დაცევეტილი აქვს,  
 სამსახურში მისვლას ვინ გაცდის, ტელეფონით ჩაუჭიკიურებენ უფროსს,  
 რაც თქვი, ერთ იმდენს დაუმატებენ, ბუზს სპილოდ გადაგიტცევენ და  
 უმტკიცე მერე ყარამანვიჩს, ავთანდილივით ერთგული ვარო.

ქ ა ლ ბ ა ტ ო ნ ც უ ც ა ს ფ ი ქ რ ე ბ ი: როგორ მეზარალა ამ-  
 დენი პურმარილი: კაცი არ დაგიმადლებს და არ დაგიმახსოვრებს. უფრო-  
 სი რომ მოსულიყო, კველაფერი რიგზე იქნებოდა. გაჩესთანა ხალხისთვის  
 კი გინდა ღვინო დაგილევინებია, გინდა ძმარი. გრიშას ნამდვილად სიბერე  
 შეეპარა, აბა ჭეუა რომ ძველებურად უჭრიდეს, მთელ სამსახურს ოჯახში  
 დაპატიუებდა! სერაპიონისთანა კაცი რაში გამოადგება, წუწუნის გარდა

არაფერი იცის. ვაჩეს ხომ ნულარ იყითხავ, კიდევ კარგი, სუფრაზე ჩეუ-  
ბი არ ატეხა. გრიშამ რაღაცა გეგმები დავაწყვეო, მაგრამ იმათ გადაჭრება.

ვაჩე ვაჩე იშვილის ფიქრები: ლვინო კი მომერია, მაგრამ  
არც სხვებისათვის დამიყრია კარგი დღე. აბა რა ეგონათ, ვაჩე ვაჩეიშ-  
ვილს სმა არ შეუძლიათ, რომ ამბობდნენ. ვაჩე ვაჩეიშვილს სხვა რამეც  
შეუძლია და მაგასაც მალე დაინახვენ. ო, ყარამანოვიჩ, ყარამანოვიჩ ...  
ერთი შენი თავი მყოლოდა წუხელ სუფრაზე და მეტი რა მინდოდა, მა-  
გრამ დიდი ჯიბგირი ხარ და არ მოხვედი. არა უშავს, მაინც მომიწევს.  
შენთან ჩეუბი და მაშინ გეტყვი ყველაფერს... ისე, მაგარი ლვინო კი იყო,  
კიდეც ამაცეკვა და სიმღერაც დამაწყებინა, ვითომ ვალიდას მოვაწონე  
თავი... როგორ მიბრიალებდა თვალებს თამაზი! შენ თალიკოს თვალების  
ბრიალი იკითხე, რა გაუძლებს ახლა მაგას სამსახურში! არა, მაინც რა  
უნდა ჩემგან, რას გადამეკიდა, დავპირდი რამე და მოვატყუე?

თალიკოს ფიქრები: წუხელ კი გადამრია, მაგრამ ვაჩე ვაჩე-  
იშვილის გარეშე ჩემი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ვალიდა რომ არ ყო-  
ფილიყო სუფრაზე, სხვანაირად იეწყობოდა საქმე. როგორ შესციცინებდ-  
ნენ ერთმანეთს თვალებში, ის დოკულაპია თამაზი კი მარტო კბილებს აკრა-  
ჭუნებდა. უხარის ქალბატონს, მთელს საპროექტო გადარია. რაც მართა-  
ლია, იმდენი ლამაზი კია, ვაჩესთანა ბებერს ჰქეუა რომ გადაუბრუნოს... ისე,  
ვაჩე თუ ბებერია, მთლად ახალგაზრდა არც შენ ხარ, თალიკო, დღეობებ-  
ზე იმის გახსენებაც არ გინდა, ოცდაათი წლის როდის იყავო.

ვალიდას ფიქრები: მგონი ბალზაკმა თქვა, მამაკაცის ბუნე-  
ბას ინტელექტი ალამაზებსო. ვაჩე წუხელ მართლაც შეუდარებელი იყო.  
ჩემი გულისათვის ჰკეთებდა ყველაფერს... ნეტავ მართლა ასე მოვწონ-  
ცარა თამაზი ძალიან დაიჩინა, გზაში ძლივს დავიწყნარე. ნამდვილად  
ცუდია. ყველას რომ მოსწონხარ, არ იცი, რომელი აირჩიო. თალიკო საში-  
ნლად დაიბოლმა, მაგრამ ჩემი რა ბრალი იყო, სულაც არ უყურებდა ვაჩე  
ვაჩეიშვილი და აღარ უნდა მიხვდეს!

თამაზის ფიქრები: ქალებს მე კი არა, შექსპირმა ვერაფერი  
გაუგო. მე რომ ტკბილ სიტყვებს მელაპარაკებოდა, გულზე ვაჩე ვაჩეი-  
შვილი ეხატა. რა ნახა მაინც ამ დამთხვეულში, დღეს თუ გაიხსენებს, რა  
სასაცილოდ ბუქნავდა და მოეროდა. თამადობას ხომ ნუ იკითხავ, მასპინ-  
ძლები არ დაინდო და სხვას რა ხეირს დააყრიდა! გენიოსი ვარო, რომ  
იძახის, ოლონდ ვალიდა, დაანებებდეს თავს და რაც უნდა ის იყვეს!

სერაპიონის ფიქრები: გამაფრთხილა ექიმმა, შაქარს არ  
გაეკაროო და ვინ მრჯიდა, იმ ლვინოს რომ მივასკდი. თუ მოვკვდი, ჩემი  
ცოდვა დაგრჩეს კისერზე ვაჩე ვაჩეიშვილო! დამათვრე და მაგინებინე ყა-  
რამანოვიჩი, ხომ? გრიშა ყველაფერს სიტყვა-სიტყვით დაუკაკლავს. უფ-

როსი ხადგილად შურს იძებს... ბინა მაინც მქონდეს აღებული. ვაჩემ  
ვითომ დაგეხმარებით, მაგრამ მაგი საკუთარ თავს ვერ დახმარებია.

კარგი ვქენი, წუხელ გრიშმაშვილის  
თან რომ არ წავედი. ჩემი სტუმრობა თუ უნდოდა, ვაჩე ვაჩეიშვილს არ  
დაპატიჟებდა. მაგის ამბავი ვიცი მე, სიფხიზლეში არ ვეხატები გულზე  
და რომ დათვრებოდა, რას მიზამდა! სუფრაზე მეც ვეტყოდი რაღაცას და  
მერე ჩემს გულს ვალიდოლი უშველიდა ვითომ? ვაჩეს თუ რაიმე არ მო-  
ვუხერხე, არაფერი გამოვა. მაინც რა უნდა მოვუხერხო... ბინას ვაძლევდი  
და უარი მითხრა, ჯერ სერაპიონს. არც ერთს და არც მეორეს! სერაპიონს  
ჯერ რკო არ მოუცია. კიდევ უნდა წავაკითხო მაგას „რწყილი და ჭიანჭვე-  
ლა“... ღირებულობის სკამზე კი არა, ნამდვილად ვულკანზე ვზივარ. ჩემს  
გარდა წუხელ სალაპარაკო არაფერი ექნებოდათ, ვაჩე გამოიდებდა თავს  
ყველაზე მეტად... მაინც ვინ ამაყვანინა ვაჩეიშვილი სამსახურში, ვინ და-  
მღუპა და დამაქცია!

აი ასეთი ფიქრები აწუხებდა ჩვენი მოთხოვნის გმირებს ორშაბათ  
დილით სამსახურში წასელამდე და სამსახურშიც, ბუნებრივია, მათ მოლ-  
ვაწეობას ეს ფიქრები განსაზღვრავდა.

ყველაზე მეტს სერაპიონი წუწუნებდა.

— გამისკდა ეს ოხერი თავი, რომ ვამბობდი, შაქრიანი ღვინო იქნე-  
ბა-მეთქი და არ დამიჭრეთ!

ცეცხლად და ნავთადო, გუნებაში მიაწყევლა გრიშამ, მაგრამ ხმამა-  
ლლა ბრალდება უარყო, შაქრიანი კი არა. ნამდვილი ყურძნის წვენი  
იყოო.

— ერთი ჩემს თავს კითხე, როგორი ყურძნის წვენი იყო!

— სერაპიონ, შენ სმა არ შეგეძლოს, ღვინოს რას აბრალებ!

— კარგი, ბატონო, ვაჩეს ვკითხოთ აგერ.

თავისი სახელი რომ გაიგონა, ვაჩე მოტრიალდა.

— რა უნდა მკითხოთ?

— თავი ხომ გტკივა? — ჰკითხა სერაპიონმა, თუმცა რა კითხვა უნ-  
დოდა, წუხანდელ თამადას ცხვირ-პირი ჩამოტიროდა.

ვაჩემ შეულრინა.

— მაგი არაა თქვენი საქმე!

— ვაჩე ვაბრაზებულია! — დაასკვნა ვალიდამ.

ვალიდამ რომ ვაჩეს სახელი ახსენა, თამაზს ვააურეოლა.

— რაც მაგან წუხელ ღვინო დალია, ცოცხალი რომაა არ გიკვირს?

— არც სხვები იყავით ნაკლებ დღეში, — თქვა ვალიდამ, — წამოს-  
ცლას არავინ ფიქრობდით!

როგორც მასპინძელს შეეფერებოდა, გრიშამ თავი გამოიდვა.

— თუ სმაა, ჩემო ვალიდა, ბოლომდე უნდა დალევა!

— რომ მეორე დღეს კაცის ფერი არ გქონდეთ, არა? 

თაშაზი ვალიდას არ დაეთანხმა, სხვისი არ ვიცი და მე თავს ძალით გადატანილი გვრძნობო.

ამ სიტყვებზე სერაპიონს სიცილი აუტყდა, ლიმონათის სმაში მაგარი ყოფილხარ, ჩემო ბიძიკო.

თამაზმაც უკბინა.

— რა მაგის პასუხია და, ის თუ გახსოვთ, სერაპიონ ბატონო, ყარა-მანვიჩს დედა უნდა უუტიროო, რომ ყვიროდით?

— ტყუილია მაგი! — იუარა სერაპიონმა, მაგრამ გული ეუბნებოდა, ნამდვილად ვთქვი უფროსზე ცუდიო.

— ისიც ტყუილია, ვაჩე რომ ცეკვავდა?

გრიშა ყოფილ თამადას გამოესარჩილა, ცეკვავდა, ბოთლი ხომ არ დაურტყამს ვინმესათვის თავშიო.

ჟველა ვაჩეს მისჩერებოდა და მანაც ვეღარ გაუძლო.

— რას მიყურებთ, კარგი სანახვია მთვრალი კაცი ხომ? ვალიდამ დაამშვიდა.

— თქვენ შეუდარებელი იყავით!

— ვიმღერე კიდევ?

— ვითომ არ გახსოვთ, დამისხი, დამალევინე...

— კარგი, ნუ გამახსენებთ!

სერაპიონი ისევ აწუწუნდა.

— თავი მისკდება, რა ვქნა ახლა, როგორ ვიმუშაო!

— ვიცით ხომ ღროსტარება, — გაიცინა ვალიდამ, — ფრანგებს კიბეში ჩავისვამთ!

— ვაჩესთანა თამადა საფრანგეთში ნამდვილად არ იქნება! — დაასკვნა გრიშამ.

— შემეშვი, თუ კაცი ხარ!

— წუხელ რომ არ შემეშვი, კარგი იყო!

ვაჩემ ბორჯომი ხომ არ გექნებაო, მაგრამ გრიშამ ცარიელი ბოთლები უჩვენა. ბორჯომი ყარამანვიჩისათვის ცივდებოდა მაცივარში, მაგრამ თალიკოს შიშით ახლა მას ვერ გაეკარებოდა. ამიტომ საყავეში წასვლა გადაწყვიტა. გრიშას დააბარა, უფროსმა თუ მიკითხოს, ამ წუთში მოვა-თქვა, უთხარიო.

— მე მეჯიბრებოდა სმაში! — ამაყად თქვა გრიშამ, როგორც კი ვაჩემ კარი გაიხურა, — კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შეჩებაო, ხომ გაგიგონია მაგი შენ, სერაპიონ?

სერაპიონს რა ეანდაზებოდა, გრიშა განზე გაიყვანა და ჰქითხა, წუხელ მართლა ვთქვი ყარამანვიჩზე ცუდი რამეო?

— რა ვიცი, არ გამიგონია. — იუარა გრიშაშ.

— როცა გინდა, ისეთ რამეს ყურობ...

— სერაპიონ, დოუწი ცოტა ხმას!

— ხმას კი დავუწევ, მაგრამ თავს რა ჯუყო! — ისევ თავის ტკივილი გაიხსენა სერაპიონმა.

ისინი ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ვაჩე ვაჩეიშვილი საპროექტოსთან ახლომდებარე საყავეში შევიდა.

როგორც ზღვისპირა ქალაქს შეეფერება, კვერეთში საყავე თითქმის ყველა უბანში იყო. საპროექტოსთან ახლომდებარე საყავე დანარჩენები-საგან იმით გამოირჩეოდა, რომ იქ ყავას ცნობილი სპეციალისტი მარინა ხარშავდა. იგი არა მარტო კვერეთის მასშტაბით იყო ცნობილი, სხვა ქა-ლაქებშიაც საკონსულტაციოდ ხშირად დაჟყავდათ. ბევრჯერ დაუპირეს ვადაბირება, პროვინციაში რა გინდა, დედაქალაქში გაღმოდი სამუშაო-დო, მაგრამ მარინა თავისი ქალაქის პატრიოტი იყო და კვერეთს ასე ად-გილად როგორ მიატოვებდა! ყველა კლიენტს სახელითა და მამის სახე-ლით იცნობდა, ყველას ოჯახური თუ სამსახურის ამბები იცოდა.

როდესაც მარინამ საყავეში შესულ ვაჩეს მოპერა თვალი, დაყვავე-ბით შეეკითხა, ხასიათზე რატომ ვერ ხარო, სამსახურში გაწყენინებდა ვიღაცა, თორემ ქალი შენისთანა კაცის გაბრაზებას როგორ გაბედავდათ.

ვაჩეს ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია, შენ ერთი მაგარი ყავა მომი-დულეო.

ფინჯანი ყავა ორი. შაური ღირდა, მაგრამ ზოგჯერ ოცი მანეთის საქ-მეს აკეთებდა. სხვები რომ „პახმელიაზე გამოსვლას“ ეძახიან, ვაჩე იმას ყავის საშუალებით ახერხებდა. ახლაც შავი ყავა დალია თუ არა, გულზე მოეშვა. მარინას დიდი მაღლობა გადაუხადა, ეგ საქმე ცი ნამდვილად და მე რომ მწერალი ვიყო, უეჭველად რომანში გამოგიყვანდიო.

მარინამ ამოიხსრა, მაგ სიკეთეს ბევრი მწერალი მპირდება, მაგრამ ჩემისთანა ბებერი ვის უნდა, ისინი მხოლოდ ლამაზ ქალებზე წერენო. ეს სიტყვები რომ თქვა, გულში გაიფიქრა, აბა ახლა თუ მეტყვის, შენც ლა-მაზი ქალი ხარო, მაგრამ ვაჩე მხოლოდ ყავას ურევდა ასანთის ღეროთი.

— ასანთით ყავის მორევა არ შეიძლება, ვიღაცას თბილისელი ეგო-ნები, — გააფრთხილა მარინამ.

როდესაც ვაჩემ ყავა დალია, მარინამ მისი ფინჯანი აიღო, კარგა ხანს უცქირა და მერე შეშინებულმა უთხრა, რაღაცა საწყენს გადაეყრებიო.

ვაჩემ დაუდასტურა, უფროსის მოკვლას ვაპირებ და ყავაში ნამდვი-ლად ეს ამომივიდაო. მარინამ, ცხადია, არ დაიჯერა, სერიოზული კაცი მგონიხარ და ასეთი ხუმრობა რად გინდაო! მერე ვაჩემ ფულზე ჰკითხა, ნახე ერთი, ვინმე ხომ არ მაძლევსო. ამაზე მარინამ მიუგო, ფული არაა, მაგრამ ქალები ბუზებივით გეხვევიანო.

საყავიდან ვაჩე სამსახურში დაბრუნდა, მაგრამ თათბირი მაინც დაწყებული დახვდა. თალიკომ ისეთი თვალებით შეხედა, რომ უსიტყვოდ თავის მაგიდას მიუჭდა და ბიბლიოთეკის პროექტის ხაზზე ვა დაიწყო. ამ პროექტს ვაჩე ბევრ ოცნებას უკავშირებდა. მთავარი ის იყო, წიგნების მოყვარულ კაცს ბიბლიოთეკის აგება განუზომელ სიხარულს ანიჭებდა, პროექტში მთელ თავის ნიჭს აქსოვდა და კვერეთის პირობაზე ურიგო შენობა არ უნდა გამოსულიყო.

ვაჩემ გადაწყვიტა, მთელი დღე თავაუღებლად ვიმუშავებო, მაგრამ ხუთი წუთის შემდეგ დარწმუნდა, რომ საქმეს გულს ვერ უდებდა, რატომდაც ცუდი წინათვრძნობა დაეუფლა, დარწმუნებული იყო, მარინას ნათქვამი ამინდებაო.

ვაჩე რომ ამ ფიქრებში იყო, ყარამანოვიჩი თავის კაბინეტში ზოოპარკში დამწყვდეული ვეფხვივით ბრდლვინავდა.

— ყველა ვართ? — იკითხა მან, თუმცა კარგად იცოდა, ყველა რომ არ იყო.

— მგონი ყველა მოვედით, — თქვა სერაპიონმა.

— კიდევ გეკითხებით, ყველა ვართ-მეთქი?!

— მარტო ვაჩე გვაკლია, ყარამანოვიჩ, — შეახსენა გრიშამ. ყარამანოვიჩსაც ეს უნდოდა.

— რასაკვირველია, ვაჩე არ იქნება, ვაჩეს დროზე მოსვლა არ ეკადრება, დისციპლინა მაგისტვის არ არსებობს!

— მგონი ავად გახდა, — ჩაილაპარაკა თამაზმა.

— ყველამ თავის ავადმყოფს მოუაროს! — იყვირა უფროსმა და თამაზმა ინანა, აუტკივარი თავი რისტვის ავიტკინეო.

ყარამანოვიჩმა ზარი დარეკა და თალიკო შემოვიდა.

— ვაჩეიშვილი არ მოსულა?

— ამ წუთში მოვიდა.

— თხოვეთ, თუ გვიკადრებს...

გრიშამ გაიცინა, მაგრამ უფროსმა არ მოუწონა.

— რა ვთქვი ახლა სასაცილო მე?

— ბოდიში, ყარამანოვიჩ, რაღაც გამახსენდა.

— რა გაგახსენდა ამისთანა, ჩევნ ვერ გვეტყვი?

— კიდევ ბოდიში, ყარამანოვიჩ! — შეწუხდა გრიშა.

აბასობაში კაბინეტში ვაჩე შემოვიდა და ჩემს სკამზე ვინ დაჯდაო, ის იკითხა.

— ჯერ გამარჯობა გეთქვა, ვაჩე ბატონო! — შეახსენა უფროსმა.

— სალაში! ბოდიშს ვიხდი, ხუთი წუთი რომ დავაგვიანე.

უფროსმა შორიდან მოუარა.

— ისე როგორ ბრძანდებით, ხომ მშვიდობაა?

— ხუთი წუთის დაგვიანებისათვის კიდევ ვიხდი ბოდიშს.

— თქვენ ყოველთვის ხუთ წუთს აგვიანებთ!  
 — ყოველთვის არა, ეს მეორე შემთხვევაა.  
 — და არა უკანასკნელი... იცით, ალბათ, ხუთი წუთის ფასი. აქამდე ვაჩე წყნარად ლაპარაკობდა, მაგრამ უფროსმა რომ შეუტია, მანაც ხმა აიმაღლა, ძალიან კარგად ვიცი ყველაფერით.

— მაინც შეგახსენებ, — დაიწყო ყარამანოვიჩმა, — ხუთი წუთი ეს ხუთი ათასი ავტომობილია, ხუთი ათასი კვალრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობია... ხუთ წუთში დედამიწაზე ხუთი ათასი ბავშვი იბადება.

ამ სიტყვებს ყარამანოვიჩი ისე მჰევრმეტყველურად ამბობდა, რომ ბევრ ლექტორს შეშურდებოდა.

ვაჩემ საათს დახედა.

— ხუთი წუთი უკვე გავიდა.

— შეგაწუხეთ არა! — იყვირა ყარამანოვიჩმა.

ვაჩე წამოდგა.

— მე შემიძლია წავიდე.

— დაბრძანდით, ამხანაგო! — ისევ იყვირა უფროსმა და ფანქარი გადააგდო, — ყველას გასაგონად ვამბობ, დისციპლინა მოიშალა, კაცმა არ იცის, ვინ რას აკეთებს, ღვინის სმასა და სუფრაზე ლაყბობას გადაყვაზოგიერთი!

ვაჩეს საშინლად გაუკვირდა, ასე უცბად როგორ მოახსენეს წუხანდელი ამბავი, ალბათ, ტელეფონით დაურეკავდნენო. კაცმა რომ თქვას, მისთვის უკვე სულ ერთი იყო.

— ღვინის ზოგჯერ უფროსიც სვამს, — თითქოს სხვათა შორის ჩაილაპარაკა მან.

ყარამანოვიჩმა აუხსნა.

— ღვინის სმისას უფროსი საქმეს აკეთებს... თქვენ არ იფიქროთ, სმა უხარია ან გამომთვრალი სახეების ყურება. მისთვის ეს სასჯელია! უფროსი იმიტომ სვამს, რომ თქვენ დროზე ხელფასები და პრემიები იღოთ, გასაგებია?

ვაჩემ თავი დაუჭინია, ყველაფერი გასაგებიაო.

გრიშამ პაუზით ისარგებლა და გადავარღნილი ფანქარი ისევ მაგიდაზე დადო.

— არაფრის გამკეთებელი ჩვენ არა ვართ... ტყუილად გვაძლევს სახელმწიფო ფულს, მეც ტყუილად ვიყლავ თქვენთვის თავს!

უფროსი ახლა წინანდელთან შედარებით წყნარად ლაპარაკობდა, ამიტომ სერაპიონმა შენიშვნა ვაძედა, მაგი როგორ გექადრებათ, ყარამანოვიჩ.

ყარამანოვიჩს მაგიდაზე ზარბაზნის ლულასავით დაგრაგნილი ქალალ დები ელაგა, ერთი მათგანი გაშალა და სერაპიონს დაანახა.

— შენ როგორ გეკადრება ამისთანა პროექტების მოტანა, ადექტი  
ურთი თუ კაცი ხარ და მოგვახსენენ!

— მაგ პროექტს, პატივცემულო ყარამანოვიჩ, სიცოცხლე შევალირე,  
ასე ერთბაშად რატომ გინდათ მომისპოთ? — სერაპიონი მაგიდასთან მი-  
ვიდა, — შეიძლება გიჩვენოთ? აი, აქედან იწყება ჩვენი ქალაქის დასვე-  
ნების ზონა, აქედან კი...

თამაზმა შეაჩერა, არაფერი ჩანს, დაფაზე გააკარიო.

ყარამანოვიჩმა ხელი ჩაიქნია, გაკვრა რა საჭიროა, ისედაც ყველაფე-  
რი ნათელიაო, მაგრამ ვაჩემ და ვალიდამ დაიუინეს, გააკრას, ჩვენ გვა-  
რიტერესებსო.

— რა ვქნა, ყარამანოვიჩ, გავაკრა? — დაიბნა სერაპიონი.

ვალიდამ უფროსის დასტურს აღარ დაუცადა და პროექტი თვითონ-  
ვე გააკრა.

ყარამანოვიჩს მარცხენა წარბი აუთამაშდა, დაასკვნა, ვაჩესა და ვა-  
ლიდას პირი შეუკრავთ, და დროზეა საჭირო ზომების მიღებაო.

— მაშასადამე, — დაიწყო სერაპიონმა, — პროექტის მიხედვით  
ზღვისპირა რაიონში უნდა გაშენდეს დასვენების ზონა, სადაც იქნება სა-  
სტუმროს ტიპის კოტეჯები, საცურაო აუზი თბილი წყლით.

გარეგნულად დაწყნარებულმა ყარამანოვიჩმა ხელახლა იფეთქა.

— დამახრჩო ამ თბილმა წყალმა და ისაა! რამდენჯერ გითხარი, ამ-  
ხანაგო სერაპიონ, პროექტს საფუძვლიანი გადაკეთება ესაჭიროება-მეთქი!

— რატომ? — იყითხა ამხანაგმა სერაპიონმა.

— თანამედროვე მოთხოვნებს არ პასუხობს თქვენი პროექტი და  
იმიტომ!

ახლა ვალიდამ იყითხა, თანამედროვე მოთხოვნებში რა იგულისხმე-  
ბაო და ყარამანოვიჩმაც ჩამოუთვალა, პატივცემული კონსტრუქციები, მინა  
და ალუმინიო.

— სხვათა შორის, აკვარიუმების მშენებლობა კარგა ხანია მოძველდა.

— თქვა ვაჩემ.

ეს იყო უფროსის კრიტიკა მთელი კოლექტივის წინაშე, და ყარამა-  
ნოვიჩიც რა უფროსი იქნებოდა, ამ კრიტიკაზე რეაგირება რომ არ მოეხ-  
დინა!

— რა მაგის პასუხია და, სამშუხაროდ, თქვენ მოძველდით, პატივცე-  
მულო ვაჩე!

— ესე იგი, ცხოვრებას ჩამოვრჩი არა?

— ასე ვთქვათ.

— თქვენ კი ცხოვრებას ფეხდაფეხ მისდევთ?

— ესეც დასაშვებია.

თითქოს ბავშვები თამაშობდნენ ენკი, ბენკი, სიკლისა და ამისთანები—  
ვაჩე ფეხზე წამოდგა.

— ბატონო ლევარსი, ერთი თქვენი საკუთარი პროექტით აშენებული სახლი მიჩვენეთ!

გრიშას აქამდე ნეიტრალური პოზიცია ეჭირა, მაგრამ ახლა ვეღარ მოითმინა.

— ვაჩე, არა გრცხვენია!

მოადგილის მხარდაჭერამ უფროსს ძალა შემატა.

— სხვათა შორის, ბატონო ვაჩე, მთელი ეს საპროექტო, სადაც თქვენ და ოქვენისთანები პენსიას ღებულობენ, ჩემი დაარსებულია.

— ვახტანგ გორგასალი ყოფილხართ! — გაიცინა ვაჩემ.

ყარამანოვიჩმა მაგილაზე მუშტი დაარტყა.

— როგორ მიბედავთ!

— კითხვაზე არ გიპასუხიათ, ანდა რას მეტყოდით, როცა საპირფარეშოც არ აგიშენებიათ, სამაგიეროდ...

— რა სამაგიეროდ? — უკანასკნელ სიტყვას ჩაეჭიდა ყარამანოვიჩი, საპირფარეშოსთან დაკავშირებული წყენა გულში შეინახა.

— სამაგიეროდ სხვების პროექტზე აწერთ ხელს, თანაავტორო ხდებით!

ამას ფრჩხილების გახსნა ჰქვიოდა. ყარამანოვიჩს ახლა ან საფერფლე უნდა დაერტყა ვაჩესათვის თავში, ან ჯიბიდან ვალიდოლი უნდა ამოელო. მან უკანასკნელი არჩია.

— იცოდეთ, არ გაპატივებთ! — გააფრთხილა ვაჩე.

— იქნებ ვტყუი და იქნებ გრიშას პროექტზე ხელი არ მოგიშერიათ?

ყარამანოვიჩმა ისეთი თვალით გადახედა გრიშას, რომ იგი იძულებული გახდა გადაჭრით ეთქვა, ცილს ნუ გვწამებ, პროექტზე ჩვენ ერთად ვიმუშავეთო.

ყარამანოვიჩი რისი გამკეთებელიც იყო, მთელმა საპროექტომ მშვენიერად იცოდა, მაგრამ კატას ეუვანს ვინ შეაბამდა! მართალია, გრიშას თანაავტორობის საფასურად მოადგილეობა ჰქონდა მიღებული, მაგრამ გულში უფროსობასაც უმიზნებდა და წინააღმდეგი არ იყო ვაჩეს და ყარამანოვიჩს ერთმანეთისათვის ცხვირპირი დაემტვრიათ. გრიშას მხოლოდ ის არ ესიამოვნა, ვაჩემ რომ უფროსთან ბრძოლაში მისი ავტორიტეტი გამოიყენა.

მოადგილის მხარდაჭერით გახარებული ყარამანოვიჩი თავს თერთმეტმეტრიანის შომგერიებელ მექანისავით გრძნობდა, მზად იყო მეორე პენალტიც აეღო.

— კიდევ ვის დასახელებთ. თქვენი ცილისწამება რომ დადასტუროს? — ჰქითხა მან ვაჩეს.

გრიშას საქციელზე ვაჩეს მაინცდამაინც გული არ დაწყვეტია, რადგან მისგან სხვა პასუხი არც იყო მოსალოდნელი. რიგი ახლა სერაპიონს უწევდა.

- ვის დაასახელებ-მეთქი! — გაიმეორა ყარამანოვიჩია.
- თუნდაც სერაპიონს, განა ვერ ხვდება, ამდენს რატომ აწვალებთ?
- თქვენ რატომ კარნახობთ, თვითონ თქვას!
- იტყვის!

გადამწყვეტი მომენტი დადგა. კაბინეტში ჩამოვარდნილ სიჩუმეს მხოლოდ ქუჩის ხმაური არღვევდა.

უფროსი სერაპიონთან მივიდა.

— ხომ გაიგონეთ, რა ბრალდება წამომიყენეს. გაფრთხილებთ, კარგად დაფიქრდით, თითოეული სიტყვა აწონეთ!

არც ისე ცხელოდა, მაგრამ სერაპიონი სახეს წამდაუწუმ ცხვირსა-ხოცით იმშრალებდა, ეს ჭირის ოფლი იყო, ამაზე მეტად სერაპიონს სიკვდილიც ვერ შეაწუხებდა.

დუმილის ერთი წუთი ერთი საათივით გაგრძელდა.

— სერაპიონ, თქვენ გეკითხებიან!

- მე მეუბნებით, ყარამანოვიჩ?
- დიახ თქვენ! კოლექტივის თვალწინ ან დაადასტურეთ ან უარყავით ეს საზიზლარი ბრალდება!

— რა ბრალდებაზე ლაპარაკობთ, ყარამანოვიჩ, კარგად ამიხსენით. სად იყო ახლა იწილო-ბიწილოს დრო. ვაჩე გაბრაზდა.

— თავს ნუ ისულელებ, ყველაფერი მშვენიერად იცი!

სერაპიონმა მოულოდნელად გამოსავალი ნახა.

— ესე იგი, მე სულელი ვარ, არა? რატომ მაკაღრე, ვაჩე, ასეთი სიტყვები? ბოლოს და ბოლოს, ასაკით მაინც ვარ შენზე უფროსი.

ყარამანოვიჩმა მეორე პენალტიც აიღო.

— მაშასადამე, სერაპიონი...

ვაჩემ დაუდასტურა, ყველაფერი ნათელია, სერაპიონი არაფერს იტყვისო.

ამ ლაპარაკში თამაზი წამოდგა.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება, ყარამანოვიჩ, აუცილებელი საქმე მაქვს.

ისე გავიდა, ნებართვისათვის არ დაუცდია.

— არც თამაზი იტყვის არაფერს, ესეც გასაგებია. — თქვა ვაჩემ.

ვალიდამ ჩაილაპარაკა, თამაზს შეეშინდაო და უფროსმა ყური მოჰქრა.

— ვისი შეეშინდა?

— სიმართლის!

ყარამანოვიჩმა სერაპიონის ნაქონი სანთებელა მოილო და პაპიროს მოუკიდა.

— ვალიდასა და ვაჩეს საერთო აზრები ჰქონიათ. საერთო გრძნობებზე რომ ლაპარაკობდნენ, ის კი ვიცოდი, მაგრამ...

წინადადების დამთავრება ვეღარ მოასწრო, რადგან მისკენ გამოქანებული ვაჩე დაინახა და სახეზე ხელი აიფარა.

გრიშამ თვალები დახუჭა, დარტყმის ხმას მაინც გავიგონებო. ვაჩეს არ დაურტყამს, აცალა, უფროსი ხელებს როდის ჩამოილებდა.

— თქვენ ჭირიკანა ბიუროკრატი ხართ და მეტი არაფერი! ჯერ ნუ იყვირებთ, გულს გაუფრთხილდით. საოქმელს კი ბოლომდე გეტიუვით. თქვენ ლირსეული საბროექტოს ლირსეული უფროსი ბრძანდებით, მე კი თქვენი და თქვენი თანამშრომლების სიფათების უფრება მეტი აღარ შემიძლია.

ვაჩე ახლა გრიშას დაადგა თავზე. მოადგილე შეწუხდა, მაგრამ იმედი ჰქონდა, თუ უფროსს არ დაარტყა, მე რატომ გამიმეტებსო.

— მოსწი აქეთ ყური, — დაუყვავა ვაჩემ.

გრიშამ ყური მისწია. ვაჩემ ისეთი სიტყვები ჩასჩურჩულა, დაჭრილი დათვივით ააღრიადლა.

— ეს რა მითხარი, ეს რა გავიგონე, მაგი რა თქვი, თუ იცი შენ!

— სხვებს არ გაუგონია, მოწმედ ვერ დამიყენებ.— ვაჩე სერაპიონთან მივიდა, რომელიც ყინვაში უპალტოოდ დარჩენილ მეისრესავით მობუზულიყო.

— შენ კი, ჩემო სერაპიონ, ნუ გეშინია, რა უნდა გიქნა... ან რა უნდა გითხრა... ყარამანოვიჩს აკოცე ჩემს მაგივრად... კარგად იყავით, კოლეგებო, ალუმინის სახლები აშენეთ და საცურაო აუზები თბილი წყლით... ოჯახში კიდევ შაქრიანი ღვინო არ დალიოთ, ინფარქტი იცის... გემშვიდობებით, მაგრამ ძვირად არ დაგიჯდეთ ჩემი წასვლა!

ყარამანოვიჩმა, როგორც იქნა, ხმა ამოილო,

— ნუ გვაშინებ, ამხანავო!

— მე თქვენი ამხანავი არა ვარ! — ვაჩემ კარი სწრაფად გამოალო, — ახლა შემიძლია მივიჯახუნო, მაგრამ მაინც წყნარად წავალ.

ღია კარში თამაზი იღგა.

— შემოდი თამაზი, ყველაფერი დამთავრდა.

ვაჩეს, მართალია, კარი არ გაუჯახუნებია, მაგრამ საერთო ოთახში იმხელა ხრიგინი ატეხა, ყველამ იფიქრა, სახაზავი დაფები დაამტვრიაო. კაბინეტიდან გასვლა ვერავინ გაბედა.

— რა ჰქვია ახლა მაგის საქციელს? — იყითხა ყარამანოვიჩმა.

ვალიდამ აუხსნა.

— საკუთარი სურვილით სამსახურიდან წასვლა.

გრიშამ თავი გამოიდეა.

— არავითარი საკუთარი სურვილი, განცხადება ხომ არ დაუწერას ამ რომ მკითხოთ, მოსახლეობისა და მეტი არაფერი!

— ჰოდა, გააფორმე, თუ კაცი ხარ, — ყარამანოვიჩი დაფიქრდა, — სამსახურში სისტემატური დაგვიანებისათვის, კოლექტივის შეურაცხყოფისათვის, უპასუხისმგებლო სიტყვებისათვის...

— ცილისწამებისათვის, — შეახსენა გრიშამ.

— რასაკვირველია, ცილისწამებისათვის, შენ რას იტყვი, სერაპიონ? სერაპიონს ამ ქვეყნის არაფერი ეკითხებოდა. ღამე რომ ყოფილიყო, წელანდელი ამბავი სიზმარი ეგონებოდა.

— სერაპიონ, არ გესმის, კაცო?

— მე მეკითხებით, ყარამანოვიჩ?

— არა, ვალიდას!

ვალიდამ ისე შეხედა, უფროსში თვალი ვეღარ გაუსწორა.

— თქვენ ჩემი აზრი გაინტერესებთ?

— ძალიან მაინტერესებს, — დაუდასტურა ყარამანოვიჩმა.

— სიმართლის თქმა ცილისწამება არაა!

— სიმართლე არა, მაგრამ დაუმტკიცებელი ბრალდება ნამდვილად ცილისწამებაა!

— ჰოდა, ჩვენც დავამტკიცებთ!

— თქვენც ვაჩესავით სამსახურიდან წასვლას ხომ არ აპირებთ?

— როგორ გეკადრებათ!

ყარამანოვიჩს ახალი ჩეუბის დაწყების თავი აღარ ჰქონდა.

— თათბირი დამთავრებულია, ამხანაგებო!

— არაფერიც არ დამთავრებულა, ახლა იწყება ყველაფერი! — ეს სიტყვები კარში მდგარ თალიკოს ეკუთვნოდა.

— ეს მაკლდა სწორედ, — ხელები გაშალა ყარამანოვიჩმა, — რა იწყება ქალო?

— ქალი თქვენ სახლში გყავთ!

— გადავირევი დღეს და ესაა!

— გადარევა მაშინ ნახეთ, იმას თუ რაიმე შეემთხვა! — სიცარიელეში ხელი გაიშვირა თალიკომ.

— ვაჩეს? — მიხვდა გრიშა.

— დიახ ვაჩეს!.. აქედან რომ გამოვიდა, ადამიანის ფერი აღარ ჰქონდა, თავისი ნახახები დახია... მე მაგათ ვუჩვენებო, ყვიროდა, სიცოცხლეს ჩემთვის ახლა აზრი არა აქვსო... რამდენი ვეხვეწე, არაფერი დამიჭერა, გიუივით გავარდა ქუჩაში.

— სიფათს არ გადაეყაროს. — შეწუხდა ვალიდა.

თამაზმა დაამშვიდა, რა უნდა მოუვიდესო.

— მანქანა რომ დაეჭახოს?

თალიკომ ვალიდას ზიზღით გადახედა.

— მანქანა რა შუაშია, ხომ გითხარით, თავს მოვიკლავო, ყვიროდა.

ყარამანოვიჩმა ისევ უფროსის შეხედულება მიიღო.

— მერე რა ვწნათ, თუ ყვიროდა, ჩვენ ბანი მივცეთ?

თალიკომ გააფრითხილა.

— ვაჩე რასაც იტყვის, იმას აკეთებს... დროზე უნდა შველა, მერე გვიან იქნება!

— კი მაგრამ ჩვენ რა უნდა ვქნათ? — გაინტერესდა გრიშა.

— თქვენ იგი მორალურად უკვე მოკალით, — ცრემლები მოიწმინდა თალიკომ, — ფიზიკური განადგურებისაგან კი მე უნდა გადავარჩინო!

ამ სიტყვების შემდეგ თალიკომ კაბინეტი დატოვა და ვჩეს მოსახებნად გაეშურა.

ქალაქში კაცის მოძებნა ადვილი საქმე არაა, მაგრამ თქვენ ალბათ, გახსოვთ, რომ კვერეთი არც ნიუ-იორკია და არც თბილისი. კვერეთელები დღეში სამჯერ ესალმებიან ერთმანეთს, მეოთხე შეხვედრაზე კი, მეტის-მეტი რომ არ მოუვიდეთ, ქუჩის მეორე მხარეზე გადადიან.

გზაში თალიკომ ძებნის მარშრუტი დააზუსტა. პირველად, ცხადია, ვაჩეს სახლში უნდა მისულიყო. სხვა დროს, ალბათ, ამას არ გააკეთებდა, მაგრამ ახლა სხვა დრო არ იყო და კაცის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა.

როგორც გული ეუბნებოდა, ვაჩე სახლში არ დაუხვდა. ზარი მაინც იმდენ ხანს რეკა, რომ მეზობლები გამოვიდნენ და ცნობისმოყვარეობით მიაჩერდნენ, თალიკომ მათ ყურადღება არ მიაქცია და კვლავ თავგამოდებით რეკავდა ზარს.

— ხომ ხედავ, სახლში არ არის! — ვეღარ მოითმინა კარის მეზობელმა, — ასეთ დროს ყოველთვის სამსახურშია.

— საქმეც ისაა, სამსახურიდან წამოვიდა.

— როგორ თუ წამოვიდა?

— გრძელი ამბავია... თქვენ რაში გაინტერესებთ?

— ესე იგი. ჩვენ არ გვაინტერესებს! ბოლიში, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს.

— კარებს უმტკრევ და მნიშვნელობა არა აქვსო... ახლავე მილიციას დავუძახებ!

ასეთ თავხედობას თალიკომ არავის აპატიებდა, მაგრამ ჩხუბის დრო სად იყო.

— მართალი მითხარით, სახლში არ მოსულა?

ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, მეზობელს შეებრალა.

- არა, არ დამინახავს.
- იქნებ ჩაიმე გთხოვათ და არ გახსოვთ.
- თუ არ დამინახავს, როგორ მთხოვდა... მაინც რა უნდა ეთხოვა?
- მაგალითად, თყვი.
- თყვი რად ჭირდებოდა?
- სარეცხის გასაკიდად! — მოუჭრა თალიკომ, აბა, თავის ჩამოსახრ-ჩობადო, ხომ არ ეტყოდა.

მდგომარეობა ძალიან დაიძაბა. თალიკო იძულებული შეიქნა სწრა-ფად გაცლოდა ვაჩეს მეზობლებს.

- აფრენს ნამდვილად!
- აფერისტია მაგი, მილიციისათვის უნდა დაგვეძახა!
- ქუჩის ქალია და უცოლო კაცის გამოჭერა უნდოდა!

ქუჩაში გამოსვლამდე ქვებივით უშენდნენ ასეთ სიტყვებს თალიკოს. შეტის ღირსიც ვარო, საკუთარ თავს ლანდღავდა, მაგრამ ნუგეშად ის ჰქონდა, ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდა და ტყვიაც რომ ეს-როლათ, კეთილშობილური მიზნიდან არ გადაუხვევდა.

თალიკო საყავისექნ მიმავალ გზას გაუყვა; რადგან კარგად იცოდა, რომ სახლისა და სამსახურის შემდეგ ცხოვრების საუკეთესო წუთებს ვა-ჩე ვაჩეიშვილი საყავეში ატარებდა. ამ საყავეს ვიღაცამ ხუმრობით აკა-დემია შეარქვა. ხუმრობა გრძელებულ სიმართლეს შეიცავდა, რადგან მეყა-ვეთა ვიწრო წრეში ისეთი ურთულესი საკითხები წყდებოდა, რომ მათი ამოხსნა ბევრ ნამდვილ აკადემიკოსსაც გაუჭირდებოდა.

საყავე, როგორც ყოველთვის, ხალხით იყო გაჭედილი, მაგრამ ამ ხა-ლხში ვაჩე არ ჩანდა. შეშინებულმა მარინამ თალიკოს უთხრა, დღეს მხო-ლოდ ერთხელ შემოიარა და ცუდი რამე ხომ არ შეემთხვა.

საყავის შემდეგ რესტორნები ჩემბოდა. მგონი უკვე გითხარით, კვე-რეთში ათი რესტორანი იყო და ამ ათი რესტორანის შემოვლამ ბევრი დრო და ნერვები წაიღო. წარმოიდგინეთ ახლა, მარტოხელა ქალი მაგი-დებს შორის როგორ ექცებს ვიღაცას და ყველას ჰგონია, ეს ვიღაცა მე ვა-რო. არის ერთი პატიუი და ღვინოშერეული ქათინაურები.

როცა თალიკო უკანასკნელი რესტორნიდან გამოვიდა (ამ რესტო-რანს „სიხარული“ ერქვა), ქუჩაში ლამპიონები აანთეს და კვერეთის შე-გნებულმა მოსახლეობამ სასეირნოდ ზღვისპირა პარკს, ანუ ძველებური გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ბულვარს მიაშურა.

მოსეირნე კვერეთელთა რიგებს თალიკოც შეუერთდა, იქნებ შემთხ-ვევით ამ ხალხში ვაჩე ვაჩეიშვილს გადავეყაროო. ეს იყო სწორი გადაწ-ყვეტილება, რადგან იმ დროს ვაჩე ვაჩეიშვილი ნამდვილად ბაღში იმყო-ფებოდა. ექიმებისაგან გაგონილი ჰქონდა, გულით ავადმყოფს ზღვის ჰა-რი უხდებაო.

რადგან მოსეირნე ხალხის დანახვა არ სიამოვნებდა, ვაჩემ ფიქრის  
გასართველად განმარტოებული და არცოუ ისე განათებული ხეივანი აირ-  
ჩია. სამოთხესავით სიწყნარე იქნებოდა, რადიოს რომ ხელი არ შეეწალა.

გაინც ჩემი გოგონა ხარ,  
ჩემი ვარდი ხარ,  
ახლოს აღარ მეკარები,  
განგან დაღიხარ...

ასეთს და ცოტა ამაზე უკეთეს სიმღერებს მღეროდა რადიო, მაგრამ  
ვაჩეს არც ვალიდა ავონდებოდა და არც თალიკო. მას მხოლოდ ყარამა-  
ნოვიჩისა და მისი კოლეგების ფიზიონომიები ედგა თვალშინ, ხოლო ყურს  
მათი სიტყვები უხვრეტდა.

განმარტოებულ ხეივნებს, როგორც მოგეხსენებათ, შეუვარებულების  
გარდა შილიციელებიც ეტანებიან. სწორედ ერთმა ასეთმა მორიგე მილი-  
ციელშა შენიშნა გაფითრებული ვაჩე (სახეზე ნამდვილად ცუდი ფერი  
ჰქონდა, მაგრამ ღამეში მხოლოდ ის მოჩანდა, გული რომ ხელით ეჭირა).

— მოქალაქევ, თქვენ ცუდად ხომ არა ხართ? — დაინტერესდა მი-  
ლიციელი.

ვაჩეს უარი არ უთქვაშს.

- კი, ცუდად ვარ.
- სკამზე დაბრძანდით, ახლავე სასწრაფოს დავუძახებ.
- სასწრაფო მე ვერ მიშველის.
- ასეთი რა შეგემთხვათ?
- გული მტკივა.
- ალბათ გაწყენინეს.
- მაწყენინეს კი არა, გადამრიეს... ვერ მატყობ?
- კი გატყობ, — თანაგრძნობით შეხედა მილიციელმა, — მაგრამ  
გაჭირვებას ვაუკაცურად უნდა დახვედრა... ცოლთან უსიამოვნება ვის არ  
მოსვლია, შე კაცო!

ასეთ საკითხზე მილიციელს, ეტყობა, საკუთარი შეხედულება ჰქონ-  
და. ვაჩემ შენიშნა, ცოლის გარდა არ შეიძლება კაცი სხვამ გადარიოსო?

— სხვაზე ნერვებს რატომ იშლი, — დაამშვიდა მილიციელმა, —  
ისეირნე ამ ლამაზი ზღვის პირას, არ ჯობია?

- მოელი დღე ვსეირნობ, მაგრამ ვერ მიშველა.
- მე რით შემიძლია დაგეხმაროთ?
- წამოდი, ვაუკაცურად თითო ჭიქა დავლიოთ.

მილიციელმა იუარა, მე სამსახურში ვარ, მაგრამ დალევას არც შენ  
გირჩევო. დალევის ნაცვლად ვაჩეს სახლში გაცილება შესთავაზა.

ვაჩემ შორს დაიჭირა, გაცილება არ მინდა, ჩემს მტრებს დაჭერილი  
ვეგონებიო.



მილიციელმა სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება.

- თქვენი მარტოდ გაშვება არ შეიძლება, უნდა წამოგყვეთ მარტოდ გაშვების მიზანის მიხედვით
- არ მინდა წაყოლა, თავი დამანებეთ! — იყვირა ვაჩემ და ფეხს აუჩქარა. მილიციელი უკან მიჰყავა.

ამ ამბების შემდეგ განმარტოებულ ხეივანში თალიკო შემოვიდა. გული ეუბნებოდა, ვაჩეს ნამდვილად იპოვიო და კინალამ მილიციელში შეეშალა.

მილიციელს თავისი დარდი ჰქონდა, ის ავადმყოფი კაცი როგორ დამეკარგაო. ვაჩეზე გაბრაზებულმა ქალს ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა, მაგრამ ამდენ ჭირში გამოვლილ თალიკოს მილიციელი რას შეაშინებდა!

- რატომ შემომჩერებიხარ? — გამომწვევად ჰქითხა მან წესრიგის დამცველ.

შილიციელმა ბოდიში მოუხადა, ხომ არ მეტყვით, რომელი საათიაო.

— ბალში პირველად ხომ არა ხარ, ამხელა საათს ვერ უყურებ? — ხელით უჩვენა თალიკომ უზარმაზარ რეინის ბოძე ჩამოკიდებულ საათზე.

— ეს საათი დეკორაციაა, არ მუშაობს.

— პოდა, არც ჩემი საათი არ მუშაობს.

— კი, მაგრამ რატომ ბრაზობთ? — დაინტერესდა მილიციელი.

თალიკომ ბოშა ქალივით დოინჭი შემოიდგა.

— რას გეტყვი, უფროსო, იცი? — გამოჭერაზე თუ ხარ, საათს ომა-მდე კითხულობდნენ, ახლა მოდაში აღარაა.

— ბოდიში, ქალიშვილო, სიტყვა გითხარით, ტყვია ხომ არ მისვრია?

— ვინაა შენი ქალიშვილი! — შეიცხადა თალიკომ.

— აბა, დეიდას ხომ ვერ დაგიძახებთ?

— ამხანაგო, თქვენ საქმე შემოგლევიათ!

მილიციელი არ დაეთანხმა.

— როგორ გეკადრებათ!

— გაიარეთ, რას მომჩერებიხართ!

— სად უნდა გავიარო, აქ ჩემი პოსტია, შეგემთხვევათ რაიმე და პასუხი მე უნდა ვაგო.

— რა უნდა შეგემთხვეს!

— რა ვიცი, წუხელ ამ ბალში კაცი გაბარცვეს, სწორედ ეს ღრო იყო.

— მე ვერავინ გამძარცვავს, — დაამშვიდა თალიკომ, — ჯიბგირების უსტაბაში ვარ... ახლა საბუთი არ მომთხოვოთ.

— თქვენ ძალიან უცნაური ვინმე ყოფილხართ!

— თქვენ ჩემი და უნდა ნახოთ, მასთან შედარებით მე ანგელოზი ვარ.

— რა მაგის პასუხია და, მსახიობი ხომ არ ბრძანდებით?

— ცირკში ვმუშაობ, კლოუნი ვარ, ხანდახან ფოკუსებსაც ვაკეთებ.

— გეტყობათ, გეტყობათ! — თავი დაუქნია მილიციელმა, — ახლა  
შემიძლია წავიდე?

ეროვნული  
სიმღერები

— თუ სპეირო იქნებით, შეგატყობინებთ.

მილიციელი წავიდა. რადიომ სხვა სიმღერა წამოიწყო.

მე უშენოდ ვეღარ გავძლებ  
და სიცოცხლეც მიჭირს,  
გოგოვ, გოგოვ, არ დაინდო  
დედისერთა ბიჭი....

თითქოს ამ სიმღერას უცდიდაო, ხეივანში ვაჩე ვაჩეიშვილმა ჩაიარა. თალიკოს გული კინალამ გადაუბრუნდა, მაგრამ ვაჩემ ქალი კი არა, ბოძი ვერ დაინახა. ჩქარი ნაბიჯით მიმავალი რომ ყოფილიყო, ალბათ, მარტო კოპით ვერ გადარჩებოდა.

შემდეგ ვაჩე ზღვასთნ მივიდა, საკინძე გაიხსნა და გაოფლილი მკერდი ნიავს მიუშვირა — (არ გაცივდესო! — შეშინდა თალიკო).

თუმცა ოადიო ისევ მღეროდა, მაგრამ თალიკოს გამახვილებულ სმენას ვაჩეს არც ერთი სიტყვა არ გამოპარვია.

აი რას ამბობდა ვაჩე ვაჩეიშვილი:

— ჩემო უნიჭო კოლეგებო, თქვენთან ყოფნას არავითარი აზრი არა აქვს... მხოლოდ შენ, ჩემო ზღვაო, შენ გაგანდობ ჩემს საიდუმლოს!

ამ ლაპარაკში ვაჩემ ტანსაცმელი გაიხადა და მორიგი წინადადება წარმოსთქვა:

— ახლა ჩემს დაბოლმილ გულს ზღვა თუ გააგრილებს... ო, რა წყალია, შენ გენაცვალე! აბა მოვემზადოთ... ერთი, ორი და...

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა და თალიკომ იყივლა.

— სამი არ თქვა, არ გაბედო!

შეშინებულმა ვაჩემ უკან მოიხედა.

— გიურა ვიღაცა, რა უნდა გავბედო?

თალიკო მისკენ კისრისტებით მოჩბოდა.

— არ გაბედო-მეთქი, მე აქა ვარ!

ვაჩემ იაზრა, რა უბედურებაც იყო მის თავზე და ზღვაში დაუყვინთა.

— გადახტა, გადახტა, მიშველეთ!

თალიკოს ყვირილს მილიციელის სასტვენის ხმა შეუერთდა.

— ნუ გეშინია, მოვდივარ!

— ჩქარა თორემ დავიღუპეთ!

მილიციელი იმ წამსვე ვაჩნდა.

— რა მოხდა, ვინ მოკლეს, ბანდიტები სად არიან?

თალიკო უკვე სახეს იკაწრავდა.

— მიშველეთ!

- ხომ გითხარით, ჩემი საშველი დარჩებით-მეთქი!
- კაცი იხრჩობა, შენ იმას უშველე!
- რა დროს დახრჩობაა ამ ღამეში! — გაუკვირდა მილიციელს.
- ღამე რა შუაშია!
- რა შუაშია და არაფერი ჩანს... დაიცა, დაიცა, ეს ტანსაცმელი ვი-
- სია?
- ვინც ზღვაში გადახტა, იმის...
- მერე თავის დახრჩობა თუ უნდოდა, ტანზე რატომ გაიძრო, ჩაც-  
მული არ ჭობდა?
- ეს ვინ ყოფილა! კაცს შველა უნდა-მეთქი! — თალიკომ მილიცი-  
ელს სასტვენი გამოსტაცა, — მოგვეხმარეთ, კაცი იხრჩობა!
- სად იხრჩობა, ერთი დამანახე!
- გადახტი-მეთქი, მე შენ გეუბნები!
- გადავხტი და ისაა, სხვა რა საშველი მაქვს! — თქვა მილიციელ-  
მა და ზღვაში გადაეშვა, — ნუ გეშინია, გამაგრდი!.. მოვდივარ!..

(დასასრული შემდეგ ნომერში)

---

## Ճ Գ Ճ Ո Ճ Ե Ն Օ

...Ճա հոցործ օվեն ճազբմայոռոյոլուն,  
Շշշեթա յլուրսա սյուլս,  
Ճա պետքը ծածան մուղու յոնտունոյէթո  
Ենութու յև ոյու նյուլ?  
Ճա շարամ շերա ճա շեր մոշուսաւենք,  
Ցալու պոտունա Ցալու,  
Ճա շարամ շերա ճա շեր մոշուսաւենք,  
Ցոյշիրո մաժալեթս Նեցա,  
Տոտյուսճա մուղամ Շիմաճ շպոտունար  
Ճա Նեցա սյուրցունու մյուլուն —  
Նելա օմուտ զար Շիմայոռունու,  
Ռոմ կմայոռունու զար.

## Ր Թ Ց Թ Ր Ը Ց Ճ Ո Ն Ճ Ր Յ

Ազգունունուն հոցործ մօնարչ  
Ճա կալակունուն զեղար Վե՞նե՞ն  
Ազգունունուն, հոցործ մօնարչ  
Ճա նաձուն զեծրծվո տազգամերունու,  
Ազգունունուն հոցործ մօնարչ  
Ճա կալակունուն զեղար Վե՞նե՞ն,  
Ցյ զար Ցալունեվո,  
Ցյ զար մօնունու,  
Ցյ զար Ցալունու,  
Ցյ զար Շեմերուն.

ავდიდებულვარ, როგორც მდინარე,  
როგორც მდინარე წყალდიდობისას,  
ახლა დრო არი,  
ახლა დრო არი  
დიდი გრძნობის და დიდი ნდობისა.

შე გავეჯიბრე ყველა მდინარეს  
და სანთელივით გახდა ცა რბილი,  
ჩემში უძლევი ძალა მძვინვარებს  
და დაუინებით ითხოვს სარბიელს.

ასე ვბობოქრობთ მე და მდინარე  
მუდამდღე ყალყზე შემართულები,  
მუდამ ვისწრაფვით მე და მდინარე  
ოლონდ უხვადასხვა მიმართულებით.

მდინარე თავქვე ეშვება მუდამ,  
შე კი ჭიუტად მივიწევ მაღლა,  
მდინარეს ქვეყნის წალეკვა უნდა,  
მაგრამ მდინარეს ეტყობა დაღლა.

და ჩემი ძალა, ძალა მძვინვარე  
დროის და სივრცის ყოველგვარ ზღვარს შლის,  
ძერე მარცხდება ჩემთან მდინარე  
და შერცხვენილი თავს იხრჩობს ზღვაში.

## ქ ა რ ი ა ტ ა

ქარიატა, ქარიატა,  
ღამეა და ქარია და...  
ეს სათუთი თუთარჩჩელა  
დარჩეს ჩვენთან, თუ დარჩება  
ქარიატა,  
ქარია და  
ფიცრულ სახლში ქარი ატანს,  
მიწა ზეცის ოდენაა,  
ზედ მეგრული ოდებია,

ზეცა მიწის ოდენია,  
ზედ ვარსკვლავებს მოღენიან,  
და ეზოებს გოგონები  
ნიავივით მოსდებიან.  
ქარიატა, ქარიატა,  
ღამეა და ქარია და  
გასათხოვარს გაულადდი,  
ფრთხილად იყავ ქმარიანთან.

ცა გრიალებს,  
ცა რიალებს,  
ცა არავის უყურებს,  
როგორც კასრი ცარიელი,  
წამდაუწუმ გრუხუნებს.  
ელვაც უეცარი არი  
და ზღვაც დუღს და გადმოდუღს,

ცარიელი ცა რიალებს  
დინჯი დედამიწა დუმს.  
ქარი მძლავრობს და მიმოქრის,  
აბა უკან, აბა წინ,  
ცა მქუხარებს,  
ცა ბობოქრობს,  
მაგრამ იმდენს არა წვიმს.

---

## გავით ხერობა

მიმდინარე და დამატებით

### გვერდული პენგები

კარგად მახსოვს შენი თაფლისფერი, მშჩინვარე სადაფით მოჰედილა გულისპირი... ჩემს ყურში ახლაც უღერს შენი სიმებით დარხეული საოცრად ტკბილი, დაუვიწყარი ჰანგები, დედისეულო, გარდასულო ქალწულობის გიტარაც...

მახსოვს და საფლავმადე ვით დავივიწყო: ბატონებმა ატმის ყვავილებისფრად ტანზე ერთბაშად გამომაფინა, სიცხიანი, ანთებული თვალებით კვამლით გამურულ სახლის ჭერს ვუცქეროდი, ბინდისა და სინათლის ზღვარზე პირველად ვხედავდი დედის ათროთოლებულ ხელებს, შენს სიმებს რომ ეხებოდნენ. იმ უკვდავ „იავნანას“ მღეროდა იგი, ხან ბატონებს ეხვეწებოდა — „მოუოხეთო!“.

შენ ენა გქონდა და იმ ღვთაებრივი მუსიკის ენით ლაპარაკობდი, ჰყვებოდი, გტკიოდა, ნალვლიანობდი, ხალისობდი თუ იცრემლებოდი...

შენ გული გედგა, მეტად ფაქტიზი და დიდი, სათნო გული, მღეროდი და თრთოდი, თრთოდი და მღეროდი...

აქვეყნად უკვალოდ ფოთლის შრიალიც არ იკარგება თურმე, ყველაფერი ჩვენთან ერთად მოდის და ჩვენშივე შუქივით რჩება.

რაძდენი ლამაზი, გაფრენილი თეთრი დღის მოწმე ხარ შენ!

გახსოვს? დედაჩემის ქალწულობის უამს მის უბიწო სიყვარულზე კვნესოდი თურმე. მთვარიან ღმერქი, როცა სიყვარულის საგალობელს მღეროდი, დედაჩემს მამა მეორე ხმას შეუწყობდა და შენც გემატებოდა ცეცხლი და ჭაბუკური სულის ხმაური. მაშინ თქვენი გულები ერთდებოდნენ, ლალობდნენ და ცამდე მაღლდებოდნენ.

შერე შენი სიმივით დაიძაბა და უეცრად გაწყდა ის დალოცვილი სიყვარულიც.

მოვიღნენ მშფოთვარე და მოუსვენარი დღეები.

სავდრო ღრუბლებმა ცას ხელი დარიეს, მამა ომის გზაზე გაიყო  
ლიეს...

ისევ მღეროდი შენ, ისევ კენესოდი და თრთოდი, მაგრამ ხმაში ცოტა  
ნალველი და ბზარი შეგეპარა.

ალბათ შენი სიმები ერთბაშად დასწუდებოდნენ მწუხარების გვალვი-  
საგან, ხანდახან, ფარულად დედის თბილ ცრემლებს რომ არ დაელე და  
არ დაესველებინე.

გახსოვს, როცა ბავშვები ცარიელი განჯინის კარს ამაოდ ვაჭრიალ-  
ებდით, დედამ გაგწირა მაშინ შენ!

ოქროსფერმა, სიმინდის ბრჭყვიალა მარცვლებმა წუთით გაათბეს  
თვალები ჩვენი...

ხუთუ არ გრძნობდი, როგორ ჟუახუახებდა მშობელს ხელები, რო-  
გორ უძნელდებოდა განშორება, ვეღარ გელეოდა...

და ვხედავდით ბავშვები, როგორი კმაყოფილებით გვიცხობდა დედა  
იმერულ თხელ მჭადებს, როგორ ტეხდა ფიქრებით დათოვლილ გრძელ  
ლამებს...

ბევრი ამ მოიგონა კაცის საოცარმა გონებამ, რამდენი საკრავი გა-  
ჩნდა შენს მერე ქვეყანაზე, მაგრამ მაინც სულ სხვა იყო ის შენი გაყი-  
ღული ჰანგები...

სადა ხარ ახლა შენ?!

თუ ისევ შევრჩა და არ დაგწყვეტია გულის ალმოდებული ძარღვები,  
კვლავაც იმღერე იმ გატაცებით ძველი და მარად ახალი სიყვარულის სა-  
გალობელი!

მხოლოდ იმ სიყვარულზე იყუჩე, იყუჩე, დაუვიწყარო გიტარავ, იქ-  
ნებ არც დაგიჯერონ ახლა შენ, ერთნაირი გული როდი აქვს ყველას...

გემუდარები, შეუნდე მას, ვინც ადრე არ იცოდა, რომ შენ თვითონ  
გული ყოფილხარ, ცოცხალი გული, უბერებელი სიყვარულით აფეოქებუ-  
ლი!

## Ա Վ Մ Ե Յ Ծ

Ցաշագուստա ցաշաց Շենք Տակելն,  
 Հոտ Տարբեզանեցելն — Ըղացի Գոտողոլո,  
 Շեմոցամուսար Ըմերտեցի Տակելցին  
 Ըստ Ցեղ Ցողցի Կողացի Գոդողո.

Հասածամուտան Տայ Ցորցացը,  
 Ցողմուտ Եպ Թեռլու Եղացեցի Տացի,  
 Ըստ Կողացամացլուն Ըստ Ցործալո  
 Ծրուալցին Կացը Խցենցանի Տացի.

Նուլու ՏօմՇվութ Համուրա Ֆեռայէ  
 Ան Բյալոնի Ցու Ետմո Պայալ;  
 Հոգոր Գաջարի մահտալո Եռց  
 Ըստ մուսո Ժեն Տեմ, Քամ, Պայե՞՞?

Եղանակ Արլացալնեն Ըմերտեցի Կանոնն —  
 Կողնուն Շեյենա ոյո Թուժրեցի...  
 Ամ պարսալուն նայութու ցամո  
 հայեն ուսեց Վպուաց գլու Ըստ Թուժրեցի.

Վաղացաց Տուխու Տոյետու մարցլեցի,  
 Տան ար Ցաշաց Ենցի Ցորուրու Նուլու,  
 Ըստ Հա Կողաց Կուսերի Ցաշացը,  
 Տանամնիակաց Ֆյուլու Նուրզուլու.

Տցոնուրեցի Տեղա Շաստուրաց  
 Տաց Սկրաց Սեմուր... Տանեմոնի Սնդատ,

რამეთუ მერყევ სულში მაცდურად  
სხვის ფარულ მზერას განიცდი მუდამ.

და სულ არა ჰგავს გადამდგარ სურვილს  
წილმაყარობა ცოდვის შვილებთან.  
ო, განვედ ჩემგან, მაცდურო სულო,  
ნუსუ მოვიდა რაც მაშინებდა?!

ნუსუ გულისთქმა ჰკარნახობს სინდისს,  
სათქმელი სამანს მაინც ვერ გასცდა  
და გულგრილობის უჩინო ხიდით  
ისეც გადადის ცოდვილთა კასტა.

შემოდგომია ღმერთების კარავს  
და ზედ უდგია ცოდვის გოლოლი.  
მარადისობა მის სახელს ფარავს,  
ვით სარცხვინებელს — ლელვის ფოთოლი.

## ტყის მჯრელის სიკვდილი

გამწარებული უსტვენდა ჩიტი,  
როცა ციმციმით გამოპერნდათ კაცის ცხედარი,  
ა, ამ უცნაურ მოედანზე ვერაფერს იტყვი —  
ახლა ბუნებას გამგებლობდა თვისი ცვედანი,

გარდაცვალა, როგორც იცვლება  
ჟემოდგომისას მზისგან მარხული  
ყოთოლი... და ხეს გათლილს ფიცრებად  
ადგა სხვა ჭაფა და სამსახური.

გამწარებული უსტვენდა ჩიტი...  
და ჩენილიყო ტყის მჭრელი ვალში,  
ოდეს განშორდა სული და იგი  
ჩასახლდა ჩიტის ნამცეცა თვალში.

გამწარებული უსტვენდა ჩიტი  
 და ტყის ღუმილში ქმნიდა ღისონანსს,  
 და უფრო დიდი უთქმელი სიტყვით  
 წინ მიუძლოდა პროცესის მარადისობა.

\* \* \*

გია მარგველაშვილის ოჯახი.  
 ბელა ახმალულინა კითხულობს.  
 გალაკტიონს.

ზამთრის ფერიები ფრთების სიმსუბუქით  
 თეთრად ფარფატებენ ღამის მოლანდებად...  
 როგორც მოგადგება თვალზე ცრემლის შუქი,  
 ამის შემხედვარე უცებ მოგადგება...

მასენდება შენი მხატვრის სალონიგით  
 შეზღუდული კედლის ფერთა ემოცია.  
 უხმოდ ლექსის კითხვას უსმენს სალომეა,  
 იგი პოეზიის მონა და მოწმეა.

გალაკტიონს უხმობს თათრის ქალი ბელა,  
 შეღონებულ ხმათა ხვეწით და მუდარით,  
 მიწა დაფლეთილა დიდ-დიდ საფლავებად,  
 ხშებით აღვსებულა მხარე სამუდამო.

როგორც მოგადგება თვალზე ცრემლის შუქი,  
 ამის შემხედვარეს უცებ მოგადგება,  
 ზამთრის ფერიები ფრთების სიმსუბუქით  
 თეთრად ფარფატებენ ღამის მოლანდებად.

ნეკითაცია  
ბორჩება

გიორგი საღამეპა

თ ე ა ს ს ძ ი ნ ა ვ ხ

როგორ შეწყდა ანაზღად ერთი აურზაური?  
ასე როგორ მიწყნარდა ამოდენა ხმაური?!

ეს რა იყო ნეტავი — ორეობა თუ ბაზარი,  
ღრიანცელი, ხორხოცი, დედამიწის ზანზარი?!

ყურთასმენა მოელ სახლში ისე დაკარგულიყო,  
ტელეხედვით ფეხბურთის გადმოცემა თუ იყო?

როგორ შეწყდა ანაზღად ერთი აურზაური?  
და ერთბაშად მინელდა ამოდენა ხმაური?

ოთახიდან გამოდის მომლიმარი ბებია —  
თეა აღარ თამაშობს,  
თეას ჩაძინებია!

## თ ე პ ტ ი რ ი ხ

ატირდა თეა.  
 სოველი  
 წამწამი აახამხამა,  
 ვერ დაამშვიდა სიმღერამ  
 ია და ვარდონანამა.  
 უშუნა წვიმა მოვიდა  
 დიდი მინდორი დანამა.

## თ ე პ ს ბ ა ბ ჟ ე ბ ი

ბაბუები ახვევია  
 თეა გოგოს ბარე ათი.  
 ზოგი მღერის,  
 ზოგი ცეკვობს —  
 დაბაჯბაჯებს როგორც დათვი.

— ბაბუ, ბაბუ!  
 უძახიან.  
 გაოცებით უცქერს ბავშვი.  
 არც ერთს ჭოხი,  
 არც ჩიბუხი,  
 აღარც თეთრი წვერ-ულვაში.

ეხვევიან ყოველ მხრიდან,  
 ლამის ყირას გადადიან,  
 მაგრამ მაინც გუნებაზე  
 ვეღარ არის გოგო თეა:  
 — მე ისეთი ბაბუ მინდა,  
 ჩემს წიგნებში რომ ხატია.



ცაო,  
ცაო,  
ცაო,  
გამომიჭერ კაბა! —  
იაიას როგორ  
დავემსგავსო აბა?!  
ქარს წავყვები სასეირნოდ,

შემოვივლი მთა-ბარს,  
ქვეყანაზე რასაც ვნახავ,  
მოვუყვები პაპას  
და რაც ქვეყნად ყვავილია,  
მისთვის დავკრეფ ყველას.  
მას ვუმღერებ ამ სიმღერას —  
აბა დელი, დელა!

## თეას სურს ტაქსით გასეირნება

გააჩერეთ ტაქსი —  
მე და თეა ჩაგვსვით.  
გაგვაქროლეთ მწვანე კონცხზე  
ბორანიკურ ბალში.  
მერე გორაკს გადავივლით,  
მერე ჩავალთ ჩაქვში.

გააჩერეთ ტაქსი —  
მე და თეა ჩაგვსვით.

## თ თ ჯ ი ნ ა დ ა თ ე ა

ამოდენა ბაია  
ჭერ არავის ჰყოლია.  
არც ნაკლები, არც მეტი —  
თეა გოგოს ტოლია.

იცის თვალის დახუჭვა,  
იცის თვალის გახელა.  
ცისფერთვალა თოჯინას  
ირმა ჰქვია სახელად.

— თეა, ახლა ჟამის დროა,  
რას მიირთმევ სადილად?

თეა კერძებს დიდხანს არჩევს,  
ვეღარც არჩევს აღვილად.  
თითზე ითვლის:  
„ესა, ისა“,  
თითქოს ციფრებს აჯამებს,  
ბოლოს სულაც უარზეა:  
— რამე ირმას აჭამეთ.

ირმას ხვეწნა რად უნდა?  
ვიმორჩილებთ აღვილად.

თეა რჩება უჭმელი,  
ირმა ჯდება საღილად.

იქნებ თეას ძილი უნდა?  
— არა, ნუ დამაძინებთ.  
თეას ნაცვლად ირმას ვაწვენთ.  
თვალებს ხუჭავს მაშინვე.

რაյი ირმა ჰქვიანია  
და დამჯერე ბავშვია,  
სათამაშოს მას გუყიდით,  
ვასეირნებთ ბალშიაც.

ვაცქერინებთ ტელევიზორს,  
თეატრშიაც წავიყვანთ.  
ტკბილეულსაც ბევრს ვუყიდით,  
ნაყინს ვაჭმევთ ხანდისხან.

რაღას იზამ ახლა, თეა,  
რომ გაჭობა სხვამ?  
შენა ჭამ თუ ირმამ ჭამოს?  
— ვჭამ!

---

## მოთა ქარიბე

## ჩავრაცხის ხალხოა მეგობრობისათვის

„კავკაციის ნამდვილი ბუღეა სხვადასხვა პატარა ხალხისა“, — წერდა ჩვენი საუკუნის გარიერაეზე დიდი ქართველი პოეტი ვაჟა-ფშაველა. და მართლაც, ძნელი წარმოსადგენია ესოდენ მცირე ტერიტორიაზე ამდენი სხვადასხვა ხალხი ცხოვრობდეს, განსაკუთრებით მთაში, კავკასიონის ქედის ორივე მხარეზე. ჩვენს ღროში კავკასიის ამ თავისებურებას ხაზი გაუსვა ვ. მაიაკოვსკმ: „ყოველ მესამეს — თავისი ენა და ეროვნება აქვს საკუთარი“.

კავკასიის ხალხთა მრავალეროვნულობა და საჩრდინობრივი სხვაობა, რასაც თან ერთვოდა მიწის სიმცირე და სოციალური უკურმართობა, ბევრ მეტად მწვავე პრობლემას აყენებდა და ხელს უწყობდა ეროვნული მტრობისა და შეიღლის გალვივებას, ერთმანეთზე თავდასხმას და ურთიერთაშორისებას. ამით ხშირად საკუთრებულობდნენ „მე თუ შეიხობის“ სულისკვეთებით გაუღენთილი დიდი თუ პატარა ონავრები და ძარცვავდნენ, აოტებლნენ კავკასიის ხალხებს.

ერთ-ერთ ფელეტონში ვაჟა-ფშაველა შენიშნავდა, რომ ძველ ღროში უხილეთო მგზავრობაც კი სანატრელი ჰქონიათ მთიელებს. ამის საბუთად იგი ასახელებდა ხალხის ჩვეულებას: ოჯახ-

ში სტუმარს რომ მიიღებდა ან მოგზაურობიდან დაბრუნებულ შინაურს თუ შესველებოლა, ფშაველი ჭერ გამარჯვებას ეტყორდა მას, ხოლო შემდეგ დასძენდა: „მოხვედ მშვიდობითა“. წავლისას კი ასე ლოცვდა: „მშვიდობით წადი, ჯვარი გეწეროს“. გაშასადამე, დასკვნიდა ვაჟა, „უნდა ვიფიქროთ ძალაუნებურად, რომ უშაველისათვის შენ მშვიდობით მოსვლა სათუო საქმე ყოფილა ერთ დროს“.

მღვმარეობა ერთბაშად შეიცვალა რუსეთთან კავკასიის შეერთების შემდეგ; ცალკეულ ტომებსა და ხალხებს შორის მშეგიდაბა ჩამოვარდა, კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა. კავა-ფშაველა და სხვა გამოჩენილი ქართველი მწერლები თუ საზოგადო მოღვაწეები მხურვალედ მიესალმებოდნენ ესოდენ უკურმართი ღროების გაქრობას, კავკასიის მთაში დიდი ხნის ნანატრი მშვიდობის დამკიდრებას. „დღევანდელი მგზავრობა ხომ, კარგად ვიცით, — წერდა ვაჟა-ფშაველა იმავე ფელეტონში, — საშიშარს არაფერს წარმოადგენს და ათასში ერთსაც არ ერღვევა მშვიდობა მგზავრობისას“. ამავე დროს ისინი ხავასმით აღნიშნავდნენ რუსეთის გადამწყვეტ როლს ამ საქმეში. კერძოდ, თავის ერთ-ერთ კორესპონდენციაში ეგნატე ნინოშვილი

ამის თაობაზე წერდა: „უკანასკნელ  
ღროს როგორც საქართველოს, ისე  
დაღესტნის ისტორიული ცხოვრება  
შეიცვლა, აუზრბელი მტრისაგნ დაუ-  
ძლეულებულმა საქართველომ რუსთს  
შეაფარა თავი და შემდეგ დაღესტანიც  
რუსეთის ქვეშევრლომად გახდა. ამის  
შემდეგ მოისპონ ქართველებსა და ლე-  
კებს შორის მტრობა“.

რა თქმა უნდა, მარტი შევიდობა,  
ურთიერთ დაბევერის შეწყვეტა საქ-  
მარისი არ იყო, თუმცა ძევლი მტრო-  
ბის რეციდივები, მეფის მთავრობის  
შაქეზებით, აქა-იქ და მეტ-ნაკლებად  
მანქ იჩენდა თავს, განსაკუთრებით  
1905 წლის რევოლუციის პერიოდში.  
იმ მიზნით, რომ დაგესუსტებინა რევო-  
ლუციის ქარტებილი, გაეთიშა მოიხი-  
შე ხალხის ძალები, თვითმპრობელობა  
ყოველი ღონისძიებით აღვივებდა შუ-  
ღლასა და მტრობას კავკასიის მთის ხა-  
ლხებს შორის, განშირდა თავდასხები,  
ავაზაკობა და მკლელობანი. „საგული-  
სხმო ისაა, — წერდა ვაჟა-ფშაველა,  
როცა ეს ფაქტები საზოგადოებრიობის  
სამსჯავროზე გამოჰქონდა, — რომ ეს  
მკლელობანი გარკვეული გეგმით ხდე-  
ბა — თვითული ფშაველის საზოგა-  
დოების დაპირისაპირებით ხევსურეთის  
საზოგადოებებთან, რათა ერთს მეორე-  
სთან ჰქონდეს საბუთი დაჯახებისა“.  
მეფის მთავრობის ამ პროვინციას  
ის შედეგი მოპყავა, რომ ხევსურებმა  
იწყები თარეში ფშავში, მათ აჟყვენ  
ქისტები და დაირღვა მთის დიდი ხნის  
მშვიდობა. საბედნიეროდ, ხალხმა მალე  
გქმიოცნ მტრის ბორიტი ზრახები.  
ამას მოწმობს ხევსურთა 1905 წლის  
მარტის „დეკლარაცია“. ამ დოკუმენ-  
ტის ერთ-ერთი მუხლი, კერძოდ, მოი-  
თხოვდა „სოლიდარობის დამყარებას  
კველა კავკასიის ერებთან“.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა  
ჰქონდა კავკასიის სამი ძირითადი ერის  
— ქართველთა, აზერბაიჯანელთა და  
სომხთა სოლიდარობა-ერთიანობას. ეს

ძლიერ კარგად ესმოდა როგორც მო-  
წინავე საზოგადოებრიობას, ისე მეფის  
მთავრობასაც. სწორედ მეფის მთავრობა და  
მოაწყო 1905 წლის რევოლუციის  
პერიოდში სომეხ-თათართა ხევა-ულე-  
ტა. ამ პროვინციის მიზანი — რე-  
ვოლუციური ძალების გათიშვა აშკარა  
იყო და დღიდა ქართველმა პოეტმა  
აკაპი წერეთელმა მაშინვე რჩევით მი-  
მართა ორივე მოძმე ხალხს შეეწყიტა  
ურთიერთ ხევა-ულეტა და მახვილი  
აღმართა საერთო მტრის — მეფის  
თვითმპრობელობის წინააღმდეგ.

„გაგდეთ ხმალი... ხანგალი,  
ხელი მიეცით ძმურად!..  
ნუ შესცერიხისართ ერთმანეთს  
მტრულად და ბატონ-ყმურადა.  
ბერძნიერება ამ ქვეყნად —  
შეერთებული შრომაა.  
რა დროს მტრობაა ძმებისა  
და რა დროს განსე დღომაა?  
შეერთდით, ძმებო! შერიგდით!  
ხელი მიეცით ძმურადა  
და მტერს დაუხვდით გარეშეს  
თამამად... ვაჟკაცურადა!“.

მსგავსი შემთხვევა — ძმათამკვლელი  
შეტაკება არცოუ ისე ხშირი იყო და  
მაიც ძველის გადმონაშთს, რეციდივს  
შარმოადგინდა. თუ კი იგი ზოგჯერ  
თავს იჩენდა, მხოლოდ და მხოლოდ  
მეფის თვითმპრობელობის ინტიხალ-  
ხური ეროვნული პოლიტიკის, მისი  
პროვინციული მოქმედების შედეგად  
და განმსაზღვრული ფაქტორი არ ყოფი-  
ლი კავკასიის ხალხთა ურთიერთობაში.  
მაგრამ მატოლიდენ მშვიდობა, ურთი-  
ერთ დაბევების შეწყვეტა, როგორც  
უპევ ვთქვით, დაგდასის ბერძნიერებისა-  
თვის, მისა სივდანთებული მომჯლი-  
სათვის საკმარისი სრულიადაც არ იყო.  
დღის წესრიგში იდგა ახალი ამოცანა:  
კავკასიის ხალხთა შემდგომი დაახლოე-  
ბა. მათი მეობრიობის განვითარება და  
განმტკიცება, ერთი საერთო მიზნის —  
საკოველთაო პროგრესისათვის უველა  
ხალხის მჭიდროდ დაზმევა, ჯერ კი-

დღე თავის უკვდავ „აჩრდილში“ ილია  
ჭავჭავაძე ოცნებობდა იმ დღეზე,

როს იგი ტომნი ცად მიღწეულ  
მძლავრ კავკასია  
ართისა აზრით, ერთის ფიქრით  
განდიდლებიან“.

კავკასიის ხალხთა ერთობა დიდ ალი-  
ას მიაჩნდა ბნელი ლამის გათენებას,  
ნათელ დღეს. ამ აზრით არის შთავო-  
ნებულია კერძოდ, მისი ერთ-ერთი  
უბრტყინვალესი ნაწარმოები — დრა-  
მატული პოემა „ქართვლის დედა“. მას-  
ში პოეტი კავკასიის ხალხთა ერთობას,  
ერთი საერთო მიზნით გამსტვალვას უკ-  
ვე ცოცხალ სინამდვილედ წარმოიდგე-  
ნდა. გახარებული შვილი დედას ეუბ-  
ნება:

„მოვიდა დიდ ხნის სანატრელი,  
დედავ, ამბავი:  
ჩვენი ქვეყანა, საქართველო,  
გაღვიძებულა.  
მოვილი კავკასი მტერზედ  
რისხეთ აღმომჟმინავი,  
ერთისა აზრით, ერთის  
არძნობით აღლუვებულა.  
მომილოცნია!... გავითენდა  
ძლიერ ბნელი ღამე!..“

ილიას, აცავის, ვაჟას, სხვა ქართველ  
შეტყობინებისა და საზოგადო მოღვაწეებს  
კარგად ესმოდათ, რომ ვისაც სურს ნა-  
თელი დღე გაითხოს, თავისუფლება  
და ბეღნიერება მოიპოვოს, მეგობრები  
უნდა გაიმრავლოს, ხელი მისცეს მე-  
ზობლებს. განამტკიცის მათთან კეთი-  
ლი კავშირი. სუამისოდ შეუძლებელია  
გამარჯვებაზე ფიქრი და ყოველგვარი  
ოცნება, რაგინდ კეთილშობილურიც  
არ უნდა იყოს იგი, ფუჭ ოცნებად და-  
რჩება — მას ხორცშესხმა არ უწერია.  
აშირომ იყო, რომ ჩვენი სახელოვანია  
წინაპრები თავიანთი მოღვაწეობის  
ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ისახავდნენ  
კავკასიის ხალხთა, უპირველეს ყოვლი-

სა კი ქართველი, აზერბაიჯანელი  
სომები ხალხების შემდგომ დაახლოე-  
ბას, მათი მეგობრობის განმტკიცებას და  
განვითარებას. ამისათვის ისინი  
იქმნებდნენ როგორც წარსულის, ისე  
თანადროულობის ცოცხალ ფაქტებს,  
ქადაგებდნენ ეროვნულ და სარწმუნოე-  
ბრივ შემწყნარებლობას, ხელს უწ-  
ყობდნენ ხალხთა დაახლოებას, კულ-  
ტურულ გაცვლას.

შემთხვევით როდი იყო, რომ დავით  
აღმაშენებლისადმი მიძღვნილ სტატია-  
ში ილია ჭავჭავაძემ ხაზი გაუსვა სახე-  
ლოვანი მეფის ეროვნული და რელიგი-  
ური პოლიტიკის სისრინეს. იგი კა-  
ყოფილებით წერდა, რომ დავით მეფე  
დიდი პატივისცემით, შემწყნარებლუ-  
რად ეკიდებოდა ყველა ერს, კველა  
სარწმუნოებას და დაუფარავი სიამა-  
ყით დაასკვინდა: აი „რა თავმოსაწო-  
ნებელ საბუთს გვაძლეს ხელთ“ დავით  
აღმაშენებელიონ. ეს მართლაც საამაყო  
იყო. საქართველოს სახელოვანი მეფის  
პოლიტიკა განამტკიცებდა კავკასიის  
ხალხთა მეგობრობას, ურთიერთ თანამ-  
შრომლობას. ეს იყო ილია მიზნიც  
და ამიტომაც სამაგალითოდ და თავმო-  
საწონებლად მიაჩნდა დავით აღმაშე-  
ნებლის ეროვნული და სარწმუნოებრი-  
ვი პოლიტიკა.

ბევრი გულთბილი სიტყვა თქვა ილია  
ჭავჭავაძემ სომებ ხალხზე, ხაზებსმით  
აღნიშნა მისი დიდი ისტორიული როლი,  
კერძოდ, ძველი საქართველოს ცხოვ-  
რებაში, როგორც წინა ბასტიონისა  
მუსლიმანური ურდოების წინააღმდეგ  
ბრძოლაში. „ჩვენ, — წერდა დიდი  
ილია, — კარგად ვიცით, რომ წინან-  
დელ საქართველოს უძლურება დაიწ-  
ყო ამ უბედურ დღეთაგან, როცა-კი  
პირქვე დაემხო სომხეთი — ეგ ჩვენი  
წინანდელი ზღვდე სამხრეთით. ჩვენ  
ჩრდილოეთით ვინახვდით სომხეთს და  
სომხები ჩვენ გვინახვდნენ სამხრე-  
თით... დაეცა სომხეთი და სამხრეთის

յարո լրա დარჩა საქართველოში შემო-  
სახევად. თუმცა სომხեთის დაცების  
შემდეგ მოელი თითქმის შეიდი საუკუ-  
ნე კიღევ მანც გავუძელით ათასჯერ  
ჩევნე ძლიერ მტრების, მაგრამ მოელი  
ჩევნი ისტორიული დღენი მოვლალეთ  
და შევალიერ სამხრეთის კრის დაკე-  
ტვას და ვერა გავაწყვეთ-რა“.

სომეხმა ხალხმა, ილიას სიტყვით,  
დიდი სამსახური გაუწია არა მარტო  
საქართველოს, არამედ მთელ კავკასი-  
ასაც, შეუპოვრად იბრძოდა რა თავისი  
დამოუკიდებლობისა და თავისუფლე-  
ბისათვის. მიუხედავად ენით აუქტერე-  
ლი ტანგვა-წმებისა, მტრების საშინე-  
ლი მოძალებისა, მან წმინდად შეინახა  
თავისი ენა, ვინაობა, სარწმუნოება.  
დიდად რომ აფასებდა სომეხი ხალხის  
ნიშა და ლვაწლს, დიდი ილია დაუცხ-  
რომლად იბრძოდა ქართველი და სომე-  
ხი ხალხების საუკუნეობრივი მეცნი-  
რობის ყოველი ლონისძიებით განმტ-  
კიცებისათვის, გაბეღულად ესარჩე-  
ბოდა სომეხ ხალხს და ცივდა მის  
ინტერესებს ჩვენში თუ საზღვარგა-  
რეთ.

ამ მხრივ საგულისხმოა ილია ჭავჭა-  
ვაძის სტატია „ავლაბრელების საქმე“, რომელშიც მან მკაცრად გააკრიტიკა  
თბილისის გამგეობა და საბჭო სომე-  
ხი მორწმუნებისადმი გამოჩენილი  
უყურადღებობისათვის, რასაც ადამი-  
ანის მსხვერპლი მოჰყოლია, და დაცვა  
ავლაბრელი სომეხი მიწის მშრომელთა  
ინტერესები. თავის დროზე ისინი შამ-  
ქორის ომილან ჩამოუყვანია ერეკლე  
მეფეს და ავლაბრში დაუსახლებია.  
აქ მათ საკუთარი მეურნეობები გაუ-  
მართავთ და მიწით სარგებლობისათვის  
ერთ მეათედს იხდილნენ. შემდეგ ამ  
მამულებს ხაზინა დაპატრონებია და  
სომეხი გლეხები უკვე მას ძძლევდნენ  
დალას. ბოლოს მთელი ეს მიწა-წყალი  
ხელში ჩაუდეს ორ-სამ იჯარდარს  
ისე, რომ ანგარიში არ გულწიეს სომე-

ხი მიწის მუშების თხოვნას, მამული  
ისევ ჩვენ მოგვეცით იჯარდნე ჩა-  
ჩაგვრით ორი-სამი კაცის ხელშით.  
„ამ ისტორიიდან სხანს. — წერდა  
ილია, — რომ რამოდენადაც დრო გა-  
დიოდა, იმოდენად თავდაპირველი სა-  
მართლიანი მზრუნველობა ავლაბრელ-  
თა საზოგადოების მიმართ კლებულო-  
ბდა და გამორჩიმის სურვილი საქალა-  
ქოდ ჰმატულობდა. ბოლოს დაბოლოს  
გამორჩიმის სურვილმა სულ გაბათი-  
ლა წინანდელი აზრი ქალაქის მმართ-  
ველობისა, რომელიც ამბობდა: ქალა-  
ქისათვის გამორჩიმის სურვილმა უნ-  
და აქ ადგილი დაუთმოს ღარიბი ხა-  
ლხის გაშირვებასა და ინტერესებსაო.

კანონიერი აღშოთოების ფრჩნობით  
შეხვდა ილია ჭავჭავაძე აგრეთვე მიუ-  
ტევებელ უზრუნველობასა და უყურა-  
დღებობას, რაც ქალაქის მესვეურებმა  
გამოიჩინეს სომეხი მორწმუნებისად-  
მი ნათლისღების დღესასწაულის დროს.  
იმ დღეს ჩატეულა ხიდი, რომელიც  
სახელდახელოდ გაუდევთ „მაღათვის-  
კუნძულისა და ვანქის შუა“. დალუბუ-  
ლა ასი-ორაბი კაცი. ქალაქის გამგე-  
ობამ შემდეგ თავი იძართლა, ხიდის  
გადების ნებართვა ჩვენ არ მიგვიცაო,  
მაგრამ ილიამ ეს მტკიცება საბუთად  
არ მიიღო. იგი წერდა: „გამგეობს ამ-  
ბობს, ჩვენ ნება არ მიგვიცია ხიდის  
გადებისაო. ჩვენა გვვინია, რომ ძალი-  
ან დაუშავებია, რომ ნება არ მიუცია,  
რაღანაც ყველამ, დიდა თუ პატარამ,  
ქალაქში იცოდა, რომ სომხობისათვის  
წყალის კურთხევა ისე საჭიროა, რო-  
გორც მართლადიდებელთათვის და  
ხსნებული ხიდის ნებადაურთველობა  
ამ შემთხვევაში მოაწავებს გაუქმებას  
იმისთვის წესისას, რომელიც ყველა  
მორწმუნეთათვის მეტად ძირიფასია“.

ასევე გამოხსარჩლა დიდი ილია  
საზღვარგარეთ, კერძოდ, ოსმალეთში  
მცხოვრებ სომხებს. 1895 წელს, რო-  
გორც ცნობილია, ამ ქვეყანაში მოწ-  
ყვეს სომეხი მოსახლეობის ხოცეა-კლე-

ტა. ილია ჭავჭავაძემ დაუყოვნებლივ და გადატრით დაგმო ისმალეთის მეს-ვეურთა დანაშაულებრივი მოქმედება. სტატიაში „ისმალეთის არეულობა და ეცრობა“ იგი გავკირვებით კითხულობდა: „ნუთუ ერთი ერი — სომხები მეორეს — ისმალოს უნდა მიეცეს შესაჭმელად, ქაო-და ოქევნ ცოტანი ხართ და ჩვენ ბევრიო“, და დასტენდა: „საღ არის ის კაცომიყვარებობა, რომელზე-დაც ასე უყვართ ხოლმე დაბგინტა პოლიტიკოსებს და დიპლომატებს და რომელიც მართლა რომ დედაბორია იმისთანა ჩაგრულ ერისათვის, როგორიც საწყალი სომხები არიან დღეს ისმალეთში“.

ერთი თვის შემდეგ ილია ჭავჭავაძე გამოაქვეყნა ახალი სტატია ამეცე საკითხზე: „ისმალეთის სომეხთა განწირვა“, რომელშიც ამხილა სომეხთა ხოჯვა-ჟულეტის ნამდვილი ორგანიზატორები და მიზანი — ხარბი წყურეილ „მე ჩემი ვირგუნოო“. ევროპის ონავარ სახელმწიფოებს ფეხზე ეკიდათ ისმალეთის არეულობის ნამდვილი მოწესრიგება, სომეხი ხალხის ბედი, მათ სურდათ წყლის ამღვრევით ესარგებლათ. რომ ბაღეს კარგად მოხველროდა. „რა თქმა უნდა, — წერდა ამის თაობაზე ილია ჭავჭავაძე, — ეს აწერილი საქმე ისე არ ჩაიღლის, რომ თავგანწირულ სომხებს ისმალეთში ცოტა რამ სიკეთე არ დაყაროს, მაგრამ ეს ცოტა რამ ძალიან ცოტა რამ იქნება და სომხებს ნაათალსაც იმ წამებისას ვერ უზღავს, რაც მათ გამოიარეს, რასაც ისინი ასე თუ ისე სამართლიანად ელოდენ და რისვეისაც ასე საერგბურად და სამაგალითოდ თავი გაიწირეს.“

ილია ჭავჭავაძის ფართოდ ცნობილი „ჭვათა ღალადიც“ სომეხ-ქართველთა შეგობრობის განმტკიცებას ემსახურებოდა. მასში დიღმა პოეტმა ამხილა ზოგიერთი ცრუპატრიოტი, რომლებიც შულლსა და მტრობას ავდებდნენ ორ მოძმე და მტობელ ხალხს შორის. ეს

მათი ნახელავია, შენიშვნები ილია რომ ბოლო ღროს სომეხ-ქართველთა ურთიერთობა რამდენადმე გამწიდვლის მიზანით მომდევ სად იყო ჩვენში ამ რომელი სამოცავის წინათ ერთმანეთის ასეთი ათვალისწუნება! ერთმანეთში არ ვირჩევადით და თუმცა სხვადასხვა მოდგმისანი და სარწმუნობისანი ვიყავით, მაგრამ სომხებით ქართველის ძულებას და ქართველობით სომხებისას ჩვენში აღგილი არა ჰქონია ჩვენდა საკრთო საბეღნიეროდ და სასახლოდ“.

ბევრი ღრია და ენერგია შეალია ქართველი და სომეხი, კავკასიის ყველა ხალხთა მეგობრობის განმტკიცებასა და განვითარებას აქაცი წერეთელმა. იგი ამზილებდა თვითმშერობელობის დამტაშ ცელისას, რომელიც ქართველებს აქებდა, სომხებს აძაგებდა, მაგრამ ერთიც ფეხზე ეკიდა და მეორენიც, „მისი მუცლის ტკივილი სხვაგარი გზა და ხიდიაონ“, ამბობდა აქაცი. ურთიერთობის ყოველგვარი გამწვავება კაცებისას ხალხთა შორის იმიერტურად ნიშნავდა მეფის თვითმშერობელობის ხელშეწყობას, მის წინააღმდეგ მებრძოლი ძალების დაქასებას. ამიტომ გამოვიდა აქაცი წერეთელი 1905 წლის რევოლუციის ბერიოდში სომეხ-თათართა ხოცვა-ჟულეტის წინააღმდეგ, ამიტომც ამბობდა იგი სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანციისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში:

„მეც წამახდენ... შენც წახდები! გავაცინებთ მხოლოდ მტერსა! ჩვენ ვიყვარებთ „ვაი დედას“, ის კი — „მრავალ-ეამიერსა“.

კავკასიის ერებისადმი პატივისცემისა და სიყვარულის გრძელობით არის გამსტევალული აქაცი წცრეთლის ბევრი ის-ტორიული და არასტორიული პოემა თუ სხვა მხატვრული ნაწარმოები. „თორნიკე ერისთავში“, მაგალითად, გვხბლავს ჰუმანისტური დამოიდებულება მტრის მეომრებისადმი. ბრძოლის შემ-

ლეგ ველზე ეყარა ასპით მოკლული და დაჭრილი მეომარი. თორნიერმ ბრძანა, ცველანი ლირსეულად დაემარხათ, მიშველებოდნენ დაჭრილებს, განუჩრევლად ეროვნული კუთხილებისა:

„სიკვდილი ცველას ათანასწორებს: თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!...

ვეცადოთ ცველა და ნუ დავაკლებთ დაჭრილებს მოვლას და მქედრებს სამარეს.

ნურვინ გაპტედავს დატყვევებულებს, რომ მიაყენოს შეფრაცხყოფა“.

ხალხთა მეგობრობის იდეით არის შთაგონებული აკაკი წერეთლის პოეზიის მეორე მარგალიტიც „გმშჩრდელი“. ამ პოემაში სულ ოთხი მთავარი მოქმედი პირია, სხვადასხვა ეროვნებისა, მაგრამ ცველანი უაღრესად კეთილშობილური ადამიანები არიან, თვით საუარ-ბეგიც კა. რომელმაც უნებლიერ საშინელი დანაშაული ჩაიღინა.

კავკასიის ხალხთა მეგობრობას აკაკი წერეთელი პირადი კანტაქტებითაც განატეკიცებდა. იგი იცნობდა ბევრ გამოჩენილ მოღვაწეს და ახლო ურთიერთობა, მეგობრობა აკაგშირებდა მათთან, განსაკუთრებით სომხური და აზერბაიჯანული კულტურის მოღვაწეებთან. მან სამი ლექსი მიუძღვნა სომხური დრამატურგიის კლასიკოს გაბრიელ სუნდუკიანცს, რომელსაც დიდად აფასებდა არა მარტო როგორც ხელოვანს, არა-მედ როგორც კეშმარიტ პატრიოტს, რომელიც დღენადაგ ზრუნავდა ქართველი და სომები, კავკასიის ცველა ზალის მეგობრობის განმტკიცებისათვის. შემთხვევით არ იყო, რომ აკაკი მას ძმას უწოდებდა და არა უბრალო მეგობარს. ერთ-ერთ ლექსში გ. სუნდუკიანცს სწორედ ასე მიმართავდა:

„შენ სომები ხარ და მე ქართველი, მაგრამ ძმები ვართ ერთმანეთისა.“

ბუნებრივია, რომ აკაკი წერეთელმა ლრმად განიცადა თავისი უახლოესი მე-  
ცარის გ. სუნდუკიანცის გარდაცვალის ლება და მისდამი მიძღვნილ უკანასკნელ, გამოსათხოვაზ ლექსში ჰქლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გამოჩენილი სომები ღრამატურები ხალხთა მეგობრობის ქადაგი იყო.

„დღეს მარხავენ ადამიანს გრძნობიერს და გონიერსა, ვინც რომ ჰუნდა ციურ ნათელს განურჩევლად ჰოველ ერსა. ოღონდ კაცი ყოფილიყო, მისთვის იყო ცველა ერთი! სიმართლე და თანასწორობა იყო მისი რწმენა, ღმერთი!“

შევენიერი ლექსი მიუძღვნა აკაკი წერეთელმა აგრეთვე მეორე სომებს ხელოვანს კომპოზიტორ ტერ-დავიდოვს („კომპოზიტორის აღბომში“). ეს ლექსი შეიცავს სხვადასხვა ერების ხელოვნების მოღვაწეთა თანამშრომლობის საგულისხმო იდეას, რაც მკაფიოდ გამოსკვივის სიტკვებში: „მაშ, მოდი და შევხმატებილდეთ: მომიხმარე... მომეხმარე“. თავის მხრივ, კომპოზიტორი ტერ-დავიდოვი სიამაყით აცხადებდა: „მე წილად მხვდა დიდ პოეტ აკაკისთან მჭიდრო მეგობრობა, რომელსაც ვუფრთხილდებოდი, როგორც თვალის ჩინს“.

ურთიერთ თანამშრომლობის ეს იდეა აკაკიმ ცოცხალი სინამდვილიდან აიღო. ქართველი და სომები მოღვაწეები მუდამ ცდილობდნენ მიშველებოდნენ ერთმანეთს, განემტკიცებინათ მეგობრობა კავკასიელ და სხვა ხალხებს შორის. ქართულ სცენაზე არაერთი სომები მსახიობი გამოლიოდა და პირიქით. ისედაც ხდებოდა, რომ სომები სცენის მოყვარენი თუ მსახიობები ქართულ ენაზე წარმოადგენდნენ სპექტაკლებს, როგორც მაგალითად, ქუთაისა და ხონი. ამ მეტად საგულისხმო ფაქტებმა აკაკი წერეთელს აფიქრებინა, რომ საჭირო იყო სომხურ-ქართული თეატრი,

რომელიც ხელს შეუწყობდა ორივე ხალხის აღზრდას და დაახლოებას. „ისტორიის მთელი ტომები, — წერდა აკაკი, — ისე ვერ იმოქმედებინ კაც-ზედ, როგორც ერთი პატრიოტიკული დრამული რამ წარმოდგენა, ერთი ან ორი საათის განმავლობაში მის თვალშინ ცოცხალის სურაობით წარმოდგენილი და ისიც შექცევის კილოთი და ხასათით, და მაშ რას უნდა მივაწეროთ, რომ თბილისის ქლაქში ჩვენ ერთი სომხურ-ქართული თეატრიც არა გვაქვს...“

მე შემთხვევაშიც აკაკი წერეთელს მხედველობაში ჰქონდა სომეხ-ქართველთა კავშირის, მათი მეგობრობის განმტკიცება, ხოლო ხელოვნება მიაჩნდა ამის ყველაზე საუკეთესო საშუალებად. სტატიაში „ქართული თეატრი“ იგა საესებით სამართლიანად წერდა: „...ხელოვნებას საზოგადოდ პირველი აღგილი უნდა ჰქონდეს დამტკიცილი, როგორც საერთაშორისო კავშირს“. ამავე მიზნით აკაკი წერეთელი დიდ მთარგმნელობითს მუშაობას ეწეოდა, ქართველ მყითხელს აცნობდა არა მარტო რუსული და მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს, არამედ მოძმე კავასიელი ხალხების ხელოვნთა ნაწარმოებებსაც. ეს კარგად ჩანს სტატიაში „მირზა-ფატალი ახუნდოვის კომედიის თარგმანზე“, რომელშიც დიდი პოეტი წერდა: „რდგანაც ჩვენ, ქართველები, ვერც ამ მწერალს (ე. ი. ახუნდოვს — შ. ქ.) ვიცნობთ და არც ჩენის მეზობელ თაორების (აზერბაიჯანელების — შ. ქ.) ცხოვრება გვაქვს შესწავლილი, ამიტომ ავილე მეც აზუნდოვის ცრთი პიესა „ხანის ვეზრი“ და სიტყვა-სიტყვით გადმოვთახმენ“. მაშასალამე, მთარგმნელობითს მოღვაწეობას აკაკი განიხილავდა როგორც ხალხების დაახლოების, მათი მეგობრობის განმტკიცების ფაქტორს.

ამ სამ მირითად ერთან — ქართველებთან, აზერბაიჯანელებთან და სომხებთან ერთად კავკასიში, როგორც

ვთქვით, ბევრი სხვა ერი ცხოვრობდა და ცხოვრობს, უმთავრესად კავკასიონის ქედის ორივე მხრის კალთებზე თო ცხოვრება, ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან კველაზე სრულად აგვისახეს ვაჟა-ფშაველმ და ალექსანდრე ყაზბეგმა, რომლებიც თვითონ მთიდან იყენენ. ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე ეს მწერალი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა მთის მცირერიცხვან, მაგრამ ამაყ და თავისუფლებისმოყვარე ხალხებს, ორივე ცდილობდა თავისი ნაწარმოებებითა თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობით განმტკიცებინა ამ ხალხების შეგობრობა როგორც ურთიერთშორის, ისე ქართველ და სხვა ხალხებთან.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვაჟა-ფშაველს ცნობილ პიესას „მოკვეთილი“, რომელიც დღესაც წარმატებით იღგმება ქართულ სცენაზე. მასში დიდმა პოეტმა გადაჭრით დაგმო სხვადასხვა ხალხის, კერძოდ, ქისტებისა და ფშაველების ურთიერთ დარბევა და აწიოკება, რომელიც ნამდვილ უბედურებას წარმატებენდა მოიერთა ცხოვრებაში და თავადა კავკასიის ხალხებს, შულლსა და მტრობას აგდებდა მათ შორის. ბევრი ფიქრობდა, თითქოს სხვაზე თავდასხმა და სხვათა აწიოკება ვაჟაცობა იყო, მაგრამ ვაჟამ გადაჭრით უარყო ასეთი შეხედულება. „იმისთვის ვაჟაცობი ფეხებზე მიდია, რო გზაზე სხვისა საჩის იტაცებენ“, ამბობს „მოკვეთილის“ ერთ-ერთი გმირი. ვაჟაცობა ალალი შერიმა და არა სხვათა დარბევა და აწიოკება — ი ეს აზრი გასდევს ლაიტმორივად მთელ პიესას.

სხვა ნაწარმოებებშიც ვაჟა-ფშაველა მტკიცებ იღაშქრებს ერთი ხალხის მეორეზე თავდასხმის, ყოველგვარი უროვნული განკერძოებულობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ, ქადაგებს პუმანიზმასა და ხალხთა მეგობრობის იდეას, კავკასიის მთის ხალხთა ერთობასა და

მშვიდობას, კერძოდ, ამ სულისკვეთებით არის გამსპეციალული ვაქას ისეთი საქვეყნოდ ცნობილი პოემები, როგორიცაა „სტუმარ-მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“ და სხვ.

„ალუდა ქეთელაურში“ დიდმა პოეტმა გასაოცარი მხატვრული ძალით გვიჩვენა, თუ როგორ მიღაან უბრალო ადამიანები ხალხთა მეგობრობის, რელიგიური შემწყნარებლობისა და ჰუმანიზმის იდეამდე ცხოვრების, სინამდვილის უშუალო ზეგავლენით. ქისტ მუცალთან შეტყვებამ, მისმა ვაჟაცობამ და რაინდობამ ისე მოხიბლა ხევსური ალუდა. რომ მტერში პირველად შეიცნო ადამიანი, მიხვდა, რომ ყველა ერშია კარგი და ლუდი და ადამიანს პატივი უნდა სცე არა ეროვნულ-რელიგიური წარმომავლობით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ პირადი ღირსებით:

„ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,  
მარტო ჩვენ გვზრდიან დედანი;  
ჩვენა ვსცხონდებით, ურჩულოთ  
კუპრში მოელის ქშენანი.  
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,  
ღვთისშვილთ უკეთეს იციან.  
ვველანი მართალს ამბობენ  
განა, ვინაცა პფიციან?“

ი ამიტომ აუგანყდა ალუდა თემს და თავისი ახალი ჩრდენის უარყოფას სამშობლისაგან გაცალა ამჯობინა. მას არ შეეძლო შერიგებოდა იმ აზრს, თითქოს კარგნი მხოლოდ ხევსურნი არიან, რომ სხვა ერისა და რჯულის კაცი პატივისუმის ღირსი არ არის, თუნდაც იგი „კაი ყმა“ იყოს. ასე ამაღლდა ხევსური ალუდა ხალხთა მეგობრობისა და და სოლიდარობის იდეაზდე.

ამავე სულისკვეთებითაა გაუდენთილი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელიც“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ უკვე ქისტი კოყოლა აუგანყდა თემს ხევსურ ზვადაურისადმი უპარიცემულო დამოკიდებულების გამო. ისევე, რო-

გორც ალუდა, ჭოყოლაც მიხვდა, რომ ვაჟაცარობა თუ ლაბრობა კაცის ერთვა ნებით კი არ განიზომება, არამედ მისი პირადი ღირსება-ნაკლოვანებებით.

ვაჟა-ფშაველას აქვს ისეთი ნაწარმოებებიც, რომლებშიც დიდი სიყვარულით ასახა შეზობელი ხალხების ცხოვრება, შექმნა მათი საჟვეთესო შვილების შთამბეჭდავი მხატვრული სახეები. ერთი ასეთი ნაწარმოებია „სისხლის ძიება“. ამ პოემაში ვაჟამ მიმზიდველად დახატა ჩერქეზეთი — „არწივთა ბუდე“ და შექმნა თავისუფლებისათვის შებრძოლი ქიჩირის ვაჟაცური მხატვრული სახე.

თავის პუბლიცისტურ სტატიებშიც ვაჟა-ფშაველა იცავდა და ავითარებდა ერთა მეგობრობის, კავკასიის ხალხთა ერთიანობის იდეას, ილაშქრებდა მათ შორის მტრობისა და შუღლის ჩამოგდების ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ დიდი პოეტი ჩასწვდა ეროვნული ჩაგვრის ნამდვილ მიზეზს — სოციალურ უსამართლობას და განაცხადა, რომ ერების თავისუფლებისა და წინსვლისათვის აუცილებელია სოციალური პროგრესი, საზოგადოების სოციალური გარდავენა. „თავისუფალი უნდა იყოს არა რომელიმე ერთი წოდება, — წერდა ვაჟა,—არამედ მთელი ერი. ქვეყანაც მხოლოდ მაშინ იქნება ბედნიერი, როცა მოისპობა წოდებრივი უპირატესობანი — ყველა წოდება იქნება თავისუფალი“...

სხვა სტატიაში დიდი პოეტი კილევ უფრო მკაფიოდ გამოთქვას იმ აზრს, რომ ეროვნული თავისუფლებისათვის აუცილებელია სოციალური თავისუფლება. „მოსპეც დღევანდელი ეკონომიკური უკუმშიართობა, — წერდა იგი,—

და, უკეცელია, მაშინ მოისპობა ერთი-  
საგან მეორის ჩასანთქმელად მისწრა-  
ფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რო-  
მელიც დღეს გამეფებულია დედამიწის  
ზურგზე". სწორედ ამიტომ იყო, რომ  
კავებისის ხალხთა ურთიერთ დარბე-  
ვებს, რომელთა ჩეცილივები ჩვენი  
საუკუნის დამდეგას კი იჩენდა თავს,  
ვაჟა-ფშაველას აზრით, არ ასაზრდოე-  
ბდა ეროვნული გრძნობა. მას ღრმა  
სოციალური ფესვები ჰქონდა. კორეს-  
პონდენციაში "მთის ვითარება" იგი  
წერდა, რომ გახშირდა ქისტების თა-  
რებში ფშავ-ხევსურეთში და აწლა  
ფშავ-ხევსურებიც ააირებენ ქისტების  
სამაგიერო დალაშექრის და „ლამის  
როვორც თათარ-სომხების ბრძოლის  
ძოწმენი ვიყავით, ისე ფშავ-ხევსურ-  
ებისტა შეტაკების მოწამენი შევიქ-  
ნეთ". მერედა, რით ხსნიდა ვაჟა მთა-  
ში შექმნილ ასეთ არანორმალურ  
შდგომარეობას, ქისტების თაჩქშს  
ფშავ-ხევსურეთში? ეროვნული მისწრა-  
ფებებით? არა. „ქისტების ორ-მესა-  
მედს, — განმარტავდა იგი, — არ  
მოეპოვება იმდენი მიწა, რომ თავი და-  
იმარხოს. სასაფლაო უნდა სხვისაგან  
იყიდოს. მიწები რამდენსამე პირს ჩა-  
უგდია ხელში და ტრალიცით ისე  
განაგებენ ამ მიწებს, როგორც ხანები  
თავიანთ სამფლობელოს. განათლების  
სხივი ხომ იმ თავით ამ თავამდე ქის-  
ტებს არ ღირსებათ. მთელ ქისტეთში  
არ მოიპოვება არც ერთი შეოლა".

კიდევ უფრო სრულად და არანკ-  
ლები სიყვარულით ასახა ალ. ყაზბეგ-  
მა კავკასიის მთის ხალხთა ცხოვრება.  
შეიძლება თმამად ითქვას, რომ არც  
ერთ სხვა ქართველ მწერალს არ გამო-  
უყავანია თავის მოთხოვნებში იმდენი  
არაქართველი გმირი, რამდენიც ალ.  
ყაზბეგს. ეს იმიტომ, რომ მთიელთა  
ყოველდღური ცხოვრება ისე იყო გა-

დანასკვლელი მეზობელი ხალხების ცხო-  
ვრებასთან, რომ შეუძლებელიც კი  
ჩანდა მათი განცალკევება, იძრული გა-  
ბულად ჩვენება. თვითონ ალ. ყაზბეგი  
„ნამწყესარის მოგონებებში" წერდა:  
„გადავწვიტე მოთხოვნებად გადმოგ-  
ცეთ და გაგაცნოთ იმ ხალხის ჩვეულე-  
ბა, ხასიათი და წესები, რომელიც ან  
საჭართველოს ნაწილს შეადგენს, ან  
არა და, მის აუცილებელს, დამოკვრე-  
ბულს მეზობლებს, რომლებთანაც უფ-  
რო მკვიდრი კაშშირი არ აგვიდება  
ჩეარს მომავალში".

და მართლაც, ალ. ყაზბეგს ძნელად  
უპოვით მოთხოვნებას, სადაც ქართვე-  
ლებათან ერთად კავკასიის სხვა ხალხთა  
შეილებიც არ მოქმედებდნენ. „ელგუ-  
ჯა", „მამის მკლელი", „ელისო", „ცი-  
ცია", „ულეონორა" და ბევრი სხვა  
სწორედ ის ნაწარმოებებია, რომლებ-  
შიც მწერალმა ასახა ქართველი და  
არაქართველი მთიელების ცხოვრება,  
მათი ურთიერთობა, მათი ძმობა-მეგონ-  
რობა. ამ მოთხოვნებებში თვალინათლივ  
ჩანს ღრმა პატივისცემა კავკასიის ხალხე-  
ბისამი, მათი ერთიანობისაკენ მისწრა-  
ფება. ისინი თავის დროზე და დღესაც  
ემსახურებიან უაღრესად კეთილშობი-  
ლურ მიზანს — ხალხთა მევობრობის  
განვითარებას და განმტკიცებას.

მეზობელი ხალხების ცხოვრებას რომ  
ასახავდა, ალ. ყაზბეგი იმ ზოგადი წა-  
ნაბრძორილან გამოლიოდა, რომ არ  
არსებობს ცუდი და კარგი ერები, არ-  
სებობენ ცუდი და კარგი აღამიანები.  
ჩეჩენი ელბერდი ამბობს: „სადაც ხალ-  
ხია, იქ ცუდი კაციც იძოვება და კარ-  
გიც. თუ დააშავა ვინმემ ჩამე, გადახ-  
დევინეთ, თუ არა და, სხვებმა რა და  
გიშავეს?" ეს ქართველი მწერლის შე-  
ხელულებაც, მისი რწმენაც იყო და  
სწორედ ამ თვალსაზრისით დახატა მან

კავკასიონლთა ცხოველება. ამით აისხება, რომ ქართველმა მცითხეველმა დიდი ხანია შეიყვარა არა მარტო გოჩა, ნუნუ, მაყალა, იაგო, ელგუჯა, არმედ მზალო, ელისო, სულთი, ასლან გირეი, ფარჩო, ელბერდი და ყაზბეგის ნაწარმოებთა სხეგა არაქართველი გმირება. შევლა ისინი მწერალმა დახატა არაჩემულებრივი სიყვარულით, თანაგრძნობით და გვიჩვენა მათი სულიერი სამყაროს სილამაზე, შესანიშნავი აღამიანური ღირსებები — ვაჟაპობა, რაინდული კეთილშობილება, თავდადება, მორალური სიფაქიზე.

გვიხსენოთ ჩეჩენი ქალიშვილი ელისო. ჩვენ გვაოცებს მისი სიყვარულის ჩალა და კიდევ უფრო მეტად ვაჟაცის შესაშური სულიერი სიმტკიცე, გაუტეხელი ნებისკოუთა, თავგანწირების უნარი, გაბედულება და იმავე დროს ქალური კდემამოსილება და სინაზე. ელისოს წილად ხელა ტრაგიული ბედი. იგი დაიღუპა, მაგრამ მეკონეელის მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა როგორც სოციალური და ეროვნული ჩავრის მსხვერპლი, როგორც ჭმინდა სიყვარულის ლამპარი.

არანაკლებ მიმზიდველია ჩეჩენი ვაჟაცის სულთი ჯახოტის მხატვრული სახე („ციცია“). იგი ნამდვილი რაინდია სულითაც და ქცევითაც და გვებიძლავს თავისი კეთილშობილებით. როგორც გაიგო, მის მოტაცებულ ციციას სხვა უყვარდა, ძლიერ შეწუხდა, მაგრამ გულში ფიქრადაც კი არ გაუვლა ძალა ემარა უმწეო ქალზე, პირიქით, პატივება, მოწყალება თხოვა, ძმად გაეფიცა ციციას მიგნურ ბეჭიას და მისი სისხლიც კი აიღო. ეს მოთხოვობა იმითაც არის საგულისხმო, რომ მასში არის ერთი ეპიზოდი — ბეჭიას სტუმ-

რობა ქისტთა სოფელში, რომელაც ხალხთა ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის ნამდვილი აპოთეოზია გილიონისა.

მაღალი სულიერი თვისებებით, მორალური სიწმინდით გამოირჩევიან ავრევე ჩერქეზი მზალო („ელგუჯა“), ლეკი ასლან გირეი, ჩეჩენი ფარჩო, ელბერდი („მამის მკვლელი“) და ბევრი სხვა.

ხალხთა მეგობრობის არაერთი ამაღლებელი ფურცელია „მამის მკვლელში“. ქართველი იაგო და მისი ამხანაგები ბეღმა ჩეჩენ ფარჩოსა და ელბერდს შეახვედრა და მათი მეგობრები გახდნენ. ისინი დამეგობრა ყველასათვის სანუკვარმა მისწრაფებამ თავისუფლებისა და ბეღნიერებისაკენ. იაგო და მისი ამხანაგები მხარში ამოუღვენ ფარჩოს, ელბერდს, ჩეჩენებს და მათთან ერთად იბრძოდნენ. „აი ექნი, — ამბობდა იაგო, — მუსულმანები არიან, მაგრამ ძმობაცა აქვთ, სიყვარულიცა და კაცის შებრალებაცა. ჩვენ კი ვითომ ქრისტიანები ვართ, ერთმანეთის შურით ლამის თვალები წამოგვიცვიდეს“. ამ შემთხვევაში იაგო ცოცხალ ფაქტს ეყრდნობოდა. იგი და მისი მეგობრები ჩეჩენთა ყველა სოფელში მიიღეს როგორც ძვირფასი სტუმრები და სანაებო მასპინძლობაც გაუწიეს, განსაკუთრებით ხატობაზე. ბუნებრივია, იაგო და მისი მეგობრებიც ცდილობდნენ სამაგიერო მიეგოთ ჩეჩენებისათვის და დაიმსახურეს კიდეც მათი მაღლობა მამაცობისა და თავდადებისათვის.

უველაფერი ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობდა კავკასიის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, ანელებდა მეფის

თჟითმპყრობელობის ანტიხალხური  
ეროვნული პოლიტიკის გავლენას და  
ახლოებდა იმ ბედნიერ დღეს, როცა  
მთელი კავკასია „ერთის აზრით, ერთის  
გრძნობით“ აღდგებოდა და მოიპოვე-  
ბდა დიდი ხნის ნანატრ ბედნიერებას.

ეს დღეც დადგა და ახლა მაღლიე-  
რებით ვიგონებთ სახელოვან წინაპ-  
რებს, რომლებმაც ესოდენ ბევრი გვარიცვა-  
კეთეს კავკასიის ხალხთა შემჭიდროე-  
ბისა და მეგობრობისათვის, მათი ძმუ-  
რი. ურთიერთობის განმტკიცებისათვის..



პროფ. ი. მაგრალიძე

## აგუსტინის ენამოსწრებულობა

არა ერთ უცხოელს გამოუთქვას აშრო, რომ ქართველები შესანიშნავი თანამოსაუბრენი, ჰყუა-მახვილები და ენამოსწრებულები არიანო.

ქართველი ხალხიც დიდად აფასებს მჟღავრმეტყველს, კარგს მოსაუბრესა და ენამოსწრებულ პიროვნებას. ენაშეყლიანობა, სიტყვა-მახვილობა და მოხუმარობა ქართული ლალი ბუნების ერთ-ერთი დამახსასიათებელი მხარეა. ენა სულის სარკეაო, ამბობს ანდაზა.

ჩვენში ასეთი ანდაზაა — ენად-მრავალმან მუხლადმრავალს აჯობაო. მაგრამ ქართველს არ უყვარს ენაჭარტალა: ენატარტარა ხელებ-ბატარაო; ენითა მუნჯი სჭობია ავ-მეტყველ მოუბარსაო.

ზოგი უბედურების მიზეზადაც ენას თვლის ქართველი; ენამ რა გიყო და თავში რაკუნიო... ბიბ-

ლიურ ტექსტებში წერია: სიტყვა ვერცხლია და დუმილი ოქრო.

საქართველოს ყოველ პუთხეს ჰყავს ენამოსწრებულად ალიარებული, ტკბილმოუბარი პიროვნება და ასეთი, კაცი იქნება იგი თუ ქალი, ხალხის პატივისცემით სარგებლობს.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ენამახვილად ზოგჯერ მთელი გვარიც არის ჩათვლილი. ამასთან ზოგი კეთილენოვანია, ზოგიც — ბოროტენოვანი. მაგალითად, გურიაში გვარად მათითაშვილის ერთ-ერთ მოდგმაზე იტყვიან: ენით ყვავს ჩამოაგდებს ხიდანი; მეორე მოდგმაზე პირიქით ამბობენ: სიტყვით მკვდარს გააცოცხლებსო, ე. ი. ენატკბილიაო. ერთ-ერთი გვარის ქალზე უთჭ-

ვამთ: ენით მქარჩხავი<sup>1</sup> (მზაკვარი, ავთვალი) იყოო. სხვა გვარზე ამბობენ: სტუმარი ვერ წაუვა, ენით დაბამსო, ე. ი. სტუმარი რომც იჩქაროდეს, მას-პინძელი ისეთს ეტყვის, გააჩე-რებს, უპურმარილოდ არ გაუშვე-ბსო.

ასეთია ენა: ტკბილიცაა და მწა-რეც.

ძველი წარმოდგენებითვე, ენ-ით ადამიანს ავი სულის დამარც-ხებაც კი შეეძლო და ამიტომ არ-სებობს ხალხში აუარებელი შელ-ოცვა, თქმულება ენით ბოროტი არსების დამარცხების შესახებ.

ერთ-ერთ ენამოსწრებულ გვა-რად ითვლება აჭარა-გურიაში აბუსერიძე. ეს გვარი ისტორიუ-ლად ცნობილია არტანუჯის, შავ-შეთისა და ზემო აჭარის ერისთა-ვად მე-11-14 საუკუნეებში.

ეს ერთ-ერთი ძე-ზე დაბოლოე-ბული უძველესი გვარია (შეადა-რე უფრო აღრინდელი — საბანის ძე, აქედან — საბანიძე). ასეთები უფრო სამხრეთ-დასავლეთ და და-სავლეთ საქართველოში გვხვდე-

1 მქარჩხავი და მისი „იარა-ლი“ საქარჩხავი, ქარჩხი ქა-რთული ცრუმორწმუნებითი სიტ-ყვირების ნაკლებშესწავლილი სა-ხე. მის შესახებ პირველად ჩვენ დაგენერირეთ ჭ. ნორალელის წიგნზე დართულ შენიშვნებში („ნარკვე-ვები და შენიშვნები“, I, 1971, გვ. 231, სქოლიო). ცრუმორწმუნის აზრით, შეი-ძლება რომელიმე ბავშვი ბუდით (ქუდ-ბედით, ბადით) დაიბადოს. თუ ეს „ბუ-დე“ გადააგდეს, ბავშვი, თითქოს, მოკვ-დება.

ბოდა და გვხვდება; აღმოსავლეთ/ საქართველოში კი გვართა უმრავე- ლესობა შვილზე მთავრდება (გა-ვახი-შვილი, გოდერძი-შვილი, ვა-ხვახი-შვილი).

ქართულ ლიტერატურასა და საისტორიო წყაროებში შედარებ-ით ძველი და მოღვაწეობით გამო-ჩენილი ოთხი აბუსერიძე არის ცნობილი:

ივანე აბუსერიძე<sup>2</sup>, აბუსერ აბ-უსერიძე<sup>3</sup>, ვარდან აბუსერიძე<sup>4</sup>, ტბელი აბუსერიძე.<sup>5</sup>

აბუსერი იყო „ერისთავი არტა-ნუჯისა, ხიხათა და ციხისუარისა და აწყურის ციხის პატრონი“<sup>6</sup>. ცნობილია, რომ ხიხანი და ზემო აჭარა ტბეთის ეპარქიაში შედიო-და.

„აბუსერიძე ტბელი ყო-ფილა დიდგვაროვანი კაცი, ხე ხი-ხათა — აჭარის ერისთავთ-ერის-თავის ივანესი და ძმა... ვარდანისა და აბუსერისა. სახელწოდება ტბელი გვაფიქრებინებს, რომ ის იყო მტბევარი ან ტბე-თის ეპისკოპოსი. ის ამასთანავე

2 ნიკო მარი. ალაპნი ჭუარის მო-ნაცენტრისანი იერუსალიმისა შინა, პეტერ-ბურგი, 1914, გვ. 10, ს 41; ე. მ. მე-ტრევა კელი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 83, ს 43.

3 კორნელი კერელიძე. ქა-რთული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 326-330.

4 იქვე.

5 იქვე, 330-331.

6 ივ. ჭავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1965, გვ. 144.

ნიჭიერი, განათლებული და ნაყოფიერი მწერალი ყოფილა“.<sup>7</sup>

იგი მე-13 ს. მოღვაწე არის. მის შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ გვარ აბუსერიძის გვერდით ტბელი გვხვდება ჯერ კიდევ მე-11 საუკუნეში და მოღვაწე ტბელ აბუსერიძეზე სპეციალური ნაშრომებიცაა გამოქვეყნებული.<sup>8</sup> მათში ამ გვარის ისტორია და სათანადო ლიტერატურაც არის დასახელებული.

კაცმა რომ თქვას, ჩვენ ახლა აქ არც გვჭირდება ამ გვარის ისტორია; ამჭერად, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გვარ აბუსერიძის ოჯახები არტანუჯისა და აჭარის გარდა, მე-17 საუკუნიდან მაინც, ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ გურიაშიც. მაგალითად, მათ ვევდებით ჩოხატაურის რაიონში, თვით ჩოხატაურსა და ვაზისუბანში, ახალშენსა და ხიდისთავში.

ხიდისთაველ პედაგოგ რაედენ აბუსერიძისაგან 40 წლის წინათ გაგვიგონია, რომ მისი შორეული წინაპრები შავშეთიდან სწავლას მოსულან; ადგილობრივ დიდგვაროვან ხიმშიაშვილებს ვერ შეგუებიან და ზემო აჭარიდან გურიაში გადმოსახლებულან.

7 ქ. კაველიძე. ციტ. ნაშრომი, გვ. 330.

8 ლ. მუსეს ლიშვილი. აბუსერიძე ტბელი, თბილისი, 1941, ი. ს ის არ ული ი ე. ტბელი აბუსერიძე, თბილისი, 1963.

გურული მოხუცისაგან ჩვენ 1929 წელს ხიდისთავში ჩავიწერით არ რეტროსტრუქტურული მოვალეობა, რომელიც შეიცავს დიალოგს აბუსერიძესა და ვითომდაც არსებულ ეშმაკს შორის.

იგი ასეთია: აბუსერიძეები ისე ენამოსწრებულები არიან, რომ ერთმა მათგანმა ენით ეშმაკიც კი დაამარცხაო. გაღმოცემით, აბუსერიძე ოჯახიდან დაშორებულ ყანაში სახლს აგებდა. მივიდა ეშმაკი და ჰკითხა:

— აბუსერიძე ხარ შენ?  
აბუსერიძე უბასუხებს — აბა  
მამაშენიძე!

და შემდეგ დიალოგი აგრე გრძელდება:

ეშმაკი — სახლს აშენებ?  
აბუსერიძე — აბა ფაცხა!  
ეშმაკი — შენს ცოლს შვილი ჰყოლებია?<sup>9</sup>  
აბუსერიძე — მეც ორსულად ქი არ!<sup>10</sup>  
დავტოვე!  
ეშმაკი — ორი შვილი ჰყოლებია.  
აბუსერიძე — ერთს ორი არ ჯობია!  
ეშმაკი — ერთი უკვე მოქვდარა.  
აბუსერიძე — აბა, ორივე  
გაიზრდებოდა!  
ეშმაკი — შენი კაბია!<sup>11</sup> დაუკლავთ.  
აბუსერიძე — მკვდარს აღაპი არ  
უნდოდა!

აბუსერიძემ ყველა სიტყვა რომ მოუჭრა, — განაგრძობს თქმულება, — ეშმაკი დაფიქრდა, ახლა

9 შესძენია.

10 კი არ, ხომ.

11. ხარის სახელია.

რაღა ვკითხოო. აბუსერიძემ კი არ დააყოვნა, ხელი ხელს დაჰქრა და წარმოსთქვა:

— ტფუი, ეშმაკი ღვთითა.  
გასკდა მისი წონა მარილითა!

ეშმაკი მართლაც გასკდაო — ასკვნის თქმულება, — როგორც მარილი სკდება ხოლმე ცეცხლში, ავი სული კი გაქრა და აბუსერიძე გადარჩაო.

შეხედულება, რომ მარილი ცეცხლში სკდება, ტკაცანს ადენს და მისი ხმით ავი სული შეშინდება ხოლმე, ცრუმორწმუნებში ძველთაგან არსებობს. იმავე რწმენით ავ სულებს ეშინიათ ცეცხლისა და მახვილისა.

აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ დიალოგში ცეცხლისა და მარილის უბრალო ხსენებაც კი საკმარისი აღმოჩნდა ავი სულის დასამარცხებლად.

ხელს ხელზე ირტყამს ცრუმორწმუნე შელოცვის დროსაც, შელოცვებიც ხშირად მთავრდება სიტყვებით:

„ტფუი, ეშმაკი (ან სხვა ავი სული, ახსენებენ ასეთს) ღვთითა, მისი წონა მარილითა“, ან სიტყვებით: „შენს ავი თვალით შემხედავსა (ან მაყურებელსა) ყოველივე ავი... გასკდა რვალი, წავარდა თვალი“.

ბევრ თქმულებაში სიტყვას მოხერხება სცვლის. მაგალითად, ქა-

რთლურ-ხევსურულს, ოსურსა და დაღესტნელი ხალხების თქმულება — ბებში ადამიანი ეშმაკს, ან ის ცველების რომელიმე ავ სულს, მოხერხებით ამარცხებს.<sup>12</sup>

იშვიათად, მაგრამ გვხვდება ის-ეთი თქმულებაც, რომელშიც ეშმაკი მიამიტობას ჩხენს. ამით სარგებლობს ადამიანი და მას ამარცხებს.

მაგალითად, ერთ-ერთი გავრცელებული თქმულება ასეთია: გლეხი ყანაში მუშაობდა. ძლიერ გაწვიმდა. გლეხმა ტანსაცმელი გაიხადა, ქვაბში ჩაწყო და ზედ დააჭდა. წვიმა შეწყდა, გლეხმა ჩაიცვა. მოვიდა ეშმაკი და გლეხს უთხრა: მე გაწუწული ვარ, შენ კი — მშრალი, მასწავლე, როგორ გადარჩი და რაც გსურს, მთხოვეო.

გლეხმა უპასუხა: დამნებდი და გასწავლიო.

შემდეგ გლეხმა აუხსნა: როგორ მოიქცა, რომ არ დასველდა.

ეშმაკმა თქვა: მე რომ ტანსაცმელი არა მაქვს, რა გავიხადოო.

გლეხმა ბოდიში მოუხადა, აბა, ტყუილად გამირჯიხარო. ეშმაკმა იფიქრა: კიდევ უარესი არ მიქნასო და გაიქცა“.

აჭარაშიაც გვხვდება წინხსენება

12 მაგ., აკაკი შანიძის მიერ ჩაწერილი ერთი ასეთი თქმულება — „გაბურთ ეშმა“ (ეშმაკი). იხ. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების კრებული „წელიწლეული“, I-II, თბილისი, 1923-1924, გვ. 155.

ული ორივე სახის თქმულება; ზოგი მათგანი ჩაწერილი და გამოქვეყნებულიც არის, ზოგიც არაა ფრქსირებული და არ უნდა დავკარგოთ. ჩვენი შორეული წინაპრების ამბავი ჩვენ გვაინტერესებს და ჩვენს მომავალსაც დააინტერესებს, თუ რანი ვიყავით. ენგელსი შესანიშნავად ამბობს: ადამიანი მით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ თავის საკუთარი ისტორია აინტერესებს.

## ასახ სურანიძე

# ახალი ცნობები გრიგოლ ვოლცის გიორგჩავიდან

ქართველ მწერალთა და საზო-  
გადო მოღვაწეთა შორის თვალ-  
საჩინო აღგილი უკავია გრიგოლ  
ვოლცის (უმწიფარიძეს). შრო-  
მითი საქმიანობა მან დაიწყო ბა-  
თუმში, სადაც მუშაობდა ჯერ  
რკინიგზის, შემდეგ კი როტშილ-  
დის ქარხნის ექიმად, მაგრამ მისი  
მოღვაწეობა პროფესიული ჩარ-  
ჩობით არ შემოფარგლულა.

გრ. ვოლციმ თავისი პატრიო-  
ტული ლექსებით, პუბლიცისტუ-  
რი და კრიტიკული წერილებით  
გარკვეული როლი შეასრულა სა-  
ქართველოს ეროვნულ-განმათა-  
ვისუფლებელ მოძრაობაში. მისი  
ლექსები „შენ გეტრფი მარად“,  
„როს საუკუნოდ დავდუმდე“ და  
სხვები, რომლებიც იბეჭდებოდა  
უმწიფარიძის ფსევდონიმით, ქა-

რთველმა ხალხმა სიმღერებად აქ-  
ცია.

დემოკრატიული მიმართულებ-  
ის პოეტი თავისი შემოქმედებით  
ხელს უწყობდა ეროვნულ-გან-  
მათავისუფლებელ მოძრაობას  
და ხალხის საკეთილდღეო რე-  
ფორმების განხორციელებას. პა-  
ტრიოოტიზმითაა გამსჭვალული გრ.  
ვოლცის პუბლიცისტური და კრი-  
ტიკული ნაწარმოებებიც, რომ-  
ლებშიც იგრძნობა უსამართლო-  
ბასთან ბრძოლის ჟინი, მშობელი  
ერის სიყვარული. გრ. ვოლცი  
მთარგმნელობით მუშაობასაც  
ეწეოდა. იგი რუსულიდან ქართუ-  
ლად თარგმნიდა ა. ჩეხოვის მო-  
თხოვებს, ანდერსენის ზლაპრებს  
და სხვ., რომელთაც ხშირად აქ-  
ვეყნებდა ქართულ პრესაში; ამა-

სთან ილიას, ეკ. გაბაშვილის, შ. არაგვისპირელის და სხვათა ნაწარმოებები თარგმნა რუსულად და დაბეჭდა „ნოვოე ობოზრენიეში“.

თავისი პროფესიის ერთგული გრ. ვოლსკი ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მოღვაწეობასთან კარგად ათავსებდა პრაქტიკულ საექიმო, სანიტარულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობასაც. იმდროინდელი ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი სტატიებით ირკვევა, რომ იგი ღრმად იყო დაუფლებული სამედიცინო მეცნიერებას, განსაკუთრებით თეორიულ მედიცინას. გრ. ვოლსკი მოითხოვდა ქართული ხალხური მედიცინის, კერძოდ სამეცნიერო მცენარეულის, მეცნიერულ შესწავლას, აკრიტიკებდა ზოგიერთი სამედიცინო წიგნის ავტორთა მოსაზრებებს, იძლეოდა სასარგებლო რჩევა-დარიგებებს ქოლერასთან ბრძოლის შესახებ, კომენტარს უკეთებდა ცნობილი იტალიელი მეცნიერის ლომბბროზოს მოსაზრებებს ქალთა სქესობრივ კლასიფიკაციაზე და ა. შ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გრ. ვოლსკის მუნიციპალური მოღვაწეობა. 1895 წლის იანვარში ის აირჩიეს ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის წევრად, ერთხანს ასრულებდა ქალაქისთავის მოადგილის მოვალეობასაც, ხოლო როცა რეაქციონე-

რებს სურდათ ქალაქისთავად გა- ეყვანათ თავიანთი კანდიდატურა, ქართველ მოღვაწეთა დაუინებითი მოთხოვნით, გრ. ვოლსკიმ დროებით ქალაქისთავობაც იყისრა.

ქალაქის თვითმმართველობაში გრ. ვოლსკის ყოფნისას ბათუმში მოგვარდა ბევრი დიდმნიშვნელოვანი საკითხი. საკმარისია გავიხსენოთ ვაჟთა და ქალთა გომნაზიების დაარსება, ექიმთა საზოგადოების ჩამოყალიბება, ქალაქის საავადმყოფოს გახსნა. ამ საქმეებში მისი შთამგონებელი და აქტიური მხარდამჭერი იყო ილია ჭავჭავაძე. გრ. ვოლსკის ახლო ურთიერთობა პქონდა აგრეთვე დავით კლდიაშვილთან, არტურ ლაისტონ, ლუკა ასათიანთან, ივანე მესხთან (სერგეი მესხის ძმა); ექიმებთან: კ. მხეიძესთან, ა. შატილოვთან, გრ. ელიავასთან და სხვა პროგრესულ მოღვაწეებთან. ამ ურთიერთობამ კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა პოეტის პატრიოტული საქმიანობა.

გრიგოლ ვოლსკის პროგრესული იდეები ხშირად ეჯახებოდა მეფის ჩინოვნიკების ინტერესებს, რის გამო ადგილობრივი აღმინისტრაცია არაკეთილსამედოდ თვლიდა მას. 1907 წლის ზაფხულში გრ. ვოლსკი აიძულეს, გასცლოდა ბათუმს და თბილისში გადასულიყო, საღაც მალე (1909

წლის 5 ოქტომბერს) გარდაიცვალა.

ბათუმის მოწინავე საზოგადოების თხოვნით გრ. ვოლსკის ცხელარი თბილისიდან გადმოასვენეს ბათუმში და ქართული ეკლესიის გალავანში (ამჟამად გორკის ქ. № 25) დაკრძალეს. პოეტის ბათუმელმა მეგობრებმა განიზრახეს ძეგლის აგება. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც მოწოდებით მიმართა მოსახლეობას, და დაიწყო ფულის შეგროვება, მაგრამ სამხედრო გუბერნატორმა და ქალაქის პოლიციელისტერმა ყოველივე ეს აკრძალეს და დევნა დაუწყეს ამ საქმის ორგანიზატორებს (აჭარის ასსრ სახ. არქივი. ფ. ი.-I, ს. 458, ფურ. 6. ს. 480, ფურც. 10).

გრ. ვოლსკის ძეგლი არ აუგიათ, შემდგომში ქართული ეკლესიაც დაინგრა და საფლავიც დაიკარგა. ხანდაზმულთაგან არავის ახსოვს მისი ადგილსამყოფელი. შეიძლებოდა აქ შევჩერებულიყავით, რომ ამ მოკრძალებული, ნამდვილად დასაფასებელი პატრიოტის ირგვლივ სხვა გაიუგებრობა-შეუსაბამობასაც არ ჰქონდეს ადგილი.

თვითმეყრობელობის ბიურო-კრატიული რეჟიმის, რეაქციისა და ძალადობის პირობებში ბევრი

რამ უცნობი დარჩა გრ. ვოლსკის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან. მის შესახებ გამოქვეყნებულ წიგნებში დაშვებულია ბევრი უზუსტობა, რაც წლების მანძილზე მეორდება.

განსაკუთრებით ბუნდოვნად არის გაშუქებული გრ. ვოლსკის ბავშვობისა და სტუდენტობის პერიოდი, კერძოდ დაბადების ადგილი და თარიღი, მამის ასაკი, დედის ვინაობა, უმაღლესი განათლების მიღების ადგილი და სხვა.

აწ განსვენებული, ღრმად პატივცემული აკადემიკოსის ალ. წულუკიძის მიერ 1949 წელს რუსულად გამოცემულ წიგნში „Врачногрузыны XIX столетия“, 56-ე გვერდზე მოტანილია გრ. ვოლსკის მოკლე ბიოგრაფია. იქ ნათქვამია, რომ იგი დაიბადა 1859 წელს ქ. ქუთაისში, 1887 წელს დაამთავრა ხარჯოვის უნივერსიტეტი. ალბათ, ამ წყაროზე დაყრდნობით, იგივეა განმეორებული პროფ. მ. საკაშვილისა და სხვა ავტორთა ფუნდამენტურ ნაშრომში „საქართველოს მედიცინის ისტორია“ (თბ. 1960, ტ. II, გვ. 158).

1955 წელს ბათუმში გამოვიდა დ. ნაცვალაძის საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია „გრიგოლ ვოლსკი“, რომელშიც აღნიშნულია, რომ

პოეტი დაიბადა 1860 წლის 24 იანვარს ქ. ქუთაისში, ოთხმოცი-ანი წლების დამდეგს შევიდა მო-სკოვის უნივერსიტეტის სამედი-ცინო ფაკულტეტზე და ა. შ.

აკად. ირ. ტატიშვილის და პროფ. თ. დეკანოსიძის ძალზე სა-ინტერესო წიგნში „მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა“ (თბ., 1960 წ. გვ. 69) გრ. ვოლსკის დაბადების თა-რიღიდან მიჩნეულია 1860 წელი.

ზოგი ავტორი თვლის, რომ პო-ეტის მამა იოსებ ვოლსკი სამჯერ დაქორწინდა და სწორედ მესამე ქორწინებიდან, მაგდანა კეჟერა-ძესთან შეეძინა გრიგოლი. პირვე-ლი მეუღლის ვინაობა კერძორო-ბით უცნობია. მეორედ, ამ ავტო-რთა აზრით, იგი დაქორწინებულა მაგდანა ბოდოკიაზე, ხოლო მესა-მედ მაგდანა კეჟერაძეზე. მეუღ-ლეთა სახელების დამთხვევა ამ მოსაზრების სისწორეს საეჭვოს ხდის. როგორც ქვემოთ დავინა-ხავთ, ეჭვი მართებულია.

შეიძლებოდა კიდევ დაგვესახე-ლებინა უკანასკნელ წლებში გა-მოცემული ბევრი სხვა წიგნი, რო-მლებშიც კვლავ და კვლავ მეორ-დება აზრთა ზემოდასახელებული სხვადასხვაობანი, მაგრამ, ვფიქ-რობთ, ესეც საკარისია.

ჩვენ საშუალება მოგვეცა გავ-ცნობოდით მოსკოვის უნივერსი-

ტეტის არქივის ფონდს, კერძოდ, გრიგოლ ვოლსკის 60-გვერდიან პირად საქმეს (ფონდი 418, ანა-წერი 298, საქმე 138), სადაც დე-ტალურად არის აღნუსხული არა მარტო მისი უნივერსიტეტში ყო-ფნის პერიოდი და მშობლების ვინაობა, არამედ ჭაბუკობის წლე-ბის ზოგიერთი მომენტიც.

ამ მასალების გაცნობით ირკ-ვევა, რომ გრიგოლ ვოლსკი, კო-ლეგიის ასესორის, შემდგომში ტიტულარული მრჩევლის იოსებ-ლეონტის ძე ვოლსკის და მისი მეუღლის (მეორე ქორწინებიდან) მაგდანა იოსების ასულ ბოდოკი-ას ვაჟი დაბადებულა 1859 წლის 24 იანვარს ქ. თბილისში, სადაც დროებით ცხოვრობდა სამხედრო სამსახურში მყოფი მამა. აქვე სამხედრო ჰოსპიტლის აღექსანდ-რეს ეკლესიაშია გაფორმებული დაბადება და ნათლობა (ფურც. 20).

იოსებ ლეონტის ძე ვოლსკის და მაგდანა იოსების ასულ ბოდო-კიას ჰყოლიათ 4 შვილი: ვაჟები: გრიგოლი, დაბადებული 1859 წლის 24 იანვარს, და ვლადიმერი, დაბადებული 1860 წლის 1 მარტს; ქალები: ლეონიდა, დაბადებული 1854 წლის 15 ნოემბერს, და ბარ-ბალე, დაბადებული 1863 წლის 3 ოქტომბერს (ფურც. 23).

ჩვენი აზრით, ი. ლ. ვოლსკიმ იქორწინა არა სამჯერ, არამედ ორ-

ჭერ. პირველი მეუღლის ვინაობა ვერ დავადგინეთ. მეორე და უკანასკნელი მეუღლე იყო მაგდანა იოსების ასული ბოდოკია. ვფიქრობთ, იგი ვოლსკისთან ქორწინებამდე, ან მისი სიკვდილის შემდეგ, გათხოვილი იყო კეუერაძეზე, რის გამო ზოგიერთ საბუთში ამ გვარით იხსენიება. მ. ი. ბოდოკია და მ. ი. კეუერაძე ერთიდაიგივე პიროვნება უნდა იყოს.

ი. ლ. ვოლსკის სამსახურებრივი საქმის გაცნობით მტკიცდება, რომ ის დაიბადა 1804 წელს, გარდაიცვალა 1865 წელს, ე. ი. არა 59, არამედ 61 წლის ასაქში (ფურც. 21-26).

გრ. ვოლსკი 1869 წლის 30 ოქტომბერს შევიდა და 1878 წლის 8 იქნისს დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია. 1878 წლის აგვისტოში იგი ჩარიცხეს ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ბუნებისმეტყველების განხრით. 1880 წლის ოქტომბერში გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსზე. 1882 წლის დეკემბერში არდალეგებიდან დაგვიანებით დაბრუნებისა და სწავლის ქირის შეუტანლობის გამო გარიცხეს მოსკოვის უნივერსიტეტის მესამე კურსიდან.

1883 წლის 8 ივლისით დათარიღებული თხოვნით მტკიცდება,

რომ გრ. ვოლსკის სურვილი ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიაში, მაგრამ შემდეგ, როგორც ჩანს, ეს აზრი შეიცვალა. 1883 წლის 3 ოქტომბრიდან იგი ყაზანის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტია. 1884 წლის 5 ოქტომბერს ყაზანიდან კვლავ მოსკოვის უნივერსიტეტში გადავიდა, რომელიც დაამთავრა 1886 წლის 13 დეკემბერს და მიენიჭა მკურნალის (ლეკარ्प) ხარისხი და მაზრის ექიმის წოდება (ფურც. 48).

ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტიდან მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე გადასვლა, შემდგომში რამდენიმე უნივერსიტეტში კვლავ სამედიცინო ფაკულტეტზე შესვლის სურვილი და მისი განხორციელება, აგრეთვე ათი წლის მანძილზე ექიმად მუშაობა, მრავალი სამედიცინო და სანიტარულ - საგანმანათლებლო სტატიის გამოქვეყნება ქართულ პრესაში, აღვილად აბათილებს ზოგიერთი ავტორის (ა. ლაისტი და სხვები) მოსაზრებას, რომ თითქოს გ. ვოლსკის შემთხვევით ჰქონდა ექიმის დიპლომი და პატივს არ სცემდა თავის პროფესიას.

1895 წლიდან, როცა გრ. ვოლ-

სკი აირჩიეს ქალაქ ბათუმის თვითმმართველობაში, იგი თანდათან ჩამოშორდა პრაქტიკულ სამეცნიერო საქმიანობას, მაგრამ თვითმმართველობის ტრიბუნას სისტემატურად იყენებდა მოსახლეობის სამეცნიერო მომსახურების გაუმჯობესების, ეპიდემიებთან ბრძოლის, სანიტარული წესების დაცვის, გარემოს გაფანსაღების დასხვა საკითხების მოგვარებისათვის. გრ. ვოლსკი ითვლება ბათუმის ექიმთა საზოგადოების (1896 წ. 20 ნოემბერი) ერთ-ერთ დამფუძნებლად. იგი 10 წლის განმავლობაში იყო ამ საზოგადოების აქტიური წევრი.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ გრ. ვოლსკი ახალგაზრდობიდანვე დაინტერესებული იყო ექიმობით და შემდეგაც დიდ პატივს სცემდა თავის პროფესიას.

როგორც აღნიშნეთ, გრ. ვოლსკიმ შრომით საქმიანობა დაიწყო ბათუმში. სამუშაოზე გაფორმების ზუსტი თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ჩვენი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო არა უაღრეს 1887 წლის 23 აპრილისა. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს მისი განცხადება მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის სახელზე, რომლითაც ახალგაზრდა ექიმი თხოულობს სასწ-

რაფოდ გამოუგზავნონ მკურნალის დიპლომი და ცნობა, რომ მას მიენიჭა მაზრის ექიმის წოდება. განცხადებაში გრ. ვოლსკი აღნიშნავს, რომ იგი იწყებს „სახელმწიფო სამსახურს“. განცხადება დაწერილია 1887 წლის 23 აპრილს, ფოთში, ქალაქისთავის ბინაში, რაც მეტყველებს გრ. ვოლსკისა და ფოთის მაშინდელი ქალაქისთავის, ცნობილი პედაგოგისა და იურისტის ნ. ა. თავდგირიძის ახლო ურთიერთობაზე (ფურც. 55).

ამგვარად, გრიგოლ იოსების ძე ვოლსკის ბიოგრაფიიდან ბავშვობისა და სტუდენტობის პერიოდი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: დაიბადა 1859 წლის 24 იანვარს ქ. თბილისში. მამა — იოსებ ლეონტის ძე ვოლსკი წარმოშობით პოლონელია, ხოლო დედა მაგდანა — ქართველი აზნაურის იოსებ ბოდოკიას ქალი. გრიგოლს ყავდა ორი და და ერთი უმცროსი ძმა; ბავშვობის და მოწაფეობის წლები გაატარა ქუთაისში, დედულეთთან ახლოს. 1869-1878 წლებში სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, რომლის დამთავრებისთანავე შევიდა ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ბუნებისმეტყველების განხრით. 1880

წელს გადავიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, საიდანაც 1883 წელს სწავლის ქირის შეუტანლობის გამო გარიცხეს. 1883 წელს სწავლა განაგრძო ყაზანის უნივერსიტეტში. 1884 წელს კვლავ დაუბრუნდა მოსკოვის უნივერსიტეტს, რომელიც დაამთავრა 1886 წლის დამლევს. უნივერსიტეტის საბჭოს 1886 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით მიენიჭა მკურნალის ხარისხი და მაზრის ექიმის წოდება. შრომითი საქმიანობა დაიწყო ბა-

თუმში რკინიგზის ექიმად, არაუადრეს 1887 წლის 23 აპრილის 36 დღის ვიზუალური ჩვენი ხალხი დიდი სიხარულით ელოდება ეროვნული საუნჯის, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოსვლას, რომელიც თავის მხრივ ერთ-ერთი სანდო და უტყუარი წყარო იქნება. როგორც ვიცით, ამ ენციკლოპედიაში აღგილი დაეთმობა გრიგოლ ვოლსკი-საც და სასურველია მასში მაინც არ განმეორდეს სხვადასხვა გამოცემებში დღემდე დაშვებული შეცდომები.

## აპერ საგუდაძე

### უკრაინელი კაზაქები გონიის ციხეში

მონათმფლობელური ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლებიდან გონიის ციხე საქართველოში ყველაზე გრანდიოზულია და კარგადაცაა შემონახული. იგი ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი თავებადასავლის უტყვი მოწმეა.

ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არაერთი დამპყრობელი უნახავს გონიის ციხეს. აქ იბრძოდნენ რომაელები და ბიზანტიიელები, მოგვიანებით კი სპარსელები და თურქები. და ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. 1547 წელს ციხე დაიპყრეს თურქებმა, რომლებმაც იგი კიდევ უფრო გაამაგრეს და საქართველოზე შემდგომი აგრესიის ბაზად აქციეს. ქართველები არ შერიგებიან ამ ფაქტს და მედგრად იბრძოდნენ მისი (აგრეთვე სხვა ტერიტორიების) გამოხსნისათვის, მაგრამ ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და ისლამის

მოძალების პირობებში ამ ამოცანის განხორციელება ვერ შეძლეს. ეს საკითხი გადასაწყვეტად რუსეთს ეანდერძა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში რუსეთის გამარჯვების შედეგად გონიის ციხე სხვა ტერიტორიებთან ერთად კვლავ დაუბრუნდა საქართველოს და ამიერიდან მისი ჭირისა და ლხინის განუყრელი მოზიარე გახდა.

გონიის ციხეს მრავალი საინტერესო ეპიზოდი უკავშირდება. მათ შორის საყურადღებოა მისი განთავისუფლება თურქი დამპყრობლებისაგან კაზაკების მიერ. ამის შესახებ მე-20 საუკუნის დამდეგს სამხედრო ისტორიკოსი კაპიტანი ტ. სტეპანოვი წერდა: „თითქმის 250 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კაზაკები თავიანთი მცირე ნავებით სერავდნენ „არასტუმართმოყვარე“ შავ ზღვას და შიშის ზარს სცემდნენ ანატოლიის სანაპირო ქალაქებს. ბოლოს

7-8 ვერსის მანძილზე ახლანდელი ბათუმიდან გადმოსხდნენ ნაპირზე და ხელთ იგდეს გონიის ციხე... კაზაკების თავდასხმას, ცხადია, არ შეეძლო ჩვენთვის სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის მიწა-წყლის ერთი მუჭა გულადი პიონერები, მრავალრიცხვობით თურქთა ურდოებით გარემოცული, სამშობლოსათვის გამოუსადეგარი, მაგრამ გმირული სიკვდილით დაიღუპნენ".<sup>1</sup>

ეს ცნობა დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას. ამ მხრივ პირველი იყო ფ. ბრუნი. მან 1870 წელს დაბეჭდა წერილი „თურქი ტურისტის შენიშვნები მე-17 საუკუნის შუა წლების ამიერკავკასიის მდგომარეობის შესახებ",<sup>2</sup> რომელშიც ევ. ჩელების ცნობის საფუძველზე აღნიშნა კაზაკების მიერ გონიის ციხის დაპყრობის ფაქტი. შემდეგ ამ მოვლენას შეეხო მრავალი ავტორი (ტ. სტეპანოვი, ვ. იაშვილი, ვ. სიჭინავა, ხ. ახვლედიანი), მაგრამ გავრით, სხვა საკითხებთან დაკავშირებით. შედარებით ვრცლად მოიხსენია იგი ს. როდონაიამ. ამის მიუხედავად, აღნიშნული საკითხი ლიტერატურაში მაინც არაა სათანადოდ შეფასებული. კერძოდ, გარკვეული არაა კაზა-

კთა სადაურობა, გონიის ციხით კაზაკების დაინტერესების მიზე-ზები, ციხის დაპყრობა მათი დროში რადი ინიციატივის შედეგია თუ ქართველ პოლიტიკოსებთან ურთიერთობის ნაყოფი, კაზაკების მიერ ციხის აღებაშ რა კორექტივი შეიტანა საქართველო-თურქეთის ურთიერთობაში, დაბოლოს დადგენილი არაა ამ მოვლენის თარიღიც. ცხადია, აღნიშნული საკითხების გაშუქებას მნიშვნელობა აქვს საქართველო-უკრაინისა და საქართველო-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობის მეცნიერული შესწავლისათვის.

კაზაკების მიერ გონიის ციხის დაუფლების შესახებ ცნობა შემოვინახა მე-17 საუკუნის ცნობილმა თურქმა მოგზაურმა და გეოგრაფმა ევლია ჩელებმა. თავის „მოგზაურობის წიგნში" (მეორე ტომი) იგი დაწვრილებით გადმოგვცემს ამ ფაქტს. მისი სიტყვით, კაზაკებს მოულოდნელად აულიათ გონიის ციხე. არზრუმის ვილაიეთის სერასკირმა სეიდ აპ-მედ ფაშამ სასწრაფოდ ლაშერის წვევა ბრძანა და „ათასი რჩეული, შეიარაღებული მეომრით", აგრეთვე დიდალი მოხალისის თანხლებით მაშინვე გონიისაკენ დაიძრა. მას მიეშველნენ ყარსის ფაშა შვიდი ათასი მებრძოლით, ბასიანის, ყარაპისარისა და მანასკერტის სანჯაყების ბეგები, რომელთაგან თითოეულს ორი ათასი მეომარი ახლდა. ტრაპიზონის ფაშამ დამატებით გამოგზავნა სამი ათასი კაცი და „ათი შაპი" ზარ-

1 Т. Степанов, Вступление русских войск в Батум. Сборник, Батум и его окрестности, Батум, 1906, стр. 90.

2 Газ. «Кавказ», № 64 — 68, 1870.

ბაზანი“. გონიის მახლობლად ამ ლაშქარს შეუერთდა ახალციხის საფაშოს რაზმიც, რომელიც რათას მებრძოლს მოითვლიდა.

საერთოდ, თურქთა უპირატესობის წარმოჩენის მიზნით ევლიას უყვარდა გაზვიადება. აქაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაგრამ შემცირებული ცნობებითაც თურქთა ლაშქარში 15 ათასამდე კაცი მაინც უნდა ვიგულისხმოთ.<sup>3</sup> ამ ლაშქრით სერასკირი გონიის ციხეს მიადგა. გუშაგი კაზაკები თურქები უგონოდ მთვრალი ყოფილან. ამით ისარგებლეს თურქებმა და თითქმის უბრძოლველად ხელთ იგდეს მათი 87 ნავი. „კაზაკები ციხეში ალყაშემორტყმული დარჩენ და განთვისუფლების იმედი რომ გადაუწყდათ, გაცოფდნენ და ცეცხლის ფრქვევა დაიწყეს.“ შემდეგ კი „პოლკის ბაირალები ააფრიალეს, გარეთ გამოვიდნენ“, მოალყებს შეუტიეს და უკუაქციეს. მაშინ სეიდ ფაშამ ბათუმის სანჯაყიდან დამატებითი ლაშქარი მოიხმო და მხოლოდ ამის შემდეგ სამგზის იერიშის შედეგად შეძლო ციხის აღება. კაზაკთა უმრავლესობა ბრძოლაში დაიღუპა, ზოგი ალყის გარღვევის თავგანწირული ცდის დროს ჭორობში ჩაიხრჩო, ნაწილმა კი

3 ასეთი დიდი ლაშქრის შეყრა თვით კაზაკთა მრავალრიცხონბის შედეგა. თუ მათი თოთოეული ნავი 50-მდე კაცს იტევდა, მაშინ 87 ნავით გონიაში, სულ შეირჩე, 3.500-4.300 კაზაკი მოსულა.

ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა და ცეცხლში დაიწვა. თურქებმა მხოლოდ 200-მდე კაზაკი დაატყვევენ. გამარჯვების აღსანიშნავად „გარმართა ზარბაზნების შედლუა, რომელიც სამი დღე და ღამე გაგრძელდა“.<sup>4</sup>

როდის მოხდა ეს ფაქტი? საგულისხმოა, რომ ამ ამბის თხრობისას ევ. ჩელები წელს არ აღნიშნავს. ამან წარმოშვა აზრთა სხვადასხვაობა: ტ. სტეპანოვი მიუთითებს 1654 წელს,<sup>5</sup> ასეთივე აზრისაა ვ. იაშვილი<sup>6</sup> და ვ. სიჭინავა.<sup>7</sup> ხ. ახვლედიანი ამ მოვლენას 1646 წლით ათარიღებს.<sup>8</sup> ს. როდონაია კი, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში დონის კაზაკებისა და ქართველების ურთიერთობა, საკანდიდატო დისერტაციაში 1646-1647 წლებს ასახელებს, ხოლო ამავე საკითხზე გამოქვეყ-

4 ე. ჩელები, მოვზაურობის წიგნი, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაუზოთ გ. ფუთურიძემ, ნაკვეთი 1, თბილისი, 1971, გვ. 323, 325, 333.

5 იბ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

6 ვ. იაშვილი, გონიის ციხის ისტორიისათვის. კრებული, ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში, ბათუმი, 1955, გვ. 23.

7 ვ. სიჭინავა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958, გვ. 15.

8 ხ. ახვლედიანი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან საპხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1957, გვ. 56.

ნებულ ნაშრომში — XVII საუკუნის შუა ხანებს.<sup>9</sup>

ჩვენი აზრით, უფრო მართებულია აღნიშნული მოვლენის დათარიღება 1646-1647 წლებით, კონკრეტულად კი 1647 წლით. საქმე იმაშია, რომ 1646 წლის მოგზაურობის დღიურში ეპ. ჩელები არაფერს ამბობს კაზაკებზე. რაც შეეხება 1647 წელს, ევლიას „ერევნის ქვეყანა“ მოუნახულებია, შემდეგ არზრუშს დაბრუნებულა და 1648 წლის 15 იანვარს სტამბოლს წასულა. სწორედ სტამბოლს გამგზავრებამდელი ამბების თხრობისას იუწყება იგი კაზაკების მიერ გონიის ციხის აღებასა და მათ წინააღმდეგ თურქთა ლაშქრობას. აქ შეუძლებელია მას არ ვენდოთ, რადგან თურქი მოგზაური ბრძოლის არამარტო თანამედროვე, არამედ უშუალო მონაწილეობის იყო. ამიტომ აღნიშნული ფაქტი 1647 წლით უნდა დათარიღდეს.

საინტერესოა კაზაკთა სადაურობის გარკვევაც. ტ. სტეპანოვის სიტყვით ისინი დონიდან იყვნენ.<sup>10</sup> იგი ეყრდნობა ბრუნის წერილს, მაგრამ მასში არაფერია ნათქვამი.

9 ს. როდონია, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან მე-17 ს. პარველ ნახევარში, თბილისი, 1961, გვ. 43.

10 ტ. სტეპანოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

ფ. ბრუნი ზოგადად წერს, კაზაკები თავს ესხმოდნენ თურქეთს, მაგრამ გონიის ციხე რომ დარწყმულებს აეღოთ, ამას არსად აღნიშნავს.<sup>11</sup> სხვათა შორის, არც ევ. ჩელები მიუთითებს კაზაკთა სადაურობას. თუ რატომ მოიქცა მოგზაური ასე, ძნელია დადგენა. შესაძლოა იგი ერთმანეთისაგან ვერც ანსხვავებდა დნეპრელ და დონელ კაზაკებს. ყოველ შემთხვევაში, მათზე საუბრისას ევ. ჩელები წერს „კაზაკ-რუსებს“, „მოსკოვის კაზაკებს“, ან ზოგადად „რუსებს“, „კაზაკებს“. <sup>12</sup> ჩვენი აზრით, გონიაზე მოლაშქრე კაზაკები უკრაინიდან იყვნენ. ამის სასარგებლოდ მეტყველებს თუნდაც ის, რომ შავ ზღვაზე დონელ კაზაკთა გამოსავლელი ჭიშკარი — აზოვის უძლიერებსი ციხე-სიმაგრე 1640 წლიდან მტკიცედ ეპყრათ თურქებს და იგი რუსეთზე აგრესიის დასაყრდენ ბაზად ჰქონდათ გადაძეცეული. ასეთ პირობებში ძალზე საეჭვოა, რომ დონელ კაზაკებს, რომლებიც პირველნი ხვდებოდნენ ამ აგრესიას, არათუ თურქეთზე ლაშქრობის, შავ ზღვაზე გამოსვლის შესაძლებლობა ჰქონდათ.

რამ მოიყვანა კაზაკები გონიის ციხეში?

მე-16 საუკუნის შუა წლებში,

11 გაზ. «ჩავკავ», № 68, 1878.

12 მოგზაურობის წიგნი, გვ. 75, 9<sup>1/2</sup>, 280, 283, 323-325 და სხვ.

რაგორც ცნობილია, დნეპრის ჭორომებს გაღმა შეიქმნა რუსეთის სხვადასხვა რაიონებიდან ფერდალურ ჩაგვრას გაქცეული ურჩი გლეხების (იგივე კაზაკების) „უბატონი“ თავისუფალი თემი („ზაპოროჟსკაია სეჩი“), რომელიც მალე უკრაინელი ხალხის სამხედრო ცენტრად გადაიქცა. მე-17 საუკუნის დამდეგიდან კაზაკები აქტიურად გამოვიდნენ შავ ზღვაზე და იწყეს თურქთა შევიწროება. კიდევ მეტი, თავიანთი გაბედული თარეშებით ისინი დიდ ზიანს აყენებდნენ თურქეთის ზღვისპირა ქალაქებსა და სოფლებს. ამ მხრივ აღსანიშნავია 1616, 1621, 1622, 1623, 1625, 1627 (ოთხეტ) წლების ლაშქრობები, რომლებიც კაზაკთა გამარჯვებებით დასრულდა. 30-იანი წლებიდან კაზაკთა თავდასხმები ანატოლიაზე სისტემატური გახდა.

სხვათა შორის, „მოგზაურობის წიგნში“ ევ. ჩელები ასახელებს თურქეთის იმ პუნქტებს, რომლებიც კაზაკებმა დაარბიეს, მიუთითებს სანაპიროს დასაცავად მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებებს, თუმცა მაინც შენიშვნავს, ეს „ნაკლებ ეფექტურია“.<sup>13</sup> და მართლაც, გაბედული კაზაკები სწრაფი ნავებით მოულოდნელად ესხმოდნენ თურქებს და ნადავლით დატვირთული ასევე სწრაფად უჩინარდებოდნენ. ცხადია, თარეში ზოგჯერ მთავრდებოდა

 წარუმატებლად და გაწმილებული კაზაკებიც ხელმოკარული აუკანვითი ბრუნდებოდნენ, უარეს შემთხვევაში მდევართაგან იღუპებოდნენ კიდევ ვფიქრობთ, გონიის ციხის აღებაც ერთი ასეთი ლაშქრობის ეპიზოდი იყო, რომელიც კაზაკებისათვის ტრაგიკულად დასრულდა.

პქონდა თუ არა ქართველ პოლიტიკოსებს რაიმე კავშირი კაზაკების მიერ გონიის ციხის აღების ფაქტთან? ამის შესახებ კონკრეტული მითითება არა გვაქვს, მაგრამ არსებული მასალის გათვალისწინებისას ასეთი შესაძლებლობა სავსებით დასაშვები ჩანს. ამის სასარგებლობ მეტყველებს კაზაკებისა და ქართველების ურთიერთობა და თვით ევ. ჩელების „მოგზაურობის წიგნში“ დაცული ცნობები.

თურქეთზე ლაშქრობისათვის კაზაკებს სკირდებოდათ დასაყრდენი პუნქტები შავი ზღვის მთელ სანაპიროზე. ეს აუცილებელი იყო შესვენებისათვის, სურასათის შევსებისათვის, ნადავლის ნაწილის რეალიზაციისათვის, გამოსაზამთრებლად და ბოლოს თავშესაფარადაც, რის საჭიროება მწვავედ იგრძნობოდა მარცხისა და თურქთა ჭარბი ძალებისაგან დევნის დროს. ყველაფერი ეს კაზაკებს ქართველებთან ურთიერთობისაკენ უბიძგებდა. ამ ფაქტს სპეციალურად აღნიშნავს იტალიელი მისიონერი პიეტრო დელა-ვალე, რომელიც რომის პაპის ურბან მერვისაღმი წარდგენილ მოხსენებით ბა-



რათში 1627 წელს წერდა: „ქართველებს... მათის ნავსაღგურებით და დაცული თავშესაფარი ადგრლებით, რომელიც ზღვის ნაპირებზე აქვთ, შეუძლიათ დიდად დაეხმარონ კაზაკებს მათ საქმეებში“.<sup>14</sup> და მართლაც, უცხოელ მოგზაურთა ცნობებიდან ჩანს, რომ ოსმალეთზე გალაშქრებისას ან ნადავლით დაბრუნებისას კაზაკები აუცილებლად შეივლიდნენ გურია-სამეგრელოში აქაურ ეკლესია-მონასტრებში სალოცავად და ფულის შეწირვისათვის ან ადგილობრივ მოსახლეობასთან ვაჭრობისათვის.<sup>15</sup>

კაზაკებთან, როგორც მრისხანე ანტითურქულ ძალასთან, კავშირი თავის მხრივ ქართველებსაც სჭირდებოდათ. ამას მოწმობს იმავე პიეტრო დელა-ვალეს სიტყვები, რომ ქართველები კაზაკებს „დიდის სიყვარულით იღებენ თავიანთ ქვეყანაში, რადგანაც ისინი თურქების დიდი მტრები არიან და დიდ ზარალს აყენებდნენ წინათ და ახლაც მათ.“<sup>16</sup>

მაშასადამე, ინტერესთა ერთიანობა განსაზღვრავდა კაზაკებისა და ქართველების დახლოებას, მათ საბრძოლო კავშირს საერთო მტრის წინააღმდეგ. პიეტრო დელა-ვალე კიდეც მიუთითებდა:

14 კურნ. „ივერია“, № 3, 1879.

15 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 144; ს. როდონაა, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

16 კურნ. „ივერია“, № 3, 1879.

„დადიანმა თუ გურიელმა. კავშირი კუბს კაცი გაუგზავნეს და თურქეთთან საომარი მიზნით თავიანთი ტერიტორია და კავშირი შესთავაზეს, აგრეთვე ოქროს პატარა ჯვრები გაუგზავნეს. კაზაკებმა დიდი კმაყოფილებით მიიღეს ეს საჩუქრები და ისინიც (კაზაკები) არაერთხელ წასულან თავიანთი საზღვაო ფლოტით კოლხეთის სანაპიროებისაკენ და ალერსიანი მასპინძლობაც დახვდენიათ აქ. კაზაკები. ამ მფლობელების საგაჭრო გემებსაც მფარველობდნენ ზღვაზე, რომლებიც სხვადასხვა ადგილებში მიდიოდნენ“.<sup>17</sup>

აღნიშნული ცნობით ჩანს ქართველებისა და კაზაკების არამარტოერთობლივი ბრძოლა თურქთა წინააღმდეგ, არამედ საკმაოდ გულობილი შეხვედრები თვით დასაჭლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც. ეს ფაქტი კარგად აისახა ამ მხარის ტოპონიმიკაშიც. სამეგრელოს სხვადასხვა ადგილს (ფოთი, ყულევი, ანკლია და ა. შ.) დადასტურებული სახელწოდება „ნახუტურუ“, გ. გრიგოლიას სიტყვით, აქ რუსულ-უკრაინულად მოსაუბრე ხალხის ოდესალაც კუთვნილი საღომების, სოფლების

17 ი. ცინცაძე, უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისა, თბილისი, 1954, გვ. 37.

(ხუტორ-ების) არსებობის მაჩვენებელია.<sup>18</sup> პიეტრო დელა-ვალე ერთგან შენიშვნავს: „ეს ორი ხალხი ემოყვრება ერთმანეთსო!“<sup>19</sup> ეს „და-მოყვრება“ შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობითაც გავიგოთ. თუ ეს ასეა, მაშინ არაერთი კაზაკი დარჩენილა დასავლეთ საქართველო. ში, აქ თავისი ხუტორი შეუქმნია და დროთა ვითარებაში თანდათან გაქირთველებულა. შემდეგ კი, მოსახლეობის ზრდის გამო, ეს ხუტორებიც ქართულ სოფლებში მოექცა და ნახუტორ-ნახუტურალ გადაიქცა. კიდევ მეტი, პროფ. ი. ცინცაძის შენიშვნით „თუ კი პოლონელი, უკრაინელი, ბელორუსელი, ლატვიელი, ბესარაბიელი და სხვ. ბატონებმობის ულლიდან გამოქცეული გლეხი... კაზაკდებოდა, არაერთი გურული და მეგრელი გლეხიც უნდა გაჰყოლოდა ჩვენს სანაპიროზე მოსულ ნავებს, დნეპრის სანაპიროებისათვის შეეფარებინა თავი თავისუფალ კაზაკთა თემებში და შთამომავლობით გაუკრაინებულიყო“.<sup>20</sup> და მართლაც უკრაინელმა მკელევარმა თ. შევჩენკომ სათანადო მასალის შესწავლით დნეპრის („ზაპოროჟესკაია სეჩის“) კაზაკებში

არა ერთი უჩინო თუ ჩინოსანი ქართველი კაზაკის არსებობა უწარესდა გვიანებით მოაჩინა.<sup>21</sup>

ქართველებისა და კაზაკების მციდრო ურთიერთობის ამ ფონზე შეუძლებლად არ გვეჩვენება გონიის ციხის აღებასთან ქართველი პოლიტიკოსების კავშირი და დაინტერესება. პირიქით, იგი სავსებით რეალურიც ჩანს. ამ მოსაზრებას მტკიცე საფუძველს უქმნის ევ. ჩელებიც. მისი მოწმობით კაზაკთა მიერ გონიის ციხის აღებით აღფრთვონებულ ქართველებს თურქეთის წინააღმდეგ შეიარაღებული მზადება დაუწყიათ. შემდეგ იგი ლაპარაკობს იმ „უჩჩა აზნაურებზე“, რომლებიც 40-50 „ლაზური მენეჯსილა ნავებით“ თურმე ციხეში (მყოფი) კაზაკების დასახმარებლად მიღიოდნენ.“ ევ. ჩელების ცნობით თითო ასეთ ნავს „ასი კაცი აჰყავს“.<sup>22</sup> თუ ამ ციფრს გაზვიადებულად ჩავთვლით და მას 70-მდე შევამცირებთ, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ კაზაკების მისაშველებლად 2800-3500 კაცი მაინც წასულა. ეს კი საგრძნობი ძალა იყო. სამწუხაროდ, დახმარება აღმოჩნდა მეტად დაგვიანებული. თურქებს ციხე აღებული პქონდათ და აღარ გასჭირვებიათ მათი უკუქცევაც.

18 გ. გრიგოლია, ძველი სამეგრელოს ერთი ტოპონიმიკური სახელის განმარტებისათვის. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბილისი, 1964, გვ. 112.

19 უზრ. „ივერია“, № 3, 1879.

20 ი. ცინცაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

21 Ф. Шевченко, Грузины в войске. Запорожском, Сборник: Из истории украинско-грузинских связей. Тб., 1968, стр. 38—55.

22 ევ. ჩელები, მოგზაურობის წიგნი, გვ. 95.

მაინც მომხდარი ფაქტის ზეგავლენა ქართველებზე იმდენად საგრძნობი ყოფილა, რომ თურქთა ჯარს, გონიის ციხის აღების შემდეგ, კაზაკებთან კავშირის გამო მეზობელი რაიონი დაულაშქრავს. ამ მიზნით მათ 7 ათასამდე ჯარისკაცი გამოუყვანიათ, ინაზღად შესევიან ქვეყანას და დიდი დავლაც უგდიათ ხელთ.<sup>23</sup>

ინტერესს იწვევს „ურჩი აზნაურების“ ვინაობის დადგენა და თურქთა სათარეშო რაიონის ლოკალიზებაც. ევლიას სიტყვით, თურქები „სამეგრელოს ქვეყნის“ მიმართულებით წავიდნენ და ათსათრანი სკლის შემდეგ „ბათუმის სანჯაყსა და სამეგრელოს შორის მდებარე აღვილას“ დაიწყეს ბრძოლაო.<sup>24</sup> მაშასადამე, თურქებს გურია დაურბევიათ. ამას ადასტურებს მაშინდელი ვითარების გათვალისწინებაც. სწორედ მე-17 საუკუნის შუა ხანებში გურიის სამთავრო მედგრად ებრძოდა კარს მომდგარ თურქულ აგრესიას და ყველა საშუალებით ცდილობ-

და გონიაში დამპყრობელთა ბაზის მოშლა-დაქცევას. ცხადია, უკავშირი განხორციელება ქიხისრო გურიელს (1626-1658) კაზაკებისათვის უნდა დაეკავშირებინა და მათთვის რაზმიც გაეგზავნა. ასე რომ, გურია იმ ეტაპზე თურქები-სთვის იყო ურჩი და ამიტომაც დალაშქრა მტერმა.

ამრიგად, თურქების სწრაფი მოქმედება, მრავალრიცხოვანი ლაშქრის შეყრა გონიის ციხეში გამაგრებული კაზაკების წინააღმდეგ, კაზაკებისათვის „ურჩი აზნაურების“ დახმარების წარუმატებელი ცდა, თურქთა დიდი ზეიმი გონიის ციხის კელავ დაპყრობის გამო, და ბოლოს, მარბიელი რაზმით გურიის სამთავროს მთარეშება, იმის მაჩვენებელია, რომ ქართველებს ამ მოვლენისათვის დაუკავშირებიათ მტრის მიერ მიტაცებული ტერიტორიების გამოხსნა და თავადაც გადაუდგამთ სამისო ნაბიჯი.<sup>25</sup>

ასე გვესახება ჩვენ კაზაკების მიერ გონიის ციხის აღებასთან დაკავშირებული საკითხები.

23 იქვე, გვ. 33. 331.

24 იქვე, გვ. 33. 330.

25 ამ ფაქტზე ყურადღებას ამახვილებს ს. როდონაიაც (მისი, დასახ, ნაშრომი გვ. 43-45).

## მაყვარა თავაძე

# გათუმის პროფესიული კავშირების ისტორიისა

თებერვლის ბურუუაზიულ-დე-  
მოკრატიულმა რევოლუციამ ახა-  
ლი მძლავრი ბიძგი მისცა ხალხთა  
მასების მოძრაობას. მომწიფდა  
პირობები მუშათა მასობრივი ორ-  
განიზაციების — პროფესიული  
კავშირების შესაქმნელად. რუსე-  
თის მსხვილ ქალაქებსა და სამრე-  
წველო ცენტრებში მოწყო პრო-  
ფესიული კავშირების ცენტრალ-  
ური ბიუროები (საბჭოები), რომ-  
ლებმაც დიდად შეუწყვეს ხელი  
პროფმოძრაობის განვითარებას  
მთელ ქვეყანაში.

მეფის თვითმყრობელობის და-  
მხობის შემდეგ პროფესიული კა-  
ვშირები ხელახლა შეიქმნა საქარ-  
თველოში, კერძოდ ბათუმში. პრო-  
ფესირები რაზმავდნენ მშრო-  
მელ მასებს ბოლშევიკური პარ-  
ტიის ირგვლივ, იბრძოდნენ საწა-  
რმოებში მუშათა კონტროლის  
დაწესებისა და 8-სათიანი სამუ-

შაო ღლის შემოღებისათვის, იცა-  
ვდნენ მუშების ეკონომიურ უფ-  
ლებებს. ბათუმსა და მთელ აჭა-  
რაში<sup>1</sup> პროფესიული კავშირები  
ფორმდებოდა ყველგან, საღაც  
ამის საშუალებას იძლეოდა საწა-  
რმოებისა და დაწესებულებების  
მუშა-მოსამსახურეთა კონტინგენ-  
ტი.

1917 წლის 18 მარტს შეიქმნა  
ბათუმის მგეჭდავთა კავშირი. მისი  
წესდება დამტკიცეს კავშირის  
წევრთა საერთო კრებაზე 29 აპ-  
რილს. ამავე კრებაზე აირჩიეს კა-  
ვშირის გამგეობა, რომლის შემა-  
დგენლობაში შევიდნენ: მ. წულა-

1 საკვლევი პერიოდის აჭარის ეკო-  
ნომიური და პოლიტიკური ისტორიის  
საკითხები გაშუქებულია პ. ცევიტარი-  
ას, ხ. ანგლელიანის, მ. ჭიჭიშვილის,  
ა. ბაჯელიძისა და სხვა ავტორთა ნაშ-  
რომებში.

ქ ე (თავმჯდომარე), გ. ლლოხტი (მდივანი), კ. ლორთქიფანიძე (ხაზინადარი), ა. ზელენოვი, ი. კვანტალიანი, მ. ვიგნანსკი და ტ. თოფურიძე.<sup>2</sup> 1917 წლის შუა ხანებში გაფორმდა სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავეთა, დურგლებისა და ხუროების, მელითონეთა, მეზღვაურთა და სხვა პროფესიული კავშირები.

ამ პერიოდში აქ პროფესიორულ მოძრაობას სათავეში მოექცენ მენშევიკები. მათ ისარგებლეს ბოლშევიკების მცირერიცხოვნობით და ყველა საშუალებას მიმართეს, რომ პროფესიული კავშირები აეცდინათ რევოლუციური გზისაგან. 1917 წლის მაისში მენშევიკებმა ბათუმში შექმნეს პროფესიული კავშირების დროებითი ბიურო, ხოლო 4 ივლისს მოაწყვეს ე. წ. ფართო საზოგადოებრივი კრება, რომელზეც განიხილეს პროფესიორთა სამდივნოს არჩევის, კულტ-მასობრივი მუშაობისა და მიმდინარე საკითხები. კრების მუშაობაში არ მონაწილეობდნენ მელითონეთა კავშირის წარმომადგენლები, რომლებიც ბოლშევიკურ პოზიციებზე იდგნენ და აქტიურად იცავდნენ მუშათა ფართო მასების ინტერესებს. ცხადია, მენშევიკურ დროებით ბიუროს არ აწყობდა ასეთი კავშირის მიწვევა კრებაზე. ამ გზით სამდივნოში უმთავრესად

არჩეულ იქნა მენშევიკებისა და ესერების წარმომადგენლები, მტკიცდა ცენტრალური პროფესიორული ბიუროს წესდება. ბიურო მოთავსდა მორსკაიასა და სმეკალოვაკის ქუჩების კუთხის (ამჟამად კიროვისა და რუსთაველის ქუჩების კუთხე) შენობაში.<sup>3</sup> მენშევიკებმა უმრავლესობა მოიპოვეს აგრეთვე ბათუმის პროფესიული კავშირების გამგეობებში. ბუნებრივია, რომ ისინი ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე პრინციპულად არ აყენებდნენ ისედაც კულმოკვეცილი კახობძებლობის განხორციელების საკითხს.

მენშევიკები მიესალმნენ თებერვლის ბურუუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას. ისინი ცდილობდნენ ძველი სოციალურ-ეკონომიური წყობის შენარჩუნებას და მუშათა რევოლუციური გაძმვლების შეჩერებას დაპირებებით. მენშევიკების შემრიგებლურ-შემთანხმებლური პოლიტიკის შედეგად პროფესიული კავშირები მთავრობის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდნენ და ალარ ჰერიდათ უფლებები მიეღოთ გადაწყვეტილება მუშათა საყოფაცხოვრებო პარობების გასაუმჯობესებლად კავშირთა ცენტრალური საბჭოს, მუშათა დეპუტატების საბჭოსა და სატარიფო პალატის გარეშე. დამ-

2 აქარის ასრ რევოლუციის მუზეუმის არქივი, ფ. 4, ს. 81, ფ. 27.

3 გაზ. „დენ სეობოდი“ № 77, 1917 წლის 8 ივლისი.

ფუნქციელ კრებამდე მენშევიკები არ ცდილობდნენ მუშათა ცხოვრების გაუკეთესებას და ამ შიძართულებით მათი საქმიანობა არსებითად „შემრიგებლური კამერაბის“ გახსნით შემოიფარგლებოდა.

ბოლშევიკებისათვის კარგად იყო ცნობილი თუ რა „შეელას“ მოუტანდა — მუშებს „შემრიგებლური კამერები“, მაგრამ მაინც მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში. რათა იქ გაეყვანათ მოწინავე, შეგნებული მუშები. ის „კამერები“, სადაც ბოლშევიკებმა შესძლეს გაეყვანათ თავიანთი წარმომადგნლები, წარმატებით იცავდნენ მუშათა ინტერესებს. მაგალითად, როდესაც ჩაქვის საუფლისტულო მამულის აღმინისტრაციამ უარყო მუშათა ეკონომიკური მოთხოვნები, საკითხი გასარჩევად გადაეცა ჩაქვის „შემრიგებლურ კამერას“. იგი დაარსდა 1917 წლის 30 მაისს, გამგეობაში შედიოდნენ მოწინავე მუშები ხ. ინაიშვილი, ა. ქიქოძე, დ. ჭანუყვაძე და ნ. გოგუაძე. 3 ივნისს ჩაქვის „კამერამ“ დიდი დავისა და ბრძოლის შემდეგ დააგმაყოფილა მუშათა მოთხოვნები. ასევე აქტიურად მოქმედებდნენ ქ. ბათუმის მუშათა რაიონის (ჭაობა) და კვარცხანის სპილენძის საბადოსა და ქარხნის „შემრიგებლური კამერები“.

პროფესიული კავშირების ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას მუშათა კონტროლისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. მუშათა კონტროლის იდეა, რომელიც ვ. ი. ლენი-

ნმა ჯერ კიდევ 1905 წელს წამოაყენა, აპრილის თეზისებში გაცემის პროგრამულ მოთხოვნათა რიგში იდგა. ბათუმის ბოლშევიკები პროფესიონების, განსაკუთრებით პროფესიულთა ხელმძღვანელობით მომუშავე მუშათა სრულიად ახალი ორგანიზაციების — საფაძრიკო-საქართველოს კომიტეტების მეშევრობით იბრძოდნენ წარმოებაში მუშათა კონტროლის შემოღებისათვის, მაგრამ მენშევიკებისა და მათ მხარდამჭერთა მხრივ დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. მეწარმეთა და მენშევიკესერების წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლშევიკებმა შეძლეს მთელ რიგ საწარმოებში გამარჯვების მოპოვება. მაგალითად, ბათუმის პიტოვის გასამხედროებულ ქარხანაში, სადაც ყუმბარები მზადდებოდა, მუშებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ბოლშევიკების წინააღმდებას მუშათა კონტროლის დაწესების შესახებ.<sup>4</sup>

წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებასთან ერთად პროფესიული კავშირების მოთხოვნების მთავარ რგოლს შეადგენდა 8-საათიანი სამუშაო დღის შემოღება. იმპერიალიზმის ეპოქის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის წლებში პრო-

4 „საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევები, 1905-1970 წლები“, თბ., 1972, გვ. 172-174.

ლეტარიატმა მთელ რიგ ადგილებში პროფკავშირების დახმარებით შოთა გიგანტი გამოიყენებოდა. თვითმ-პყრობელური რეჟიმის პირობებში პროფესიულმა კავშირებმა ვერ მიაღწიეს 8-საათიანი სამუშაო დღის დაკანონებას. თებერვლის რევოლუციის შემდეგაც შისი ცხოვრებაში გატარება არც ისე იოლი აღმოჩნდა. სამუშაო დღის ხაზრძლივობა მუშებს კვლავ შძიმე ტვირთად აწვა. ამიტომ ბრძოლა 8-საათიანი სამუშაო დღისათვის წარმოადგენდა ბათუმის ბოლშევიკური და პროფკავშირული ორგანიზაციების მოღვაწეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ამოცანას.

ბოლშევიკების ორგანიზატორული და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად ბათუმის არაერთი პროფესიული კავშირი დარწმუნდა მენშევიკების პოლიტიკის უსწორობაში და მუშათა ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად მოაწყო გაფიცები. მაგალითად, 1917 წლის ივლისში გაიფიცა სავაჭრო-სამრეწველო პროფესიული კავშირი, რომელსაც ფართოდ გამოეხმაურა ქალაქის პროლეტარიატი. გაფიცვის პირველსავე დღეს სავაჭრო ფონდში მუშებისაგან შემოვიდა 500 მანეთი, ხოლო შემდეგ

დღეებში — 800 მანეთი.<sup>5</sup> გაფიცვა მუშათა გამარჯვებით დამთავრდა მეტატრონები იძულებული განძნენ დაექმაყოფილებინათ მუშათა მოთხოვნები. ამ ფაქტმა დიდად შეუწყო ხელი ბოლშევიკების გავლენის ზრდას ბათუმის პროფკავშირებზე. მუშებისათვის ნათელი გახდა, რას წარმოადგენდა მენშევიკების „მეგობრობა“ და ამიტომ პროფესიული კავშირების გამგეობების გადარჩევის დროს ხმებს აძლევდნენ ბოლშევიკებს. შაგალითად, მელითონეთა პროფესიული კავშირის გამგეობაში არჩეული 11 წევრიდან 10 იყო სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი, სავაჭრო-სამრეწველო კავშირის გამგეობის 11 წევრიდან — 8.

ამიერკავკასიის ბურუუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის — კომისარიატის შექმნის შემდეგ მთლიანად მხილებულ იქნა მენშევიკების ანტიხალხური პოლიტიკა. მათ საბოლოოდ უღალატეს შუშათა კლასის ინტერესებს და აშკარად დააღვნენ კონტრრევოლუციონერებთან კავშირის გზას. რევოლუციური ძალების დევნისა და ჩეპრესიების პირობებში ბოლ-

5 გაზ. „ერთობა“ № 135, 1917 წლის, 31 აგვისტო.

შევიყები იძულებული იყვნენ  
დროებით შეეწყვიტათ პროფკავ-  
შირებში ლეგალური მუშაობა.  
მშრომელთა ფართო მასების ხელ-  
მძღვანელობისათვის აუცილებე-  
ლი გახდა არალეგალური „მუშათა  
ცენტრის“ შექმნა. იგი გაფორმდა  
თბილისში, 1918 წლის თებერვა-  
ლში. არალეგალური „მუშათა ცე-  
ნტრის“ თავმჯდომარე იყო კომუ-  
ნისტი გ. მუვარაძე. „მუშათა ცენ-  
ტრის“ შექმნის შემდეგ საქართვე-  
ლოს პროფესიულ კაშირებში და-  
იწყო ბოლშევიკური უჯრედებისა  
და ფრაქციების ჩამოყალიბება. ბა-  
თუმში კომფრაქციები შეიქმნენ  
მბეჭდავთა, მელითონეთა, კვების  
მუშაკთა, მეზღვაურთა, რკინიგზე-  
ლთა და სხვა კავშირებთან.

ოქტომბრის სოციალისტ ური  
რევოლუციის გამარჯვების შემ-  
დეგ კომუნისტური ფრაქციები  
დაარსდა ბათუმისა და მთელი აჭ-  
არის პროფკავშირებთან და მოქმე-  
დებდნენ ლეგალურად, მენშევიკე-  
ბის გაბატონების შემდეგ კი იძუ-  
ლებული გახდნენ მუშაობა ეჭარ-  
მოებინათ ფარულად.

მუშათა საკითხის ირგვლივ ბო-  
ლშევიკებსა და მენშევიკებს შო-  
რის გაჩაღდა შეურიგებელი ბრძო-

ლა. ბოლშევიკური იდეების გასა-  
ვრცელებლად საჭირო იყო მეტად  
ვითი ორგანოს დაარსება. რსლმპ  
(ბ) ბათუმის კომიტეტის წევრებ-  
მა გააჩაღეს სააგიტაციო მუშაობა.  
მბეჭდავ მუშათა შორის, რათა ხე-  
ლი შეეწყოთ გაზეთის გამოცემი-  
სათვის. მბეჭდავთა პროფესიული  
კავშირი აქტიურად გამოეწვაურა  
ბოლშევიკების მოწოდებას და  
1917 წლის 30 ოქტომბრიდან და-  
იწყო გაზეთ „ბურვესტნიკის“ გა-  
მოშვება. მის ფურცლებზე იბეჭ-  
დებოდა წერილები და სტატიები.  
რომლებიც ნათლად ასახავდნენ  
მუშათა ცხოვრებას, ბოლშევიკე-  
ბისა და მენშევიკების შეხედულე-  
ბებს მუშათა საკითხებზე, საერ-  
თაშორისო მდგომარეობაზე. გა-  
ზეთი იქცა ბოლშევიკურ ტრიბუ-  
ნად, რომელსაც მასებში შეჰვინდა  
მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები და  
მოუწოდებლად მშრომელებს დაარ-  
ზმულიყვნენ ბოლშევიკური პარ-  
ტიის ირგვლივ, ბურუაზიულ-მე-  
მამულური წყობილების წინააღმ-  
დეგ ბრძოლისათვის.

მასების ბოლშევიზაციაში დი-  
დი როლი შეასრულეს გაზეთებმა  
„ხორავი“ („განთიადი“, ბერძ-  
ნულ ენაზე), „მუშის სიმართლე“,  
„ბანვორ ევ ზინვორ“ („მუშა და  
ჯარისკაცი“, სომხურ ენაზე). ბო-  
ლშევიკები აგიტაციის შიზნით  
უკენებდნენ აგრეთვე კოხცერ-

ტებს, საღამოებს, ლექციებსა და  
სტეკა ღონისძიებებს.

შერომელი მასების იდეური  
ღონის ამაღლებისათვის პროფე-  
სიული კაშშირები დიდ ყურად-  
ღებას უთმობდნენ კულტურულ-  
საგანმანათლებლო მუშაობას. ბა-  
თუმის პროფესიული კაშშირების  
საბჭომ გახსნა მუშათა ცენტრალ-  
ური კლუბი. კლუბები გაიხსნა  
აგრეთვე მუშათა რაიონებში —  
ბარცხანასა და ჭაობში, მელითო-  
ნეებთან და რეინიგზელებთან, ჩა-  
ქვსა და კვარცხანის სპილენძის ქა-  
რხანაში.<sup>6</sup>

1917 წლის დამლევისათვის სა-  
ქართველოში აღაღგინეს თითქმის  
ყველა პროფესიონალი და შეიქმნა  
მათი გაერთიანების პირობები. 26-  
31 დეკემბერს თბილისში ჩატარ-  
და კავკასიის პროფესიონული  
ორგანიზაციების პირველი სამხა-  
რეო კონფერენცია, რომელსაც სა-  
ქართველოდან ესწრებოდნენ თბი-  
ლისის, ბათუმის, ქუთაისის, გო-  
რის, ჭიათურის პროფესიონებისა  
და გურიის მუშათა ასოციაციის  
წარმომადგენლები. ბათუმის პრო-  
ფესიონებმა კონფერენციაზე გა-  
გზავნეს 7 დელეგატი, აქედაც 3  
ბოლშევიკი, 3 მენშევიკი და ერთი  
სოციალ-რევოლუციონერი.

6 გაზ. „ერთობა“ № 199, 1917 წლის  
2 სექტემბერი.

კონფერენციამ განიხილა პრო-  
ლეტარიატის ეკონომიური ბრძო-  
ლის, კოლექტიური ხელშეკრულების  
ბის, მუშათა დაზღვევისა და სალა-  
როების მუშათა კონტროლის, სა-  
ქარხან-საფაზრიკო კომიტეტების,  
კულტურულ - საგანმანათლებლო  
მუშაობის, უმუშევრობის წინააღმ-  
დეგ ბრძოლისა და სხვა საკითხე-  
ბი. ამ საკითხებზე კონფერენციამ  
მიიღო მენშევიკური რეზოლუციე-  
ბი. სამხარეო კონფერენციამ ვერ  
შეასრულა დანიშნულება, ვერ შე-  
ძლო პროფესიონების გაერთია-  
ნება.

ბათუმის პროფესიულმა კავ-  
შირებმა გაამახვილეს ყურადღება  
მუშათა შრომითი და საარბიტრო  
კომისიების, აგრეთვე შრომის ბი-  
რუების მუშაობაზე. შრომის ბირჟა  
ბათუმში გაიხსნა 1917 წლის 26  
ოქტომბერს, მაგრამ ფაქტიურად  
მუშაობას შეუდგა ამავე წლის დე-  
კემბრიდან. მას უნდა გაენაწილე-  
ბინა უმუშევრები სხვადასხვა უბ-  
ნებზე. შრომის ბირჟასთან შეიქმ-  
ნა სპეციალური კომისია, რომელ-  
საც ევალებოდა საზოგადო მუშა-  
ობის გეგმის შედგენა და უმუშე-  
ვართა მოთხოვნების დამაყოფი-  
ლება, მაგრამ მან ეს ვერ შეძლო.  
მენშევიკები ბირჟის სუსტ მუშაო-

ბას ხსნილნენ წევრების პასიურობით და მოითხოვდნენ გამგეობის გაღარჩევას. 1918 წლის იანვრიდან შრომის ბირჟის თავმჯდომარე გახდა ა. წულაძე, რომელმაც თავიდანვე აიღო გეზი ბურუუაზის ინტერესების დასაცავად. შინი წინადადებით შრომის ბირჟაში უნდა გაერთიანებულიყო პროფესიულ კავშირებთან არსებული უშუალესობითა ფონდები. ეს კი ხელს შეუშლიდა გაფრცვების გაფართოებას, მატერიალური მხარის შესუსტება განაპირობებდა გაფრცულთა დაძარცხებას.

შრომის ბირჟის „მოლვაწეობაში“ უმუშევართა მდგომარეობა ვერ შეცვალა. მათი რიგები იზრდებოდა. მენშევიკური მთავრობა არ იჩენდა მზრუნველობას მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მხოლოდ ბოლშევიკები გამოდიოდნენ მშრომელი მასების ინტერესების დამცველებად და ყველა ღონეს მიმართავდნენ მათი მძიმე მდგომარეობის შექმნაუქებისათვის. სასურსათო კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლშევიკები დიდ როლს ანიჭებუნენ მუშათა კომპერატივებს. ბათუმის სამომხმარებლო კომპერატივი (დაარსდა 1913 წელს) 1917 წლისათვის აერთიანებდა 3.700-

მდე წევრს. ქალაქის გარეუბნებში კომპერატივის გახსნილი პენიდან განყოფილებები, ღუნები და ფურნები. კომპერატივის მთავარ მიზანს წარმოადგენდა წევრების სურსათ-სანოვაგით მომარაგება და მათ შორის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების გატარება. შემდგომში კომპერატივის მოქმედების სფერო უფრო გაფართოვდა, ის ემსახურებოდა აგრეთვე არაწევრებსაც, რამაც დიდი პოპულარობა მოუპოვა მას. შუშათა კომპერატივები გაიხსნა აგრეთვე ბარცხანაში, ქობულეთში, ჩაქვესა და აჭარის სხვა აღგილებში.

1917 წლის 1 დეკემბერს ბათუმის პროფესიონალთა საბჭოს ხელმილვანელობით გაიხსნა კომპერატივი „მუშათა კავშირი“, რომელშიც პირველ დღესვე ჩაეწერა 2.500 მუშა. ამ კომპერატივში ქალაქში გახსნა მაღაზია და ფურნები.<sup>7</sup>

აჭარის ბოლშევიკები დიდ უზრადლებას ანიჭებდნენ საავადმყოფო სალაროების მუშაობას. პროლეტარიატის ბრძოლის შედეგად დროებითმა ბურუუაზიულმა მთავრობამ შეცვალა საავადმყოფო

7 გაზ. „ერთობა“ № 214, 1917 წლის 12 დეკემბერი.

სალაროების კანონები. ახალი კანონით მეპატრონებს ჩამოერთვა სალაროს მუშაობაში მონაწილეობის უფლება. ამიერიდან საავადმყოფო სალაროთი სარგებლობა შეეძლოთ სახელოსნოების მუშებსაც. უბედური შემთხვევისას ფულის გადახდა დაეკისრა დაშტლვევ სალაროებს, ფულის ანაზღაურება — მეპატრონებს. მიუხედავად ამისა საავადმყოფო სალარო უმრავლეს შემთხვევაში მხარს უჭერდა და მეპატრონებს.

1918 წლის იანვარში პეტროგრადში ჩატარდა სრულიად ოუცეთის პროფკავშირების პირველი ყრილობა, რომელმაც დიდი როლი ითამაშა პროფკავშირული მოძრაობის განვითარებაში. ყრილობაზე დიდი დავა გაიმართა. პროფკავშირების ორგანიზაციულ პრინციპებზე. ბოლშევიკები იცავდნენ მდლავრი საწარმოო პროფკავშირების შექმნას, მენშევიკები კი მოითხოვდნენ ამ ორგანიზაციების ვიწრო ამქრული წესით აგებას. ყრილობის ყველა ძირითად საკითხზე მიღებულ იქნა ბოლშე-

ვიკური რეზოლუციები. ბოლშევიკების წინადაღებით ყრილობამ მიღო დადგეხილება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების პროფკავშირებთან შეერთების შესახებ; საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტები პროფკავშირების პირველად ორგანიზაციებად უნდა გარდაქმნილიყო.<sup>8</sup>

პროფესიული კავშირების სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის შემდეგ ბათუმის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ გააძლიერა მუშაობა პროფესიულ კავშირებში, განსაკუთრებით ქალაქის საწარმო - დაწესებულებებში საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების შესაქმნელად და პროფესიულ კავშირებთან შეთანი გაერთიანებისათვის. მაგრამ ამ საქმის განხორციელება შეაფერება თურქეთის საკუპაციო ჯარის შემოსვლამ. აჭარაში დაიწყო უცხოელი იმპერიალისტების ბატონობის მშიმე პერიოდი, რომლისაგან მშრომელი მოსახლეობა განთავისუფლდა 1921 წლის მარტში, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შედეგად.

ЗАЯВКА  
40 853.

ЗАЯВКА  
40 853.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ  
*ЧОРОХИ*

ОРГАН СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ

ИНДЕКС 76118

